

ლერია ლომონაძე

შვიდი დღის ქრონიკა

ვუძღვნი ჩემს ვაჟს  
გიორგი ალიმონას

2000-2001 წლებია. ქვეყანაში კრიზისია. კრიზისია პოლიტიკაშიც, კულტურაშიც, ეკონომიკაშიც. უმძიმეს ადამიანებს. უმძიმეს მწერალსაც, ცხადია. უმძიმეს სულიერადაც, ეკომონიკურადაც. იქნებ სხვაზე მეტადაც – სულიერი საძირკვლების მორყევას მწერალი, სათუთი თვითცნობიერების გამო, ვერ, ან უკეთეს შემთხვევაში, მძიმედ ეგუება. ამ დროს გაჩუმება კონფორმიზმია, მეტიც, თანამონაწილეობაა იმ სულიერი კრიზისისა, იმ „საყოველთაო აბდაუბდისა“ (დოსტოევსკი), რაშიც ქვეყანა „დემოკრატიის ადეპტებმა“ ჩააგდეს. ორმოში აღმოვჩნდით. მოქალაქეობრივი, მწერლური ეთიკა მავალეებს, განსხვავებით „პოლიტიკაში არ ვერევის“ მქადაგებელთაგან, ჩუმად არ ვიყო. და მეც, რა ძალაც ღმერთმა მომბაძლა, ვგზავნი „ორმოდან“ წერილებს „ლიტერატურულ საქართველოში“, „ახალ შვიდ დღში“, „მნათობში“...

ეს დროა.

ჩვენი უახლოესი მეგობრის, ჟურნალისტ ინგა ალავიძის მეშვეობით, მიკავშირდება იმხანად ამერიკაში მოღვაწე ქართველი კაცი, შოთა ვაშაკიძე, გამომცემელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტ-გაზეთისა „კვალი“, მთხოვს თანამშრომლობას. საყოყმანო რა იყო. შევთანხმდით, კვირაში ერთხელ მივანვდიდი შვიდი დღის ქრონიკას – ჩემს ფიქრებს ჩემსავ სულიერსა თუ საზოგადოებრივ ყოფიერებაზე.

ასე იშვა „შვიდი დღის ქრონიკა“.

გაზეთის მოცულობის რეგლამენტის გამო, ცხადია, ბევრი რამ აქედან გამოუქვეყნებელი დარჩა. ამასწინათ პირად არქივს ვათვალიერებდი, ათი წლის წინანდელი ქრონიკები ახალი თვალთ წავიკითხე და

დავრწმუნდი, შეიძლება სრულად გამეცნო ის  
მკითხველისთვის.

# კვირა პირველი

## 1. კვირა, 16 დეკემბერი, 2001 წელი.

წუხელისაც ვტიხე ღამე. ვფიქრობ. დარდი მჭამს. ძილგატეხილი მძიმედ ვდგები. ერთადერთ სიხარულს რაც მანიჭებს, მზეა. ბოტანიკურ ბაღში გავდივარ. ცივი ქარი ჰქერის. მაგრამ მზეა და მიხარია. ალბათ ეს ბიოლოგიური სიხარულია, გვიყვარს სიცოცხლე, რასაც ასე მიეფაჭეულვართ, გვიყვარს და გვიხარია. მაგრამ სიხარულსაც ხომ ასპარეზი სჭირდება. თუ გულში სიცარიელეა, თუ ნაღველი გღრღნის, რა უნდა ქნა.

გაივლის ღამე – სამარე სულის,  
ო, მიხარია ეს გათენება.  
და გავალ მზეზე, მე მოქანცული,  
როგორც სიზმარი და მოჩვენება.

(გრანელი)

ხეები შაშვებით დახუნძლულა. ფერდობზე, ბალახ-ებში, კატა დასუნსულობს, ჩიტებს დასდევს. ამასწინათ ზემოიმერეთიდან ჩამოსული ერთი ახლობელი მეუბნება – სოფელში შაშვის ნასახს ველარ ნახავ, შიმშილით მუცელატკივებულმა ბლარებმა ერთიანად გაანყვესო. აი, უბედურება!

ბაღში ვილაც მეტორღიალება ხოლმე, ხან უკან მომდევს – თვალთ კეფას მიხვრეტს, ხან გვერდით – საფეთქლებს მიტეხავს, ხანაც წინ დამიდგება – სახეში ჩამჩერებია, სულს მიფორიაქებს.

საღამოს მინვეული ვარ ბარ-კლუბში „ნამი“, სოლოლაკში. ქალბატონი მადონა ნატრიაშვილი, მისი მეგობარი ქალბატონები, ტერენტი გრანელის

პოეზიის საღამოს მართავენ. გაგეხარდება, როცა ამ ჩვენს მძიმე ყოფაში კიდევ შერჩათ ადამიანებს ამგვარი სურვილები. თუ ვერაგულად არ ჩაახშვეს, დიდია სულიერებისაკენ ლტოლვა. ამ დახაფანგებულ დრო-ჟამს ამგვარი ზნეობრივი გამონათებები თუ უშველის. ქართველი კაცი საღმრთო მაშვრალობის გარეშე ღვინოდაცლილი კუპრიელივითაა. თუ სულიერ საგანძურს დავკარგავთ, ხორციელი სანუთროს პირისპირ დავრჩებით და დავიღუპებით. ტან-სახის ძვირფასეულით გამშვენიერება რას გვიშველის, თუ „შინაგანი თქუენი სავსე არს ნატაცებითა და უკეთურებითა“ (ლუკ. 11, 39).

პოეზია ხომ მარადი თანამდევია ჩვენი სულის.

ვინ იცის, საიდან მოლივლივებს პოეზია, მისი ნათება. ის არც ზევით არის, არც ქვევით, არც აქეთ, არც იქით, მაგრამ ყველგან არის. ამიტომ ანათებს მისი უხილავი სახება ყოველივეს – ვარსკვლავთა სამკვიდრებელსაც, მიწის წიაღში გაღივებულ ფესვსაც. ის ყველაფერში ძევს, თუმცა არ ჩანს, არ ისმის, ვერც შეეხები, ის იმატერიალურ ტალღებს დააქვთ აქეთ თუ იქით. შესაძლებელია მისი განმარტება?! ის ხომ დროა და სივრცე, მზეა და მთოვარე, ცაა და მიწა. ის მწვანელოვანია, ის თოვლია. გაურკვევლობა პოეზიისა – ლაბირინთია ტანჯვისა, განსაწმედელია.

დატანჯულია მართლა პოეტი,

ცრემლიანია მისი თვალები.

(გრანელი)

პოეზიამ უწოდა ამათ სახელები, ფერითაც და ბგერითაც პოეზიამ აამეტყველა. და მაინც დაფარულია, შეუცნობელი. ვინ შეიცნო, რა იძვრის მიქელანჯელოს მოსეს თვალებში, რა სურნელი

დასდის მის არაამქვეყნიურ წვერს, რა იდუმალ ძალას დაუპყრია მისი არსება?! ის ხომ დაფარულიცაა და გაცხადებულის, შეუცნობელიცაა და შეცნობილიც, ის შორეულიცაა და ახლობელიც.

თუმცა უწყის ვინმემ, რა არი შეცნობილი?!

## **2. ორშაბათი, 17 დეკემბერი, 2001 წელი.**

მზიანი დილა გათენდა, თუმცა გვარიანად ცივა. მზე ათბობს გულს. გავდივარ ბოტანიკურში, ჩიხში თათარი რასიმა მხვდება:

– ეხლა, ლერი-ჯან, ადგებიან და ვინმე ბრადიაგა რუსს მოსძებნიან... ვერ იშოვნინან თუ რა... მორფს გაუკეთებენ, იტყვის – ეს რა ცხოვრებაა!.. დააჭერს კნოპკას თითს და მორჩა!.. ისე, ეგრე არა სჯობნია, ლერი-ჯან, მა ეს ცხოვრებაა, სწორე არა ვარ?! – მეუბნება რასიმა დამტვრეული ქართულით.

ვფიქრობ: ერთადერთი, რაც შეიძლება დაუპირის-პირო რასიმას ნიჰილიზმს, შიშიდან შობილს, რწმენაა, რწმენა და არა ცოდნა რწმენაზე. რამდენი განათლებული ადამიანი ვიცი, ვითომ სახარებაც რომ წაუკითხავს, მაგრამ რად გინდა, რწმენის სარკმელში წამითაც არ შეუჭვრეტია, წამით არ მორეგია ცრემლი გოლგოთის მისტერიის შემგრძნობელს, ქრისტეს მცნებანი მათემატიკური ფორმულებივით დაუხეპირებია, თავს გაბეზრებს. საშინელებაა რელიგიით კეკლუცობა. რამდენი არანიგნიერი ადამიანია, რწმენაში რომ დგას. ამგვარმა რწმენამ იხსნა ადამიანი წაწყმედისგან, არა განათლებული ივან კარამაზოვის ყოვლისდამანგრეველმა პოსტულატმა: «Нет Бога... всё дозволено!»

რატომ ვფიქრობ ასე?!

დღეს ამდენი ეკლესია იგება, ტაძრებშიც მრევლმა იმატა, მაინც ამნაირ უღმერთოებაში,

უზნეობაში დავნთქმულვართ.

საშინელებაა რელიგიით კეკლუცობა-მეთქი. არც აღმსარებლობისადმი დამოკიდებულებაა ერთჯერადი აქტი, რალაც უძრავი, ერთხელ და სანიადაგო მოცემულობა, როგორც ეს რელიგიურ ფანატიზმში ჩავარდნილ „მორწმუნეთ“ წარმოუდგენიათ, რომელთა სანუგეშებელი სიტყვებიც მწუხარებაში ჩავარდნილი მოყვასისადმი წმიდა წერილიდან ამოგლეჯილ დოგმატურ ფორმულებს არ სცილდება. ამათ სინრფელე და თანალმობის ნიჭი არ ჰყოფნით, იმ განსაცდელშივე მოახვეჭინონ ადამიანს სასოება და რწმენა, რა განსაცდელშიც რეალურად ჩავარდნილან, პირიქით, სტანდარტული შეგონებებით უფრო ღრმა სასონარკვეთილებაში აგდებენ. გაიხსენეთ ბერი ზოსიმეს სიკვდილისწინა ქადაგება „კარამაზოვებიდან“. ისინი რომ წრფელნი და ჭეშმარიტი თანამლმობელნი იყვნენ და რელიგიური ეგზალტაციით არ იყვნენ შეპყრობილნი, ეცოდინებოდათ, რომ აღმსარებლობა პროცესია, მოძრაობაა, სწრაფვაა, გზაა, რომელ გზაზეც შეიძლება დაეცე კიდეც, კიდეც აღდგე, შეიძლება იჭვმა, ყოყმანმაც შეგიპყროს.

სხვას თუ არ უნდა ამის გაგება,  
შენი გაიგებს ნაძვი და ფიჭვი, –  
რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება,  
არამედ კაცი რწმენით და იჭვით.

(გალაკტიონი)

შეიძლება იჭვმაც და ყოყმანმაც შეგიპყროს, მთავარია გული სიყვარულით გაგლიცლიცებოდეს, როგორც პეტრე მოციქულს, რომელმაც სამგზის უარყო უფალი, გოლგოთისკენაც პირველი გაიქცა, უფლის ჭეშმარიტი აღდგომა რომ ერწმუნა. და მაინც, გაიხ-



სენეთ, უფალი რას ეუბნება: „და მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“ (მათ. 16,18). და იქვე: „და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი“ (მათ.16,19). ვფიქრობ და გარშემო ეკლესიათა ჯვარ-გუმბათები ილანდება. ცა მონყენილია, ლამაზი. სიზმარივითაა. და განა შეიძლება როდესმე ცა ულამაზო იყოს?!

ბაღში გავედი... იქაც ბილიკზე

ფენილი იყო ფოთოლი რბილი,

და დიდხანს, დიდხანს ვხეტიალობდი

წარსულ სიზმარში გადაფრენილი.

(გალაკტიონი)

ხეზე მონყენილ შაშვს თავი დაუქინდრავს. იქნებ მარტოსულია. იცის ვინმემ, რას იხსენებს, ვის იხსენებს?! მძიმეა ყოფა მარტოსულისა – კლდეს ჰგავს შუა ზღვაში.

ოთახში რომ შემოვბრუნდი, ტელეფონი გავთიშე – არ მინდა რამე უსიამო ზარმა დამირღვიოს ორშაბათი დილა. ნიადაგ ავის მოლოდინში ჩემმა მტერმა იცხოვრა. ცხოვრების ქარტეხილები ჩემთვის უცხო არ არი, მაგრამ ზღვარგადასული, როგორც გოეთე ამბობს, შენს მტერს. ამ ჭმუნვაში თუ კალამს ხელი ვერ შევავლე, რას დავეფუძნო?! ადამიანები ხომ მუდმივ შიშში ვართ, შიშის ძლევით ხან რას ვებლაუჭებთ, ხან რას. შემოქმედებაც, მგონია, შიშის ძლევაა.

სალამოზე ციცომ დამირეკა, გიორგის ცხვირიდან სისხლი წასკდომია. მკურნალობის მეორე კურსი დავუმთავრეთ, უკეთესობა უნდა ყოფილიყო, ეს რაღას ნიშნავს?! ფიქრის უნარი წამერთვა, უაზროდ ვზივარ მაგიდასთან... როგორც ყოველთვის, მოვიკრიბე ძალა, ვამუშვებ მასალებს რომანისთვის „ელიაზარის

დაბრუნება“. ვნერ, წინ მივიწევე.

თუმცა ფიქრი სად არ წაგიყვანს.

დავით აღმაშენებლის თხზულებაში, „გალობანი სინანულისანი“, აზრთა წყობა მიდრეკილია არა მეფისკენ, არამედ ადამიანისკენ, ქრისტიანისკენ, ვისაც ღრმად შეუმეცნებია თავისი ადამიანური ცოდვანიცა და ბიბლიური ცოდვითდაცემის აქტიც: „მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი“. დავით მეფეს, როგორც მისივე აღსარება გვამცნობს, პოლიტიკური ვითარება აიძულებდა ემოქმედა სასტიკად, ქრისტიანული ბუნების საწინააღმდეგოდ, ის ექმნა, რისი ქმნაც იქნებ სულაც არ ეწადა. ამის საფუძველი გახლდათ მისივე ხელმწიფური ვალდებულებანი და ზრახვანი და ქვეყნის იმჟამინდელი ისტორიული მდგომარეობა.

### **3. სამშაბათი, 18 დეკემბერი, 2001 წელი.**

დილაუთენია ციციმ დამირეკა – ისევ წასკდომია გიორგის ცხვირიდან სისხლი.

მივდივარ.

გავდივარ სამსახურში, წვალებით ვშოულობ ორმოცდაათ ლარს. ვნახულობ ძველ თანამშრომლებს, პროფესიონალ მთარგმნელებს, სხედან უსაქმოდ, მათხოვრული ხელფასის მოლოდინში სახეზე მელანქოლია, უსასოობა აწერიათ.

მთარგმნელობით კოლეგიას, დღეს ფუნქცია-დაკარგულს, 1970-იანი წლების დამდეგს დაედო საძირკველი, ოთარ ნოდიაშვილი, კოლეგიის თავმჯდომარემ, შემოიკრიბა დასავლური თუ აღმოსავლური ენების მცოდნენი, მაღალპროფესიონალი მთარგმნელები, მწერლები. იმდროინდელ საბჭოთა სივრცეში ერთადერთი ორგანიზაციის ამოცანები

მკაფიოდ განისაზღვრა – ქართული წიგნიერი საზოგადოება ეზიარებინა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურისთვის და დასავლეთევროპელ, რუს თუ ბალტიელ მკითხველს შემოდლოლოდა მრავალსაუკუნოვანი მწერლობის სამყაროში. ამ უაღრესად მამულიშვილური მისიის შესასრულებლად, რამდენადაც შეგვეძლო, ძალისხმევას არ ვიშურებდით. ბატონი ოთარი, როგორც ბუნებით დემოკრატი, ყველას, ვინც შემოქმედებით ღვანლში იყო, შინაურსაც და გარეშესაც, უშურველად ხელს გვიმართავდა.

ჩართავ „კურიერს“ და აბა ეგ არი – ამ პარლამენტარ-მინისტრებს თუ მინისტრ-პარლამენტარებს ნიადაგ ერთმანეთისკენ გაუშვერიათ ხელი – არა, შენ ხარ კორუმპირებული, არა, შენო, ღორი ღორს რომ ეუბნება, შე ტალახიანოო, ისე. საკვირველია, ამდენი ცოდვის პატრონებს, ღამე რა აძინებთ?! ჩადენილმა ცოდვებმა ბოლოს რიჩარდ მესამესაც თავზარი დასცა, ესენი რა ამნაირი თიხისგან არიან მოზელილი?! არ მეგულება პლანეტაზე ქვეყანა, სადაც ასე ჩამოყალიბებულიყოს სახელმწიფო მოხელის უტიფარი სახე. არ იკითხავთ, ქ-ნ სპიკერს ქმარი გენერალური პროკურორის მოადგილედ რატომ დაუნიშნავს?! კორუფციას რომ ებრძოლოს. ამაზე შორს ცინიზმი შეიძლება წავიდეს?! გაგონილა, კორუფციონერთა ხელით კორუფციის დამარცხება?! მერე რაო, თავს იმართლებენ, კანონი ხომ არ დაგვირღვევიაო. იურიდიულ კანონს როდესღაც კიდევ ეშველება რაღაც, დარღვეული ზნეობრივი კანონების აღდგენას, ათეული და ზოგჯერ ასეული წლები რომ სჭირდება, რა ეშველება?! სწორედ ზნეობრივ და სულიერ კოდექსთა რღვევამ მიგვიყვანა დღევანდელ დეგრადირებულ ყოფამდე. რა მანძილია ბოროტი ზრახვიდან ბოროტ საქმემდე?! ის, რაც თესლსა და ფესვს შო-

რის. თუმცა მჯერა, მოვა დრო და სიმართლის მახვილით – უფლის სიტყვით მაცხოვარი შუა განკვეთს ბოროტს და კეთილს, სინათლის ძეთ ბნელეთის ძეთაგან.

გიორგი არ მყავს კარგად. ახალ წელს ვინ ჩივის, იმასლა ვფიქრობ, იმდენი მაინც ვიშოვნო, შვილს სისხლის ანალიზი გავუკეთო.

„გალობანში“ ერთ-ერთი მთავარი მოტივი სინანულისა არის ვნებათა დაუოკებლობა, ხორციელი ნეტარებით ლხენა. „ცოდვათა და ხორცთა შჯულსა“ დავემონეო, აღმსარებლობს დავითი. თხზულებაში ეს მიღწეულია თვითშემეცნების სიღრმით, აზროვნების იმ ზღვრით, რომლის იქითაც, როგორც ჩანს, ადამიანური შემეცნების შესაძლებლობანი ერთ მეტაფიზიკურ საფუძველს ემყარება და ყოველთათვის საერთო კონცეფციას მოიხილავს. ვნებათა დათრგუნვაზეა ლაპარაკი პლატონის, სენეკას, პლოტინის, ლაო-ძის, ჯუან-ძის თხზულებებში, ძველსა და ახალ აღთქმაში, უპანიშადებში, მაგრამ ისინი ფილოსოფოსები, რელიგიათა ადეპტები, წმიდანები, გამოქვაბულებსა თუ სენაკებში გამოკეტილი მოაზროვნენი იყვნენ. ხოლო დავითმა ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა მიეღწია ვნებათა სრული დათრგუნვისთვის, ის ხომ ხელმწიფე იყო, სახელმწიფოებრივი ვალდებულებებით დადგინებული თვისი ერისა და ქვეყნის წინაშე. შენ მომეც ხელმწიფება, მიმართავს უფალს, ხოლო მე „ვნებათა ბილნთა“ დავემონეო. ის იყო მოღვაწე, ხელში ხმლით ერის წინამძღვარი. „და არა ჰრულოდა მეფესა“, გვამცნობს მემატრიანე, „და ვითა ლომი შეუზახებდა ხმითა მალლითა და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდაო“. ცნობილია, პერიკლეს მეფობის დროს რა სიმალლეებს მიაღწია ათენმა, როგორც ქალაქ-

სახელმწიფომ, მაგრამ ამ ჰუმანისტი მეფისთვისაც კი, უცხო არ ყოფილა ძალაუფლების პყრობისთვის ექმნა ანტიჰუმანური საქმენი. „ბჰავად-გიტამი“ უფალი კრიშნა არჯუნას ურჩევს: თუ გინდა დაადგე ხსნის გზას, იომე, იომე მოვალეობათა აღსასრულე-ბლადო.

#### **4. ოთხშაბათი, 19 დეკემბერი, 2001 წელი.**

ვდგები მძიმედ, სიზმრებით გათანგული. ცა ღრუ-ბლიანია, პირქუში.

გიორგი ავად არი, მე კი არავითარი საშუალება არა მაქვს. ვდგები და არ ვიცი, სად ვეძიო სახსარი. ამ დილას, სკოლაში რომ აპირებდა წასვლას, კიდეც წასკდომია სისხლი. ვიყავი დილომში, ბავშვთა რეს-პუბლიკურ საავადმყოფოში, ლევან ბახტაძესთან, ცნობილი ჰემატოლოგია. აუცილებელია სისხლის კოაგულოგრამის გაკეთება.

ვრთავ „კურიერს“. იგივე სურათი: თვეობით, წლო-ბით გაუცემელი პენსიები, ხელფასები, დახმარებები. პარლამენტის წინ, რუსთაველზე, ინვალიდთა ლიგის საპროტესტო მიტინგია, პოლიციელთა კორდონი „კა-ლიასკიანი“ ინვალიდებისგან „იცავს“ შენობას. მოით-ხოვენ ქალბატონ ბურჯანაძის ჩამობრძანებას. თუმცა მაგათ ხალხისთვის სად სცალიათ, „სახელმწიფო“ საქ-მეებით არიან შეწუხებულნი. საკვირველია, როგორ ჰგავს ყველაფერი ეს კომუნისტებისდროინდელ სუ-რათს. ნუთუ არაფერი უნდა შეიცვალოს?! ღვთის სას-ჯელია სწორედ. თუმცა რა გასაკვირია, პარტმუშკთა ოჯახებში „აღზრდილებს“, მეტი რა მოეკითხებათ. ამათ ჰგონიათ, ხალხს მახსოვრობა არა აქვს, უფრო სწორად, უნდათ, რომ არ ჰქონდეს. თქვე ღვთისგან განდგომილ-ნო, ხალხი თავის წიაღში ათასწლოვან ლეგენდებსა და

მითებს ინახავს, ოცი და ოცდაათი წლის წინანდელი ამბები აღარ ემახსოვრება?! ნუ ცდილობთ, თითო-თითოდ ჩამოირეცხოთ ტანსაცმლიდან ლაქები, მთლიანად გამოიცვალეთ, თორემ რა – ერთ ადგილს რომ ირეცხავთ, ჭუჭყი მეორე ადგილზე გადაგდით. ჩვენ, კი ბატონო, მსხვერპლნი ვართ თქვენი, მაგრამ უწყოდეთ – ჩვენ თქვენზე სრულნი ვართ, თქვენ, ნახევარ-კაცებმა, დააქციეთ ქვეყანა.

ელიაზარზე ვფიქრობ.

ელიაზარი, მახსოვრობის საკვირველი ძალით, ისე სენებს როგორც თავის ამჟამინდელ, ისე ოდინდელ ყოფიერებას, იქ ჭვრეტს თავის პირველსახეს, გოლიათს, ცეცხლისმფრქვეველი ლახტით, ნაჯაჭვარი მაჯა-კოჭებით. ვინ არი ის, თავისი ხორციელი და ბუნებითი სახით, საქმენით, აღჭურვილობით?!

მითიური ამირანია.

„ზეცის ქარცეცხლიან თავანს წითელ რაშზე ამხედრებული გოლიათი მოარღვევს, ხატადქცეული და გვამს ჩაბრუნებული, პირქუში, წითელი ნისლით სახემობურული, საცრისხელა თვალებს აბრიალებს და იქნევს უშველებელ ხმალს, მისივე ხელით თუბალკაენის ბეჩო-სამჭედურში გამოჭედილს, ლაშქრავს დევთა, ქაჯთა ნასადგომარს, ცეცხლისმფრქვეველი ლახტით მთებს გლეჯს“. მის წიაღში დასაბრუნებლად, უფრო სწორად, თავის წიაღში მის გამოსახმობად, ზეკაცური ძალით იღვნის ელიაზარი, რომ აღდგეს მასში, აღორძინდეს, განახლდეს. „და მე მგონია, მე ვარ ის გოლიათი, ათასწლებში მთვლემარე, გამოღვიძებული“.

## **5. სუთხაბათი, 20 დეკემბერი, 2001 წელი.**

აჭრილი ამინდია, გაურკვეველი, მზეც არი, ღრუ-

ბელიც, ქარიც. ყინავს. გული მტკივა. ახალი წელი ახლოვდება, მე კი არსაიდან გროშსაც არ ველი. მთელი ფსიქიკა იმას დაუპყრია – სად, როგორ ვიშოვნო ის მცირედი თანხა, ნამცხვარი რომ მაინც ვუყიდო საახალწლოდ ჩემს გიორგის (უყვარს ნამცხვარი, რა ქნას). ამ დუხჭირ ყოფაში ჩაძირულა დღეს მწერალი.

ისევ იღბალმა და საოცრებამ  
უმზეო დღენი ჩემს წინ გაფინეს.  
შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ! –  
მომეცი ფრთები და გამაფრინე.

(გრანელი)

ხელისუფლებამ ხახვის ნაფცქვენს დაამგვანა ქვეყანა.

ჯანომ დამირეკა, ჯანელიძემ. ძველი მეგობარია ჩემი, ერთგული, გულითადი. თუმცა ზოგჯერ ფიცხია, სტიქიურიც, უალრესად მგრძნობიარე, როგორც მისი ლექსის სტრიქონი. მაინც იმას ვერაფრით იტყვი – წრფელად არ ვუყვარვარ, კონფორმისტია, ნიჰილისტიკაო. მხურვალე გულისა და მჭრელი ენის პატრონი, როგორც იტყვიან, ხმალამოღებული ებრძოდა აფხაზეთში საქართველოს მტრებს, ახლა საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად ქცეული, უღვთოთ გამეტებულ სამშობლოსა და ტრაგიკულად დაღუპულ პირმშოს ხვედრზე თანაბრად ჭმუნვარე. წრფელი გულით გვიყვარს ერთმანეთი... ამასწინათ მწერალთა კავშირში, გამგეობის სხდომაზე, რეზო მიშველაძე კავშირიდან გაურიცხავთ თუ რაღაც ამგვრი, დანამდვილებით არ ვიცი. მე არ დავსწრებივარ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ გავედი კავშირიდან. ვისაც მიშველაძის გარიცხვაზე დასტური მიუცია, ყველას წერილს უწერენ. ჰოდა,

ეს ხვედრი არც ჯანოს ასცდა, ახლა ის რევანშისტის ემზადება. ასეთია ჯანო. ის იხსენებს, 1974 წელს მე რომ მიშველაძემ წერილი დამიწერა და ახლა მას უნდა ეს თავის პასუხში დაიმონმოს. მე ვურჩევ: არ ღირს, საერთოდ ნუ უპასუხებ-მეთქი. ჯანო რას გადაწყვეტს, არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ამდენ დაგროვილ ღვარძლს თუ მიტევება, დათმობა არ დაფუპირისპირეთ, ურთიერთმტრობა ნალეკავს ქვეყანას. ერთხელ აკაკი განერელიამ მითხრა: რაც მე პოლემიკაში მეღანი დამიხარჯია, ის რომ საქმისთვის დამეხარჯა, ხომ აჯობებდაო... მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენ ვმეგობრობდით (საერთოდ, ბატონ აკაკის უყვარდა ახალგაზრდებთან მეგობრობა), სუფრაზეც ინახად ხშირად ვმჯდარვართ. ერთ რამედ ღირდა მისი მოსმენა. საოცარი მახსოვრობის პატრონს, პოლემიკოსს, ბრწყინვალე მეცნიერსა და ორიგინალური თხზულებების ავტორს, მწარე ენა ჰქონდა, შენს მტერს, ვისაც მისი ნესტარი მოხვდებოდა. მწერალთა კავშირში, ფოიეში ვდგავართ, მეორე სართულზე, იღება ბესო ჟღენტის კაბინეტის კარი, იქიდან ეგზალტირებული აკაკი გამოდის, ღია კარში ბესოს უყვირის: სამკურნალო ხარ, ბესო, ავლიპი გჭირდება, ზურაბაშვილი, მაგრამ ავლიპიც რომ სამკურნალოა, რალა ვქნათ ანო!

ხვალ გიორგის სისხლის ანალიზს ვუკეთებთ. ვლელავ. ჩემს მტერს, რამე სერიოზული აღმოაჩნდეს.

სალამოს სამარშრუტო ტაქსით ვბრუნდები. ოპერის აივანზე უზარმაზარი აფიშაა ჩამოშვებული, რაც ხვალ, 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს გვაუწყებს, და რომ ეს დღე იუბილით აღინიშნება(?!). მართალია, სტალინი დიდი „მუჟიკი“ იყო, მაგრამ კორუმპირებული არ ყოფილა, მას ამისთვის, როგორც გრიგოლ რობაქიძე ამბობს, „ორგანო არ გააჩნდა“.



ვინ იცის, დღეს ჩვენს დაბეჩავებულ ყოფას სწორედ არაკორუმპირებული „მუჟიკი“ დიქტატორი სჭირდება.

თფუი, ისე როგორ უნდა გამწარდე, დიქტატორი ინატრო, თანაც „მუჟიკი“.

გავჩერებივარ მანქანის სარკმლიდან ნახევრად-ცარიელ ქუჩებს და ტანში რაღაც სველი შიში მიძვრება, რაღაც გარდასულს მახსენებს, იმ ავადსახსენებელ რიცხვს – „37“, რასაც არც მე, არც ჩემი თაობა არ მოვსწრებივართ, თუმცა მის სასტიკ შედეგებს დღესაც ვიმკით. განა ჩემი ლექსი „ჯოკონდა“, 70-იან წლებში რომ დაინერა და გამოქვეყნდა 1990 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“, ანარეკლი არ არი იმ საშინელი წლებისა, რამაც ფეხქვეშ გათელა ჩვენი ბიჭობა, ჭაბუკობა, კაცობა, დაგვიბზარა გულები?!

წყვდიადში მუნჯები ჩამდგარან,  
მოლოდინს ზვერავენ ფარნებზე,  
დარბიან ბავშვები კარდაკარ  
და ხსოვნას ხატავენ ფანჯრებზე.  
ნიღბები ეცემა ტროტუარს,  
ბელურა უმნეოდ კანკალებს,  
მონარქი კითხულობს „ბოჯუარს“,  
მონარქი საშიშად ხარხარებს.

.....  
იჭვით და ფარული განგაშით,  
ილიმის კედელზე „ჯოკონდა“,  
ნიღბები, სისხლი და თავზარი  
მდინარეს კივილით მოჰქონდა.  
დაძრნიან მუნჯები ქარდაქარ  
და ბანრებს ჰკიდებენ კედლებზე,  
კედლებზე ხატავენ კარდაკარ

ნაქცეულ ბავშვებს და ბელზებელს.

.....

და კვდება გრიგალში ბელურა,  
რიყეში ყორანი ყრანტალებს,  
მოკვეთეს „ჯოკონდას“ მხეცურად  
თავი და მონარქი ხარხარებს.

ეს მონარქი – დიქტატორი არ იყო, ფაბრიკა-ქარხნებს, კაშხალებს, გზებს, ხიდებს აგებდა, დაბა-ქალაქებს ბალ-სკვერებით ამშვენებდა, შუქს, გაზს, მათხოვრულ ხელფასს არ გვამადლიდა?! მაგრამ რა, ზნეობას, ღირსებას, სულიერებას შანითი დასდევდა, ვინც იმისებურად არ ფიქრობდა, საკონცენტრაციო ბანაკებში ხელფეხბორკილგაყრილებს წამებით სულს ხდიდა, გულაგთა გაუმადლარ სტომაქს წამებულთა გვამებით ყორავდა, გამცემლებს, ჯალათებს ოცდაათ ვერცხლად ყიდულობდა. ქვეყნად იუდეებს, ქობულოვებს რა გამოლევს. მის ფერხთაქვეშ მფორთხავთა ხროვას ღორთა ულუფას ათქვლეფიებდა, ჩიბუხის ბოლში ნეტარებდა, „ჯოკონდას“ გილიოტინაზე თავს კვეთდა, ტაძრებს ანგრევდა. მახსენდება შარდენის ტილო „ნატურმორტი“ – წიგნებთან, ხელნაწერებთან, სხვა ნივთებთან მაგიდაზე დევს თავი ნერონისა, მართალთა – ქრისტიანეთა სასტიკი მღვენელისა, ახლა მაგიდის დეკორაციადლა ქცეული.

ღმერთს ეტოქებოდა, ღმერთმა კი დაამხო.

ან დღეს ვის ადარდებს ნეტა ხერხემალში გადამსხვრეული ქვეყანა, ნახევრადდაპყრობილი, საზღვრებმოქიაქებული. ადარდებს კი არა, ტაშფანდურა გაუდით. ვინ იცის, პილატესავით რამდენჯერ გადიბანეს ხელი საკუთარი ხალხის სარბევად და საწიოკებლად. პილატეს ერთი წამით მაინც დაენანა იესო, თითქო რაღაც იგრძნო, ამათ დანდობის ნატამალიც

არ გააჩნიათ. ან ამ კომუნ-ისტობას, ბელად-ისტობას ნეტა ბოლო როდის უნდა მოელოს?! როდემდე უნდა ვცხოვრობდეთ ნეტა ბოლშევიკური ცნობიერებით?! ამ „ისტებს“, ყველას ერთი სნეულება რომ შეჰყვრია, ზოგს – ფანატიკური გონებაჩლუნგობა, ზოგს – გლახუჭური ავანტურისტობა, ზოგსაც – ორივე ერთად, ბარბაროსული კერპთაყვანისმცემლობისაგან ნეტა როდის უნდა დაიხსნან თვი?!

შემინდეთ, დებო და ძმებო, მომიტევეთ – წელან სიმწარემ მანატრებინა დიქტატორი. ჯანდაბას: ნუ იქნება შუქი, ნუ იქნება გზა, ნუ იქნება პური, ოლონდაც არ იყოს დიქტატორი – „ჯოკონდას“ თავისმკვეთელი, სიკეთის მაოხრებელი, კაცთამოდგმის მტერი და მოძულე.

გაიტანეთ სანახევზე ეს „მუჟიკი“ დიქტატორი!

„კურიერი“ იუწყება, რომ დღეს ათი წლის ლიკას, დაბადებით ყრუს, თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაცია გაუკეთეს. ლიკამ გაიგონა – ეს ბედნიერებაა. მიუხედავად ჩვენი წყალნადებული ყოფისა, ადამიანები მაინც ახერხებენ მადლის ქმნას.

ფიქრით კი, უკვე რახანია, ვაჟა-ფშაველას სამყაროში დავბოროილობ, ალუდა ქეთელაურის წუთისოფელს ვუტრიალებ.

ვაჟასა და ალუდას შორის ბევრი რამ საერთოა. ალუდა ვაჟას არა მხოლოდ პოეტური შემეცნების ნაყოფია, მისი ზეპიროვნული „მეს“ პროექციაცაა. იმ სულიერი გარდაქმნისა და ამაღლების გზამ, რამაც ალუდაში გაიარა, უწინარესყოვლისა, ვაჟას თვითშემეცნებაში გაიარა, მათი შინაგანი კატაკლიზმები იგივეობრივნი არიან. პოეტმა, ვიდრე ზეგარდამოძალი პოემას უკარნახებდა, გაიარა რთული გზა სამყაროს შემეცნებისა, გენიოსის გუმანით იგრძნო

კაცობრიობის წარსული და მომავალი ბიოგრაფიის ბედი. შემეცნების ეს გზა გაცხადდა შედეგით, ანუ დასკვნით – პოემის შეთხზვით. რანამსვე ვაჟას თვითშემეცნებაში ჩამოიძერწა მალლით ნაკარნახევი მსოფლმხედველობა, იმნამსვე ჩაერთო მისი მხატვრული გენია – სიტყვიერ ფორმაში გაეცხადებინა ყოველივე. პოემა იწყება სწორედ იქ, სადაც მთავრდება თვითშემეცნების პროცესი, ანუ იქ, როცა პოეტმა სრულად გაიცხადა თვითშემეცნებით ინსპირირებული საკაცობრიო ტრაგიზმი. და აქვე ხდება პოეტის შინაგანი აფეთქების, აღზევების აქტიც, ძალუმი ინტუიციისა და თვითხილვის სიღრმის უეცარი გამოვლენის წყალობით გამოაშკარავდა ის პოეტური სიბრძნე, რაც პოემაშია გაცხადებული.

## **6. პარასკევი, 21 დეკემბერი, 2001 წელი.**

ვფიქრობ, იქნებ პრემია მომცენ, ცოტახანს ამოვისუნთქავ, მაგიდასთანაც გულდინჯად დაფვდები... თუ კაცი ხარ, მაგალითად ვაჟა-ფშაველა ნუ მოგყავს! ვაჟა გენიოსი იყო. ეს ერთი. გენიოსთა ხელში სანუთისოფლო ხაფანგები ბავშვის სათამაშოსავით იმსხვრევა, ის რომ ლოდს გადაალაჯებს, მე იმ ლოდზე მთელი ცხოვრება უნდა ვიბორტყო. ავალწევ კი?! მეორეც. დააკვირდი სურათზე პოეტს – ორმოცდაათი წლის კაცი ოთხმოცი წლის ბერიკაცს ჰგავს. როგორ გგონია, ნეტარი ცხოვრებისაგან?!

გიორგიმ სისხლის ანალიზი გაიკეთა. რასაც ჰემატოლოგი ვარაუდობდა, ღმერთმა გვიშველა, ის არ აღმოჩნდა. ციცოს და ჩემს სიხარულს საზღვარი არ აქვს, გიორგიც იუმორის გრძნობას არ კარგავს.

დღეს, ზედ კონსერვატორიის კართან, საზარელი მკვლელობა მოხდა: ქმარმა ცოლი და სიდედრი მო-

კლა, დაჭრილია გამვლელებიც.

ღმერთო, შენ გვიშველე!

შარშან თუ შარშანნინ, აღარ მახსოვს, საერთაშორისო კვლევამ გამოააშკარავა, რომ პროცენტულად ძაღლებისაგან დაკბენილი ყველაზე მეტი ადამიანი საქართველოშია. რატომ?! ჩვენებური ძაღლები არიან აგრესიულები და იმიტომ?! უსამართლობამ, ცხოვრებისეულმა უკუღმართობამ ქართველები აგრესიულები გახადა და იმიტომ.

ზუგდიდში დევნილთა დიდი აზვირთებაა, არბევენ ქალაქს, ქვებს უშენენ ბანკის შენობას, მერიას. ხელისუფლებას ასე გაენიროს საკუთარი ხალხი, პლანეტაზე მეორე ქვეყანა არ მეგულება. შურისძიებას ჰგავს როგორღაც. მაგრამ მწამს, მოვა დრო – დევნილნი მოიხელებენ მდევნელთ.

საქართველოში განათლების პრინციპები რომ მოოხრებულა, სკოლის მონაფემაც იცის. ხოლო სამინისტროში, როგორც ჩანს, ყველაფერზე „სწუხან“, გარდა განათლებისა, მინისტრი კი გამოდის, თავხედურად გემოძვრავს. აგერ, ამხელა ქვეყნის – არგენტინის პრეზიდენტს ეყო ღირსება (თუ ჭკუა, არ ვიცი), ადგა და გადადგა. შენ ერთი სამინისტროსთვის ვერ მოგივლია, შეელიე მაგ სავარძელს და მიბრძანდი, რა სულში უფათურებ ბავშვებს ხელებს?!

„ალუდა ქეთელაურში“ გაცხადებული მსოფლმხედველობა, რასაც პოეტი ალუდას სახეში აყალიბებს, პოემაში ორი ასპექტით იკვეთება: ალუდას მუცალთან და ალუდას თემთან დამოკიდებულებაში. ეს ორი ასპექტი კი არ ემიჯნება, ერწყმის ერთიმეორეს, ერთი სრული პიროვნების გაცხადებას ემსახურება. ალუდასა და მუცალის ბრძოლა, მგონია, კაცობრიული ცხოვრების იგაფურ-მეტაფორული

სურათია. ვაჟასთვის, როგორც ალუდასთვის, ეს გზა თვითშემეცნების გზაა. ალუდა რომ შემეცნებელი პიროვნებაა, ეს მისი დახასიათებიდანაც ჩანს:

ალუდა ქეთელაური  
კაცია დავლათიანი,  
საფიხნოს თავში დაჯდების,  
სიტყვა მაუდის გზიანი.

ამ დახასიათებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გმირის პიროვნული შემეცნებისთვის. ამ დახასიათებას ორი მხარე აქვს: ალუდა, როგორც „დავლათიანი“, „კაი ყმა“, რაინდი. ალუდა, როგორც ფიქრიანი კაცია, ანუ თვითშემეცნებელი, ვისაც „სიტყვა მაუდის გზიანი“. როგორ კაცს „მაუდის გზიანი“ სიტყვა, ანუ დამჯდარი აზრები?! ფიქრიანი კაცს. ალუდა ფიქრის კაცია, თვითშემეცნების მორევში დაძირული კაცია. ხოლო ფიქრი და სიტყვა რომ ერთია, ამას თავად ვაჟას ერთი ნერილიც გვიდასტურებს. „კაცს რომ ფიქრი არა ჰქონდეს, – წერს პოეტი, – შენი მტერი, რომ კაცის ყოფნა იქნებოდა ნუთისოფელში: მაშინ ხომ ველარც ენა იენავებდა და დამუნჯდებოდა მთელი კაცობრიობა“. როგორც ვხედავთ, ვაჟა ფიქრს ენასთან, ანუ სიტყვასთან აიგივებს.

## **7. შაბათი, 22 დეკემბერი, 2001 წელი.**

ცა მოწმენდილია. მზეა. ყინავს. ბოტანიკურში ვარ, მთაზე. ქვევიდან ისმის ზარების რეკვა. რეკენ ეკლესიის ზარები. უხარია გულს.

ირეოდა გალობა  
შორი, ხმადაბუგული,

ორღანოთა გალობა  
და ზარების გუგუნნი.

(გალაკტიონი)

მინარეთიდან მოლა ყივის...

დღეს მირანგულ ავსაჯანიშვილის ორმოცზე ვარ მიწვეული. ვმეგობრობდით. გულლია ბიჭი იყო, თავისებური, გულით პოეტი, მომლხენი. ჩემი ლეონიკოს საფლავის მოსაკეთებელი ქვები, უმშვენიერესი დიაბაზი, ყაზბეგიდან უსასყიდლოდ სწორედ მირანგულას წყალობით ჩამოვიტანე. ბევრისმნახველ კაცს, იუმორი არ ჰკლებია. მელიმება, როცა მისი ცხოვრებიდან ერთ მომენტს ვიხსენებ. შემთვრალი მირანგულა, ღამით, თავახდომი სანიაღვრე ჭაში ჩავარდნილა, შერყევა მიუღია. გაუსინჯავს ნეიროქირურგს, სიგუას – ტვინის შერყევა გაქვს, საავადმყოფოში უნდა დარჩეო. – მე არავითარი ტვინის შერყევა არ მაქვს, – შეჯიუტებია მოხვეურად ექიმს. – კაცო, ოცდაათი წელიწადია სხვა არაფერი მიკეთებია, შენ მასწავლიო! – არი თურმე ერთი ჯიკაობა – კი იქნება, არ იქნება. – იცი, რას გეტყვი, ძმაო, – გაფიცებულა ბოლოს მირანგულა, – ტვინის შერყევა იმას აქვს, ვისაც ტვინი აქვს, მე გრამი ტვინი არ მაქვს, ტვინის შერყევა საიდან მექნება! ღმერთმა აცხონოს.

იმ დღეს „ალიონში“ ჩამწერეს. სახელმწიფო პრემია თქვენთვის რას ნიშნავსო? ფულს-მეთქი, ვუპასუხე. ამოჭრეს – საბჭოთა მენტალობიდან ჟურნალისტიკას ჯერაც თავი ვერ დაუღწევია. ყველასთვის, ვინც პრემიაზე წარდგენილია, ფულს ნიშნავს, აბა ცარიელი მედალი ვის რა ჯანდაბად უნდა, გაღატაკებულ ხელოვანს პრესტიჟისთვის სცხელა?! პრესტიჟისთვის აგერ „ღირსების მედალს“ არიგებენ... ბითუმად. ნეტა, ვის რაში სჭირდება?! ნოდარ მაგალობლიშვილმა, ამ ღირსეულმა მსახიობმა, როცა ამ

„ჯილდოზე“ უარი თქვა, ქალბატონ კულტურის მინისტრს, გოგიბერიძეს, გაუკვირდა. რა გაგიკვირდათ, თქვე მამაცხონებულეზო, მაგ ნაგლეჯი ჟემტის მაგივრად ერთი ხუთასი დოლარი გეჩუქებინათ, ერთხანს გაიტანდა გაჭირვებული მსახიობი თავს. ამ ნიჭიერმა კაცმა როლზე იფიქროს, პურის ფულზე, თუ რაზე?!

ამან ის დრო გამახსენა, 1958 წლის სექტემბერი, მარჯანიშვილის თეატრში რომ მოვენყვე სამუშაოდ. თეატრზე ბავშვობიდანვე შეყვარებული, აქტიორობას ვაპირებდი. 1955-1957 წლებში პიონერთა სასახლეში დრამატულ წრეში დავდიოდი, ვმონანილეობდი სპექტაკლებში. ბევრს ვკითხულობდი ქართული თეატრის ისტორიას, ჩემი კერპი უშანგი ჩხეიძე იყო. ვიცნობდი რუსული, დასავლეთევროპული თეატრების ისტორიასაც, შექსპირის, იბსენის, გოეთეს, შილერის, გოგოლის დრამატურგიას. თოთხმეტი წლისამ ზეპირად ვიცოდი შექსპირის მონოლოგები ივანე მაჩაბლისეული თარგმანებიდან.

სწორედ ამ ლტოლვამ თეატრისადმი მიმაცენა მარჯანიშვილის თეატრის კარს. მახსოვს, გასაუბრება ჩაგვიტარა ცნობილმა რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა. ჩვენთან ერთად დასში ჩაირიცხა გოგი ქავთარაძე, ჩემი საყვარელი მეგობარი, ახლა უკვე სახელმობხვეჭილი მსახიობი და რეჟისორი. ეს იყო ერთი უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში, როდესაც შემეძლო სულ ახლო, სცენაზე თუ კულისებში, თეატრის წინ, მეხილა ქართული თეატრის კორიფენი. გიორგი შავგულიძის ხარიტონი ხომ, პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“, შედევი იყო. ბედნიერი ვიყავი იმიტომაც, რომ შემეძლო ყოველდღე, ზოგჯერ დღეში რამდენიმეჯერ, მეხილა თეატრის წინ ჩავლილი, შეჩერებული და ძველი თაობის მსახიობებთან მობაასე, ქართული ლექსის დემონი, გალაკტიონ ტაბიძე, თავისი განუყოფელი შავი



პორტფელით ხელში. რამდენიმე თვეც არ გაივლის, 1959 წლის 17 მარტს, პოეტის ჩანგი ძაძით შეიმოსება.

დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით  
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!  
ღამენათევი და ნამთვრალევი  
ჩემს სამარეში ჩავესვენები.

ვხსნი საქალღდეებში ჩანყობილ პირად არქივს, ვათვალიერებ 1958 წლის პროგრამას გიგა ლორთქიფანიძის სპექტაკლისა „შემოსევა“, სადაც გერმანელი ჯარისკაცის „როლს“ ვასრულებდი. როგორია, ტარიელ საყვარელიძის, მერი დავითაშვილის, ოთარ მელვინეთუხუცესის, კოტე დაუშვილის, ეკატერინე ვაჩნაძის, ზაქრო გომელაურის, იაკობ ტრიპოლსკის გვერდით სცენაზე გამოჩენა.

ღმერთო, რა მზიანი დარები იდგა.

იმხანად თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ქალბატონი ვერიკო ანჯაფარიძე გახლდათ. უმაღლესში შესასვლელად სამსახურის ცნობა რომ დამჭირდა, ცნობაზე ქალბატონმა ვერიკომ მომიწერა ხელი. ბედნიერებაა, აბა რაა, ყოველდღე ცოცხალ ლეგენდას რომ ხედავ... რამ დამავინყოს ჩემი თანატოლი თუ უფროსი მეგობრები – გაგა დემეტრაშვილი, გიზო სიხარულიძე, ვანიჩკა საყვარელიძე, ბონდო გოგინავა, რეზო ხუბუა, კოტე (ბიჭიკო) ამაღლობელი, გივი ბერიკაშვილი, რომან ჩაჩუა, შოთა ქრისტესაშვილი. ყველას ერთი გრძნობა – თეატრის სიყვარული გვაკავშირებდა. უფალმა აცხონოს, ვინც ამსოფლად აღარ არი.

შემიყოლია არქივმა.

აქ ჩემი ცხოვრება თვლემს – ყმანვილობიდან დღემდე. ჰაუ, რა დრო გასულა, რა წლები. რას შეუ-

ძლია, ქალაქებში – წერილებსა თუ დღიურებში და-  
ნაწევრებული ჩემი სანუთრო, სიხარულითა თუ იმე-  
დით, მწუხარებითა თუ ამაოებით გაჯერებული,  
გაუცხოვებული, ერთმანეთთან შეაკონინოს, საქა-  
ლადღებში ბერებივით დაყუდებული მჩუმარე საა-  
თები, თვეები, წლები ერთმანეთს დაუკავშიროს, ერთ  
ქრონოლოგიურ დროდ აკინძოს, მოგვიახლოვოს,  
სული ჩაუდგას, გამოაღვიძოს?! სიყვარულს, მხო-  
ლოდ და მხოლოდ, სიყვარულს... აგერ, 1974 წელს  
ლატვიიდან რენე კალანდიას ბარათები, მთხოვს პა-  
ტარ-პატარა წერილებს ჩვენი თაობის პოეტებზე –  
ბესიკ ხარანაულზე, ლია სტურუაზე, მურმან ჯგუ-  
ბურიანზე, ჯარჯი ფხოველზე, გივი ალხაზიშვილზე...  
აქვეა გონელი სიჭინავას წერილები სოხუმიდან...  
სოხუმიდანვე 1971 წელს მოწერილი გეგე შანავას  
წერილი, შვილი იაკობ შანავასი, ზემოსამეგრელოში  
ცნობილი მწიგნობრისა და მოღვაწისა, რომლის მდი-  
დარ ბიბლიოთეკაშიც, ნალენჯიხაში, ყმანვილი ტე-  
რენტი ეუფლებოდა ცოდნას. „დღეს კარლო კალაძემ  
ჩამომიტანა „ქართული პოეზიის ანთოლოგია“, –  
მწერს ბატონი გეგე, – ძალიან გამეხარდა, რომ მასში  
შეტანილია ტერენტი გრანელის ლექსები. ამ სიხა-  
რულს დაემატა თქვენი შესანიშნავი სტატია „ლიტე-  
რატურულ საქართველოში“ ტერენტის პუბლიცის-  
ტიკაზე, რაც ნაკლებად იყო საერთოდ ცნობილი. რო-  
გორც ეტყობა, თქვენი თავდადებული შრომა შესა-  
ფერის ნაყოფს იღებს“... აი, პაუსია დადიანის 1964  
წლის წერილიც სოხუმიდან (და მწერალი ქალისა  
ფუცუ დგებუაძე-ფულარიასი). ის დროა, ვარინკა  
წერეთელზე მასალებს ვაგროვებ, ხშირად ვაკითხავ  
მათ სოხუმში, ბაგრატიის გორაზე, საიდანაც ხელის-  
გულივით მოჩანდა პორტი, ზღვა. იშვიათად შემხვე-  
დრია ასეთი ლამაზი, ბამბასავით ქათქათა მოხუცები.  
„ლერი, შვილო, დედიკო...“ და მომითხრობს ქალბა-

ტონი პაუსია ეპიზოდებს „ვარინკა დეიდას“ ცხოვრებიდან, მის სათნო ბუნებაზე... აგერ, ჩემი ძვირფასი მეგობრის, ედიშერ გიორგაძის ჩემდამი მოძღვნილი სტრიქონები: „ის მარტოობა ხომ უნდა გასძლო, სამარადჟამოდ, მაშ, აქაურსაც მარტოობას გაუძელ, ძმაო!..“ ჯანო ჯანელიძე 1978 წელს სოხუმიდან გამოგზავნილ წერილში „რინისტვის“ მთხოვს ფრაგმენტებს „დაო დე ძინიდან“, იმხანად ჯანო რედაქტორობდა ალმანახს... აქვე შემომინახავს გრიგოლ აბაშიძის 1966 წლის წერილის ასლი, რომელიც ნოდარ გურაბანიძეს წერს: „გთხოვ, ნოდარ, ყურადღებით წაიკითხო ლერი ალიმონაკის წიგნი ვარინკა წერეთელზე. ამ ნაშრომს გავეცანი და ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი გამოცემა“... მთამსვლელი ერეკლე ლუკაშვილი ეხმაურება „ლიტერატურულ საქართველოში“ 1966 წლის 26 აპრილს გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას სიმღერა „ციცინათელას“ ავტორზე, ექიმ დავით ფალავაზე, და მანვდის საგულისხმო ცნობებს.

დღიურში ჩამიწერია: „გავედი „მნათობში“, შალვა აღზაზიშვილთან. დიდხანს ვისაუბრეთ ლიტერატურაზე. აქვეა ბესიკ ხარანაულიც. შალვა გვესაუბრა სოლჟენიცინზე“ (12.10. 69). „სალამოს უნივერსიტეტში დავესწარი „პირველი სხივის“ მერვე ნომრის განხილვას, მომეწონა დემნა შენგელაიასა და გივი გაჩეჩილაძის სიტყვები. ფოიეში ბატონ დემნას აკადემიკოსობა მივულოცე“ (16.12.69). „გავედი ქალაქში. თავსხმაა. ვნახე რენე კალანდია, მთვრალი. სახლში გავაცვილე. მე და ოთარ მიქაძემ „კავკაზში“ თითო ბოთლი დავვლიეთ“ (31.12.69). „სამსახურში დამხვდა ხარიტონ ვარდოშვილის წერილი. მთხოვს ბრონეულისა და ლიმონის წვენს. დღეს უნდა მივუტანო ბრონეულის წვენი (მაშარაფი), ლიმონისა ვერ ვიშოვნე“ (9.1.70). „სალამოს რედაქციაში შევხვდი ჯანოს, ნა-

ვედით მასთან სახლში. ბევრი ვსვით და ბევრიც ვისაუბრეთ პოეზიაზე“ (21.1.70). „სანაპიროზე შევხვდი გოგი კაპანაძეს, საკვირველი კაცია, თავისებური, უბრალო, თითქმის გლეხი, გამკილავიც. ნიადაგ პოეზიაზე საუბრობს, უფრო მეტს, საკუთარ პოეზიაზე. მეღიმება“. (23.1.70). „მე და გოგი კაპანაძე გავედით სინოპში, კომპოზიტორთა სახლში, ბანკეტზე, სუბტროპიკული ინსტიტუტის მთელი ლექტორობა იქ იყო. ვნახე ჩემი სტუდენტობის მეგობარი მურთაზ ფურცხვანიძე, სამი წელიწადია არ მინახავს. მიყვარს და ვუყვარვარ. მან შემაყვარა ტიცციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი“ (23.1.70). „მოსე გვასალიამ დამპატიჟა იუბილეზე, ვაჩუქე სუვენირი, ძალზედ ორიგინალური ბლოკნოტი, სოჭში ვუყიდე. გაეხარდა“ (29.1.70). „დავესწარი ბატონ მოსეს იუბილეს, მთელი ღამე გავათენე ბანკეტზე, კელასურში“ (30.1.70). „სალამოხანს კვლავ რესტორანში აღმოვჩნდი: მე, გივი ბერაია, ჟორა კვიციანი, დიმიტრი გიგიბერია, ზურაბ ნაყოფია. მოგვიანებით შემოგვემატა მიშა ჩაჩუა. გაეხარდა ჩემი ნახვა. ხვალ ვაპირებ წალენჯიხაში წასვლას“ (2.2.70). „ზუგდიდში ვარ. მაგრად წვიმს. ვაპირებ წასვლას წალენჯიხაში. წვიმა ვერ შემაჩერებს“ (3.2.70). „წალენჯიხაში შევხვდი ვლადიმერ სალიას, კალისტრატე სალიას ძმას. ის აგრონომია და ლოტბარი. დამპირდა, წერილს გავუგზავნი ძმას პარიზში, იქნებ ტერენტზე მოგონება გამოგვიგზავნოსო“ (4.2.70). „წავედი ზოზიასთან. გადმომცა ტერენტის ოთხი ხელნაწერი რვეული და საჩუქრად კალმისტარი“ (18.2.70). „ვიყავი „სამშობლოს“ რედაქციაში. ბრიყვი ყოფილა მისი რედაქტორი, ხელში თოხი უნდა ეჭიროს და მინას უბაყუნებდეს, პოეზიის ბაიბურში არ არი“ (19.2.70). „მე და გიორგი სიჭინავა ვიყავით „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორთან, გიორგი ციციშვილთან. სიჭინავამ წაუკითხა

ნიკოლოზ ბარათაშვილის მისეული რუსული თარგ-  
მანები. შეხვედრას ესწრებოდა პოეტი გიორგი მაზუ-  
რინიცი. დიდხანს იდავეს თარგმანზე. ციციშვილმა  
თქვა, მაინცადამაინც დიდმა რუსმა პოეტმა უნდა  
თარგმნოს ბარათაშვილიო. სისულელეა. ველოდოთ,  
როდის დაიბადება მეორე ლერმონტოვი?!“ (2.3.70).

## კვირა მეორე

### 1. კვირა, 23 დეკემბერი, 2001 წელი.

მზეა. ცა მონმენდილია. ყინავს. გავდივარ ბოტანიკურში. პატარა ნავკისა, ბორიმელას რომ მაგონებს, ჩემი ბავშვობის ლელეს, ზემოიმერეთში, გაყინულია, ყინულს ყავს დატყვევებული. ჩუმს. მაგრამ ვიცი, მოვა გაზაფხული, ღვთის მადლი სითბოს, სინათლეს გადმოგვფენს და ნავკისაც გათავისუფლდება ყინულის არტახებისგან, ძველებურად ახმიანდება, განახლდება. ჩვენ, ჩვენ რა გვეშველება, ჩვენ როდისღა ავხმიანდებით მადლით, სიხარულით, როდისღა აღვდგებით, როდისღა განვახლდებით?! როდისღა შევეხებით ჩენსავ მახსოვრობის წიაღში იმ გოლიათის მძინარე ქუთუთოებს, რომელსაც ამირანი ჰქვია, როდისღა ავუხელთ დახუჭულ თვალებს?! რა ბედნიერია სვიმონ კვირინელი, წამით მაინც რომ იტვირთა ტანჯვა მაცხოვრისა. იტვირთეთ სიმძიმე ერთმანეთის ტვირთისაო, გვეუბნება პავლე მოციქული. ჩვენი თვითცნობიერება ამ სულიერ მახსოვრობას დამყარებია, ხოლო როცა ეს მახსოვრობა თვლემს, ერი ველარ ახერხებს ვერც სარწმუნოებრივ, ვერც სახელმწიფოებრივ განსხეულებას. ხოლო ჩვენ რად ვეხებით ყოველცისმარე იმ ურჩხულის რქებს, რომლის კუდიც იქ, შორს, მათაა გადაღმაც, როგორც ტიფონი, ავად ტორტმანებს, ყოველივეს აცამტვერებს, პირაშკმული ხახიდან მხრჩოლავ მყრალ ოხშივარს აქშევს?!

გგონია: ბინდი ვარსკვლავთაგან გემუდარება  
და შეშინება უმონყალო სიმთვრალეს ბადებს,  
სახლის კარებთან უმოძრაოდ მდგომარე ლანდებს  
იცავს სიბნელე, შეეჭვება და მდუმარება.

ლანდი ქუჩაზე აჩქარებით თავს უკრავს სხვა ლანდს,  
ეს ცოცხლებია? არა! გზებზე მიდიან მკვდრები  
და სიბნელიდან უბინაო მათი ცხედრები  
სამარისებურ უდაბნოში სტოვებენ ქალაქს.

(გალაკტიონი)

უცბად, ასკილის ბუჩქნარში, იმისმა სახემ გაიელვა, გაიელვა და, როგორც უხორცო, გაუჩინარდა. ძველ გორხანას რომ ავცდი, მოსახვევში, გავიხედე – დგას საბიჯგზე ხელებჩამოყრდნობილი. მომეჩვენა – მელოდა, მდარაჯობდა. ჩუმმა ბრაზმა შემიპყრო. რომ დავუახლოვდი, ჯიქურ ვკითხე:

– აქ ვის ელოდები?!

– იმას, ვინც არასოდეს მინახავს... – იყო მშვიდი, ძალიან მშვიდი პასუხი. შევცბი. მზერა სხვაგან გამექცა, სიტყვისუთქმელად გავშორდი. რამდენიმე ნაბიჯი რომ ავიარე, შემოვტრიალდი, რაღაცის კითხვა დავაპირე, მაგრამ ხელი ჩავიქნიე და წინვნარისკენ ავხეტიალდი.

შინმობრუნებული, გერმანიში ვრეკავ, ქალაქ ფრა-იბურგში, ველაპარაკე რძალს – ეკა პავლიამვილს, ჩემი ვაჟის, პაატას მეუღლეს. თბილისის ოპერის სოლისტია, მეცოსოპრანო, როგორც პროფესიონალები მეუბნებიან, იშვიათი ხმა აქვს. მე ვესაუბრე ზურაბ ანჯაფარიძეს, იგივე დამიდასტურა. მოვიდეს ჩემთან, სუნთქვებში გავავარჯიშებ, სხვა მაგას არაფერი სჭირდებაო. ბატონი ზურაბი მალე გარდაიცვალა, ჩვენი ოცნებაც – შევხვედროდით ამ ლეგენდარულ მომღერალს, ოცნებად დარჩა. ეკამ აქ რომ ასპარეზი ვერ ნახა, ადგა და, უცხოეთში სცადა ბედი. და გაუფორმეს კიდეც კონტრაქტი. ხომ აჯობებდა მისი ნიჭი (და არა მხოლოდ მისი) სამშობლოს მოხმარებოდა?! რუსეთიდან დაბრუნებულმა ახლანდელმა პრეზიდენტმა – ბატონმა შევარდნაძემ ბრძანა:

სრულად ავამოქმედოთ ჩვენი ინტელექტუალური პოტენციალიო. შე ჩემი ცოდვით სავსე, ნახევარი საქართველო, წყალნაღებული ცხოვრების გამო, უცხოეთშია გადახვენილი, რა ინტელექტუალური პოტენციალის ამოქმედებაზეა ლაპარაკი?!

მახსენდება: შევარდნაძე მოსკოვიდან ახალი ჩამოსულია. მე და ციციო გოგებაშვილზე ვეშვებით, ვერაზე. მეუბნება:

– მოვკიდოთ გიორგის ხელი, ნავიდეთ აქედან, თუნდაც გერმანიაში. – 90-იანი წლებია. მაშინ არ იყო ძნელი ემიგრაციაში გასვლა – დისიდენტებს, ვითომ დამოუკიდებლობისა, კვლავაც ავი თვალთ უმზერდნენ, რატომღაც ე. წ. „ზვიადისტებში“ რევდნენ. არადა, დანამდვილებით ვიცი: არცერთი დისიდენტი ზვიადისტი არ ყოფილა, არცერთი ზვიადისტი – დისიდენტი. არ არი გამორიცხული, ამ აღრევამ მომავალში გაუგებრობა შექმნას.

– ორ-სამ წელიწადში ყველაფერი ჩანყნარდება-მეთქი!

– მალე აქ ისეთი ამბები დატრიალდება, დედა შვილს არ აიყვანსო! – არ იშლის თავისას ციციო. მე ჩემსას ვუმტკიცებ. დიდ დილომშიც იმავეზე ვსაუბრობთ. გიორგი ჩამჯდარა შუა ზალაში, კუბიკებით სახლობანას თამაშობს – ხუთისაც არ არი. თურმე გვისმენს. უცებ ამოხედა დედამისს, ეუბნება: „ჩიჩო, ჩიჩო, შენ იმდენი არ ქნა, სამშობლო დამაკარგინო“, და გააგრძელა თამაში. ჩემი ყურით რომ არ გამეგონა, არ დავიჯერებდი. ახლა კი ვნანობ, მწარედ ვნანობ, ციციოს რომ არ დავუჯერე. თუმცა ვერც უცხო მხარეში წარმომიდგენია თავი, სამშობლოდან შორს, სადღაც, უთბილისოდ, უქუთაისოდ, უმეგობროდ. არც გადახვენილებს ვკიცხავ, რა ქნან. ახლა ვიმეცნებ სულხან-საბას იგავის იხვისა და მყ-



ვარის – ორი სიმართლის ნართაულ აზრს.

პარლამენტში სტერეოტიპულ გამოთქმად იქცა: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ!“ შე ადამიანისშვილო, სინდისი შენ არ გაქვს, ზნეობა და ღირსება, რომელ პასუხისმგებლობაზე მელაპარაკები?!

პრემია არ მომცეს.

პოეზია წმინდა შემეცნებაა, გალობაა სულისა. მან უწყის საიდუმლოებანი ზეციური მკურნალობისა. გვინანავებს, თუმცა ძილი არ არი – სიზმარეულ მიუწვდომელ საგნებს გვიღვიძებს, გვიღებს უცხო ქვეყნის ჩარაზულ ჭიშკრებს. როგორც რელიგიაა წმინდა და დაფარული, ისე პოეზიაა წმინდა და დაფარული, ქრება ხილული საგნები, იწყება მოუხილავი, იდუმალი გზები. პოეტი ისაა, ვინც იძარცვება ყოველივე ხილულისა და ნივთობრივისაგან, იკარგება ეთერულ გზებში, თავისუფლდება ხორციელობის განუწყვეტელი ინკარნაციებისგან, მარადიულ სულში მიინქრევა.

სული ჩქარია მრავალ სირბილით  
და ვიცი, ისევ რომ ავენთები, –  
როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი,  
როგორც სიმორე და პლანეტები.

(გრანელი)

დავით გურამიშვილი ყოველივე ნივთობრივისა და ხორციელობის უარყოფით ამსხვრევს საგანთა ხილულ გარსებს და პოეზიის პირველარსისკენ მიისწრაფვის, თავის შინაგანსა და სრულქმნილ განდევილობაში მხოლოდ ერთს უჭვრეტს, ერთს უკავშირდება და იმ ერთს აღუვლენს ხორციელი არტახებისგან თავდახსნილ ლოცვებს, იმ ერთს შესთხოვს გზას

მარადიული საუფლოსკენ.

დიდება შენდა, დიდება, სახით მზეთა-მზეო,  
მიუნვდომელო ნათელო, გრძელო, ძველო დღეო,  
უფალო უფლებათაო, მეფეთ მეუფეო!  
უბერებელო, უკვდავო, მყოფო, შეურყეო, –  
შენ გაქებ და გეაჯები დაკარგული ტყვეო,  
მომხსენე მონა შენი, ნუ დამივიწყეო!  
ვით მე გთხოვე, ჭეშმარიტი შენ გზა მაუნყეო!

## **2. ორშაბათი, 24 დეკემბერი, 2001 წელი.**

შუალამეა. არ მიძინავს. მეგონა არ იმოქმედებდა, პრემია რომ არ მომცეს. გული დამწყდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ფული დავკარგე. ეს კი იმას ნიშნავს, ერთხანს მშვიდად ვიმუშებდი. ახლა კი ისევ ჯახირი, ნვალება.

მივდივარ ფეხით ორთაჭალაში, ნემსის გასაკე-თებ-ლად. იქიდან დილომში უნდა გავიდე, ჰემატოლოგ ლევან ბახტაძესთან. გზაში ვფიქრობ: ჩვენ ალბათ შინაური თვალთ კარგად ვერ ვხედავთ, სად ვცხოვრობთ. ჩვენს ყოფაში ჩახედულ ერთ უცხოელს უთქვამს: ქართველებმა რომ დანამდვილებით იცოდნენ, რა ქვეყანაში ცხოვრობენ, ყველა, მდიდარიც და ღარიბიც, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდაო.

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,  
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი.  
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,  
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.  
(გრანელი)

ვიყავით ექიმთან მე, გიორგი და ციცო. კიდეც კარგი, სისხლში არაფერი სერიოზული არ აღმოაჩნდა. ბატონ ლევანს წაუკითხავს ჩემი წიგნი „გრანელის ლანდი“, აღფრთოვანებული მელაპარაკა. გახარებული ვბრუნდებით... ცა მოწმენდილია, მზეა, უჩვეულოდ თბილა. მზე იმედია, ღვთის მადლია.

მე ისევ ალუდაზე ვფიქრობ.

სიტყვისა და ფიქრის კაცობა ალუდას სულიერსა და გონებრივ სიმრთელეს ადასტურებს, – ბრძნული სიტყვა ხომ გულისა და გონების ნაყოფია. ფიქრი, როგორც ვაჟა ამბობს, „თავის საქმეს ჩუმ-ჩუმად აკეთებს“. თუ ღრმად გავიმეცნებთ ამგვარი შეფასების მეტაფორას, ალუდა წარმოგვიდგება პიროვნებად, ვისაც ძალუძს ქვეცნობიერად ჩასწვდეს ადამიანური ყოფიერების საზრისს. ის შემზადებულია საიმისოდ, რომ გარეშე ფაქტორმა (მუცალთან ბრძოლა) სხვა ადამიანად აქციოს. ალუდას ქვეცნობიერებაში შედედებულია ის შორსმჭვრეტელობის დვრიტა, რაც გარეშე ფაქტორს ცნობიერამდე აჰყავს, ანუ მანამდე მისთვის გაუცნობიერებელ სიმაღლეს აზიარებს. სხვა-გვა-რად წარმოუდგენელია ის უეცარი გასხივოსნება, რაც მის არსებაში მუცალის მოკვდინებით მოხდა.

### **3. სამშაბათი, 25 დეკემბერი, 2001 წელი.**

შობაა. გავდივარ ბოტანიკურში. ქალაქიდან ისმის ზარების რეკვა. ცა მოწმენდილია, მზეა. ღმერთი კიდეც ერთ სიხარულს გვიგზავნის ცოდვილ მიწაზე მობლონკიალე ადამიანებს... შობა – უფლის უხილავი სამეფოდან მატერიალურ სამყაროში ძე ღვთისას შემოღწევა, მისი ჯვარცმა, შემდეგ ჯოჯოხეთს რომ შთახდეს, იტვირთოს ამსოფლიერთა და იმსო-

ფლიერთა ცოდვანი, აღდგეს და ამაღლდეს უფლისავე სამეფოში. რახანია, სამყარო გაოგნებულია ამ საკვირველებით. ამ საკვირველებით გაოგნებულია ადამიანი.

შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,  
სულო, ჭაობზე უნოტიესო.

(გალაკტიონი)

ბოტანიკურის შესასვლელში სკოლაა, ამ სკოლაში ქრისტიანული მრწამსითა და ცოდნით ზრდიან ბავშვებს. ეზოში გაყინულ პატარა აუზს ბიჭუნები შემოსევიან, თამაშობენ, კისკისებენ, ჩიტებივით ჟღურტულეებენ, კვერს უკრავენ იქვე ბუჩქებში მოჭახჭახე შაშვებს, ფრთაჭრელა ჩხიკვებს. ღმერთო, არ მოშალო ამათი სიცილ-კისკისი, რაა ამათთან ყველა დიდება და პატივი!.. დავდივარ და ვერ ვერევი თავს, ჩემი ფიქრები გადანწულია ამ ლამაზ დილასთან, ვიცილებ უამურ ფიქრებს, ვიცილებ, მაგრამ... და ისევ მაგრამ... მძიმეა ადამიანის ცხოვრება ჩვენს დუხჭირ ყოფაში. ჯერ თავისუფალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყნის ადამიანის ცხოვრება რა არი, – მიჯაჭვულია მატერიალურ ყოფიერებას, შეკრულია, როგორც უპანიშადები გვეუბნება, მინიერი საკრველებით, – ჩვენს გაუგებარ, აბსურდულ ყოფაში მცხოვრები ადამიანისა, რაღა უნდა იყოს?!. მთელი მისი არსება დანთქმულია ხორციელი გადარჩენის ინსტინქტებში, მთლიანად დაწვრილმანებულია, დანინილაკებულია თვითგადარჩენის ვნებებში – სიკვდილი ხომ აგერ კარსაა მომდგარი. ამიტომ მგონია, ყველა, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გაეცნოს „ბჰაგავად-გიტას“ სიბრძნესაც, დროებით მაინც რომ შეძლოს მატერიალური არტახებისგან თავის დაღწევა.

ნუხელ ღამე ვათიე, გული მტკივა. „ვითომ სამსახურში“ ჩემი ძველი თანამშრომლები, ორი კაპიკი რომ იშოვნონ, თავჩარგული თარგმნიან რალაც დოკუმენტებს. ზოგი ადრე ნეტარი ავგუსტინეს თარგმნიდა, ზოგი ივან ბუნინს, ზოგი სენკევიჩს. რა ქნან, ხომ უნდა იარსებონ. ერთი ქალბატონი მეკითხება: ლერი, ამა და ამ კაცთან მინდა მისვლა, სათხოვარი მაქვს, როგორ გგონია, დამეხმარებაო?! რა გითხრა, ჩემო დაო, არაკაცთა კაცობის კრიტიკერიუმებს ვინ დაადგენს-მეთქი. მწარედ ეღიმება.

ალექსანდრეს ბაღში ვარ, ქაშუეთის ტაძრის ახლო. თეთრი ღრუბლები ნაძვებსზევით აღმოსავლეთისკენ მიიზღაზნებიან. ერთადერთი, რასაც ვეძებ, რწმენა და სიმშვიდეა. აუზის გარშემო ბავშვები თამაშობენ. ბავშვობაში, მახსენდება, ხშირად ჩამოვდიოდით აქ პიონერთა სასახლიდან გამოსულები, ზოგი რა წრეზე დავდიოდით, ზოგიც რაზე. მერე აქედან ავიხვეტებოდით, ოც-ოც კაპიკს შევკრებდით, ძია ვასოს, კარისკაცს, გახუნებული ხავერდის ხალათის ჯიბეში ჩუმად ჩავუჩხრიალებდით, ყოველდღე რუსთაველის კინოში ვეყარეთ.

ღმერთო, რა მზიანი დარები იდგა!

თუ ალუდა ფიქრის კაცია, რომელსაც ძალუძს ფიქრით შეადედოს ცოდნა საწუთროებაზე, მაშინ საგულისხმოა ვიცოდეთ თვით ვაჟასეული გაგებაც ფიქრის ბუნებისა, ფიქრის მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა. ალუდა რომ ფიქრის კაცია, ამას ისიც გვიმონმებს, რომ მოქმედების მთელ დროში, როცა ის კონფლიქტში აღმოჩნდება საზოგადოებასთან და იკვეთება მისი ზეპიროვნულობა, სდუმს, ან ძალიან ძუნწად ლაპარაკობს. მის ძუნწ საუბარშიც ჩანს, რა ღრმა ფიქრებს მოუცავს მისი შინაგანი ყოფიერება, რა სულიერ ძვრებს ემყარება მისი ფიქრები. მისი ყოვე-

ლი ქცევა თუ მოქმედება, გადანყვეტილებათა სიმტკიცითა თუ მონუმენტურობით აღბეჭდილი, გაცხადებაა შინაგანი ძვრებისა, ანუ ფიქრისა. ხოლო ფიქრი მისი მძლავრია, უსაზღვრო, ურყევი. ვაჟა ფიქრს „ტვინის სიცოცხლეს“ უწოდებს და ასკვნის: „ადამიანის ფიქრისა ერთი საქებური თვისება – მოვლენათა მიზეზის ძიებაა. როცა ადამიანი კითხულობს: „რადა? რისთვის? საიდან და როგორ? ეს ნიშანია ადამიანის კეთილგონიერებისა“. სწორედ ამგვარმა ფიქრებმა მიიყვანა ალუდა საკუთარი სამყაროსა და ყოფიერების შემეცნების მწვერვალამდე, სხვადქმნა ის, გააზეკაცა.

#### **4. ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 2001 წელი.**

გარბის ქართველობა სამშობლოდან, უცხო ქვეყნებში ეძებენ ხსნას. გარბის ინტელექტუალიც, არაინტელექტუალიც, დიდიც, პატარაც, ხელოვანიც, ხელოსანიც. ვინც ჯერ არ გაქცეულა, იმაზე ფიქრობს, როგორმე გაიქცეს. გარბიან დედები. ეს უკვე კატასტროფაა. ნადგურდება მამაპაპათაგან ნაანდერძევი ადათი, წესი, ტრადიცია.

რომელი იგრძნობს შორეულ საგანს,

რომელმა იგრძნო ეს დაფიქრება.

და მე ამნაირ ცხოვრებისაგან

თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას.

(გრანელი)

ეს იმ რუსული ველიკოდერჟავული პოლიტიკის კარდინალური გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომლის პროექტებიც ჯერ კიდევ XVIII-XIX საუკუნეთა რუსეთის იმპერიის კაბინეტებში ინერებოდა, რომლის მემკვიდრეც, სხვა ფორმით, საბჭოთა, ანუ

იგივე ბოლშევიკურ-კომუნისტური იმპერია იყო. ასეა, ჩემო მალინდარა, როცა შენ თავადვე „იღვნი“ შენივე ქვეყნის ტრადიციების მოსათხრელად, მტერი რას გიზამს?! უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, ამას ჰქვია.

ამ დილას ამერიკიდან დამირეკა „კვალის“ რედაქტორმა, შოთა ვაშაკიძემ, მადლობას ვუთხვი გულისხმიერებისთვის.

ჩართავ „კურიერს“, სურათი არ იცვლება: ისევ გზების, ქუჩების გადაკეცვა, ისევ წლობით გაუცემელი ხელფასები, პენსიები, ისევ უშუქობა. შარშან „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნე წერილი, სათაურით „სანთლის შუქზე მონაწერი“, სადაც ერიყლაპია პარლამენტარებსა და მინისტრებს, ვწერდი: „სანთლის შუქზე გწერ ამ წერილს, მშვიდმწყურვალი, სიცივით გათოშილი, სულდაზაფრული, აბუჩად აგდებული და გრანელის სტრიქონები მახსენდება: „ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია. და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია...“ ნუთუ ვერ გრძნობ, როგორ ფშვინავს შენს ფეხთაქვეშ მინა, ბარ-ნიჩბით რომ მიდგომიხარ, ტკეპნი და ასწორებ, ნუთუ ვერ გრძნობ, სულ რამდენიმე ამოსუნთქვალა დარჩა, რომ საბოლოოდ შეწყდეს ამ მფშვინავი მინის მაჯისცემა?!“ ჯოგს დაამგვანეს ხალხი, ქართველი დედები ქუჩებში გამოყარეს, უკადრებელი აკადრებინეს. მეტი დეგრადირება შიძლება?! გამოდის ერთი მინისტრი, უტიფრად აცხადებს: რა გაგიკვირდათ, ჩვენ, მინისტრებს, დიახ, დიდი ხელფასები უნდა გვქონდეს, კორუფციისკენ ხელი რომ არ წაგვიცდესო! ბატონო მალინდარა-მინისტრო, გონებაბრგვილო, გეკითხები: ამ უმუშევართა არმიას, საკორუფციო რომ არაფერი

აბადია, რისთვის იმეტებ – ყაჩაღობისთვის, ქურდობისთვის, მათხოვრობისთვის, პროსტიტუტკობისთვის?! ქალბატონო პარლამენტარო! ბატონო მინისტრო! – გამოისიერნეთ ქუჩებში, გამოატარეთ თქვენი შვილები, შვილიშვილები, ნახეთ, რა დღეშია ხალხი.

რას ეფუძნება თქვენი ამპარტავნება?!

უმეცრებას, უღმერთობას. საშიშია მედიდურობის მწვერვალი. მცირედ მაინც რომ გიჭრიდეთ შინაგანი თვალი, მიხვდებოდით, რომ ყველაზე კარგად ამ მწვერვალიდან მოჩანს უფსკრული.

– მე მიყვარს თებე, ჩემი ქალაქი, – უთქვამს პინდარეს, – მაგრამ თებეზე მეტად ჭეშმარიტება მიყვარსო. – აი, რა ზნეობრივი კოდექსი იხსნის დღეს ქვეყანას.

ხოლო მე ელიაზარზე ვფიქრობ.

დაბადებითვე ამირანისეული ნიშნები დაჰყოლია: ნაჯაჭვარი მაჯა-კოჭები, დაკორტნილი გულმკერდი, ბეჭებშუა – საღმრთო ნიშანი. მღვრიედ გრძნობს, კიდეც ვილაც ჩასადგურებია, ვილაც იდუმლად შემოიხიზვნია სადღაცინიდან, როდის-როდესლაც, კიდეც ვილაც ფშვენს მის არსებაში, ვილაც იძვრის. თუმცა ვერ გაუცხადებია, ვინ არი ეს უცხო გოლიათი, მთელი მისი ფიქრი, არსება რომ დაუპყრია. ბუნდოვნად გრძნობს მასთან რაღაც კავშირს, დაუმცხრალად მიელტვის გაიცხადოს, ვინ არი ის, ასე მაგნიტივით რომ იზიდავს. „გოლიათის ქმენა შემადოდგმანებს, როგორც ცას და ქვეყანას ადოდგმანებს ჭექა და ქუხილი, იმისი ლახტისქნევა ბურანიდან გამომიხმობს“.

## **5. სუთხაბათი, 27 დეკემბერი, 2001 წელი.**

დილას ვიყავი მეცხრე საავადმყოფოში. ბევრი ვიარე ეზოში. ეს ხომ ჩემი ყოფილი ინსტიტუტია,



1966 წელს აქ დავამთვრე ტექნოლოგიური ფაკულტეტი. ვაბიჯებ ჭაბუკობისდროინდელ ნატერფალებს და სევდა მიპყრობს, ყველაფერი ისევ ისეა, მხოლოდ

—

სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული!

(გალაკტიონი)

მიდის ცხოვრება, მინაზე ყველაფერი იცვლება, ცა რჩება მარადი, მზე, დაუყვედრებლად რომ გვაფენს სხივებს.

ბოტანიკურზე გადმოვიარე. საოცარი დღეა, მშვიდი, საამოდ გრილი. მოყვითალო, ლბილი მზე ანათებს მიდამოს. მზის ფერს ხომ, ამა თუ იმ ფერად, საგნებიდან არეკლილს აღვიქვამთ და ის საგნებიც აღვიძებენ ჩვენში ამა თუ იმ განწყობილებებს, ზოგჯერ ჩვენსავ ნარსულშიც გვაბრუნებენ, სიყრმეს გვახსენებენ. იქნებ, ზოგჯერ, ვინ იცის, სადღაც, ოდინდელ დროშიც გადავყავართ, უხსოვარ წარსულში, იქნებ შორეულ მომავალშიც, ყოფიერებას ერთ მთლიან დროდ წარმოგვიდგენენ. ვუყურებ ამ საოცარ დღეს, სულში სიმშვიდე რომ შემოაქვს, და გინდა იცოცხლო, დატკბე მისი მადლით. რაკი მოგავლინა მომავლინებელმა, ალბათ ეს შენი ხვედრია, შენი განსანმედელია და უნდა იცოცხლო კიდეც, იცხოვრო, გაიარო ისეთი, როგორიც არი, მისგან მორთმეული შხამიც მიირთვა, კიდეც გაიხარო, საკუთარი არსის ძიებით გათავისუფლდე სანუთროს მატერიალური შემოტყვევისგან, მაგრამ... და ისევ მაგრამ... ადამიანებს ხომ ნაწილობრივად გვესმის ერთმანეთის, მრავლის მიმართ – ყრუნი ვართ. ასეთია კაცთა მოდგმის ბუნება, რა ვქნათ. სრული თანამონაწილეობა ღმრთის უზენაეს საუფლოშია მხოლოდ შესაძლებელი. თუმცა ეს ხომ განურჩევლობაა, მაგრამ

ღვთაებრივი განურჩევლობა. ვისაც საღმრთო სიყვარულით გაუთბია გული, მას შესწევს ძალა შეაღწიოს ამ განურჩევლობის საზღვართა მიღმა. მაგრამ ეს ხომ ერთეულთა ხვედრია.

დავით მეფე „გალობანში“ აღმსარებლობს არა კერძოდ თავის თავზე, არამედ ზოგადად ადამიანზეც, როგორც არასრულქმნილ არსებაზეც, რომელიც ჯერაც ვერ გათავისუფლებულა ვნებებისგან, ხორციელი ნეტარებისგან, ამპარტავნებისგან, რასაც ძალუძს მიგვიყვანოს ბოროტის ქმნამდე. ხოლო ეს ვნებს არა მხოლოდ მას, როგორც კერძო პიროვნებას, ან თუნდაც როგორც მეფეს, ეს ვნებს მთელს ერს, ხალხს. „და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემით ვაცოდვე ერი ჩემი!“ ამიტომაც ის სინანულშია, მისი მიზეზით სისხლი რომ ითხევა. მაგრამ მას, როგორც ხელმწიფეს, ხელთეპყრა სადავენი ალაგ-ალაგ მიტაცებული საქართველოსი, ამაოებაში ჩავარდნილი მშობელი ხალხისა, შიშით ტყეებში გახიზნული ქართველებისა, დაზაფრული ერისა. რა დახვდა დავითს?! „მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადმე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა“. „წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს“.

## **6. პარასკევი, 28 დეკემბერი, 2001 წელი.**

ღრუბლიანი დილა გათენდა. ბოტანიკურში გავდივარ. ნაღველი მიჭამს გულს, რაღაცის თუ ვიღაცის ნოსტალგია.

ოჰ, ეს ნოსტალგია – გულს აცარიელებს.

არ ვიცი, ეს რას ნიშნავს – მე შევიცვალე, დრო, ორივე ერთად, თუ... დროდადრო ჩემში რაღაც სინათლეს ვხედავ, რაღაც სურნელსაც ვყნოსავ. ერთი

სიტყვით, სხვა განზომილებაში დავაბიჯებ, ეს ცხადია, წამინამ იცვლება განწყობა – ამაოებიდან იმედში, იმედიდან – ამაოებაში. ასეთია დღეს, სამწუხაროდ, ადამიანის საწუთრო, რწმენისთვის დრო აღარ გვრჩება, ყოფიერებაზე ყოველდღიურმა ფიქრმა სადღაც სხვაგან გადაგვმალა. ყოფიერების შინაარსი კი ერთფეროვნებაა, მრავალფეროვნება – ფორმაა მისი, ის პირობითობაა, რითაც და რის მიღმაც ერთფეროვნების სისასტიკეს ვნიღბავთ.

გორხანასთან, შეღმართს რომ შევყვები, ფერდობზე, ძაღლების ხროვას გადავეყარე. დავიზაფრე. ისეთი დროა, დღეს ყველას შია, კაცსაც, ძაღლსაც, თვალისდახამხამებაში ისე დაგფლეთენ, – ვაი, დედას დაძახებას ვერ მოასწრებ. დიდი, წითელბალნიანი ძაღლი, ჩემკენ დაიძრა. ადგილზევე გავიყინე. მგონია, სივრცეც გაიყინა. მორჩა, ვფიქრობ, ველარაფერი მიშველის, იყვირე რამდენიც გინდა. მშვიდად, ძალიან მშვიდად დაღმართისკენ შემოვტრიალდი (რომ გამომნთებოდნენ, დაღმართი მიშველიდა?!), წითელბალნიანიც შედგა, სხვებიც, გარინდებულნი მიყურებენ, მიყურებენ. ნელი ნაბიჯით ქვევით დავეშვი. ერთხანს მზვერეს, მითვალყურეს, მერე დაღურთეს თავი, მთისკენ ნაძუნძულდნენ... ის წითელბალნიანი და მე, შემდეგ, დავმეგობრდით – ყოველ დილას ჩიხის ბოლოში მხვდება, ბალის ჭიშკართან, მაჯებს, კოჭისთავებს მილოკავს, ბალში დამყვება, სახლამდე მაცილებს.

ბალის გასასვლელში, ჭიშკართან, რასიმა მხვდება. ამისმა დამანგრეველმა „კონცეფციებმა“ ხომ გული შემიღონა. – რასიმ, – ვეუბნები გაღიზიანებული, – შენ მორწმუნე კაცი ხარ, გხედავ, ყოველდღე, მეჩეთისკენ სახემიბრუნებული, ლოცულობ, თქვენს წიგნებში ეგრე სწერია?! – არა, ლერი-ჯან, არა, ეგრე არა... არ ვიცი!.. – ვცდილობ განვერიდო ინფორმა-

ციის ნაკადს, საშინელ დანაღებებს მიტოვებს, ასე უფრო ახლო ვარ საკუთარ თავთან.

თუ „გალობანის“ აღმსარებელს შევიმეცნებთ როგორც მეფე ოიდიპოსს – ცოდვათა გამოაშკარავებით ჭეშმარიტების მაძიებელ პიროვნებას, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ დავით მეფეც ჭეშმარიტების მაძიებელი პიროვნებაა, რომელიც ააშკარავებს საკუთარ ცოდვებს და ცოდვათა ეს ძიება, იმავე დროს, მისივე, როგორც ოიდიპოსისა, კათარზისიცაა, ამალღებაცაა. თუმცა ოიდიპოსის ტრაგედია ოჯახურ დრამას ეფუძნება, არსი იგივეა – ჩადენილ ცოდვათა ძიება, რაგინდ საშინელიც უნდა იყოს, და თვითმსჯავრი, თვითსასჯელი. დავითი დაუნდობლად ამხელს საკუთარ თავს, განაჩენიც თავადვე გამოაქვს – ჩადენილ ცოდვათა გამო, როგორც ქრისტიანი, მოტევენას შესთხოვს უფალს. „სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცუე, რათა მონანული შეგივრდე შენ“. თვითუარყოფისა და თვითმსჯავრის გზით, საცა უკვე ძევს მისივე თვითსასჯელიცა და მოტევენაც, ის მარტო რჩება უფალთან, ამ ცნობიერ ექსტაზში დანარჩენი გარეგანი ყოფიერება უარყოფილია, იმდენად მართალია, შეუძლებელია მისი ვედრება უფალმა არ შეისმინოს. სიმართლე, რაც უნდა სასტიკი იყოს, ოდეს მხურვალე გულით, ნრფელი ფიქრით არის აღსარებული, შეუძლებელია, ვინც გინდა იყოს, უფალმა არ მიუტევოს, საღმრთო ცეცხლი განსწმედს მის ცოდვილ სულს.

## **7. შაბათი, 29 დეკემბერი, 2001 წელი.**

დილაუთენია ვდგები. ყინავს. ახალი ძალით შთა-გონებული, ხარფუხში ავდივარ, წყაროსუბანში. კი-დევე ერთხელ ვათვალიერებ იმ ადგილს, იმ ეზოს,

სადაც ბოლოს ელიაზარი მდგმურობდა, თათარ აზა-თასთან, საიდანაც, თავის ბარგიბარხანიანად, შა-რაში გადმოუძახეს, საიდანაც დაინყო მისი უკანასკნელი და საბოლოო ექსორია. პირდაპირ ნარიყალაა, მეტეხი, მტკვარი... ავდივარ თაბორის მთაზე, მამათა მონასტერს აგებენ, ღვთისმშობლის ტაძრის კედლებს ქვის პერანგით მოსავენ. აქედან ხელისგულივით იხედება ძველი თბილისი. და მახსენდება გრანელის სტრიქონი: „ქალაქი გავს მორიელს“ – იშვიათი მეტაფორაა. გავდივარ ბოტანიკურში. კვიპაროზებში შაშვები ჭახჭახებენ, ღრუბლიან ზეცაში ყორანი ბრუნავს, ღორივით ღრუჩუნებს. ბალის გასასვლელში, ჭიშკართან, რასიმა მხვდება, მელაპარაკება ცხოვრებაზე. რასიმას თავისი მყარი პოლიტიკური „კონცეფციები“ აქვს, შედავება უაზრობაა. უცებ ზარმა დარეკა. ინსტინქტით პირჯვარი გადავინერე. რასიმა იცინის. შევცდი – ბოტანიკურის ქუჩაზე, გაღმა, ნაგვის მანქანას ჩამოურეკავს. შევცბი. რასიმა დამცინისავით, ჭროლა თვალები უციმციმებს. მწყრალად ვუყურებ. ხვდება, რომ გადაამეტა, სხვაზე გადააქვს ლაპარაკი. ვითომ ეს არაფერია?! არა. აქ რაღაც იმალება. ამაზე ყველანი უნდა დაფიქრდეთ, მეც, თქვენც – რამ გაახარა რასიმა?!

გულმოჟამული ვბრუნდები. ერთი „მოდერნისტი“ მწერლის სიტყვები მახსენდება – მე პოლიტიკაში არ ვერევიო! მაშინვე მივახალე: პოლიტიკა ერევა შენშიმეთქი! როდესაც პოლიტიკა ცვლის შენი ქვეყნის, შენი ხალხის, შენი ოჯახის ბედს, თუ ხმა აღიმაღლე, ეს პოლიტიკაა?! როდესაც სამშობლოს ბედმა მძიმედ ჩამორეკა, ილია ჭავჭავაძემ, მწერალმა, ერის ქურუმის უმძიმესი მისია იტვირთა. ჩვენ ილია ჭავჭავაძენი არ ვართ, მაგრამ მისი ნაშეიერნი ხომ ვართ?! როგორ გგონია, რომ ეს მისია არა, კიდევ რამდენ „ოთარაანთ ქვრივს“ შესძენდა მწერალი ქართულ ლიტერატურ-

რას?! ესეც არ იყოს, დამისახელე რომელიც გნებავს ქართველი, გნებავს ევროპელი მწერალი, პოლიტიკის მიღმა რომ ეღვანოს. პოლიტიკა არ არი „ჯაყოს ხიზნები“, „საბრალონი“, „მკვდარი სულელები“, „ემშაკნი“, „ომი და მშვიდობა“?! „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ მქადაგებლებმაც ევროპაში ვერ დაღწიეს თავი – განდგომოდნენ სამშობლოს ისტორიულ ყოფიერებას. პოლიტიკა ხომ ბედია შენი სამშობლოსი. ხოლო თუ შენ, ვინც ბრძანდები, ამ ბედს შენად არ სცნობ, შენ არ ხარ შენი ქვეყნის მოქალაქე, მეტიც, შენ არ ხარ თანამონაწილე შენივე საკუთარი ბედისა, სისხლხორცეულად რომ შერწყმია შენი ქვეყნის ბედს. მარკუს ავრელიუსი ამბობდა: მე ვარ იმპერატორი და მოქალაქეო, – აი, ფორმულა ღირსეული კაცისა. დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ პოლიტიკა არ არი?! „ვეფხისტყაოსანი“, ღვთაებრივ სიტყვაში გაცხადებული, პოლიტიკა არ არი?! გრიგოლ ხანძთელის მთელი სასულიერო-საეკლესიო მოღვაწეობაც კი, სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა არ იყო?! ხოლო თუ გგონია, პოეტი კოსმოპოლიტია, სასტიკად სცდები. გირჩევ, კიდევ ერთხელ წაიკითხო ვაჟა-ფშაველას წერილები და დარწმუნდები, შენი ქვეყნის ბედი რა ორგანულად გადანნია საკაცობრიო ბედს.

ცხოვრება – პოლიტიკაა. პოლიტიკას არ ემსხვერპლა ნიკო ფიროსმანაშვილი?! პარადოქსული რამ ხდება: აქეთ – ილია ჭავჭავაძე, გოლიათური საქმენით, რასაც თვალს ადევნებს საქართველო, რუსეთის იმპერია, ევროპის მონინავე საზოგადოება. იქით – ნიკო ფიროსმანაშვილი, დუქან-დუქან მოხეტიალე „მღებარი“, უჩინო, დღეს კი – მთელი კულტურული კაცობრიობისთვის ცნობილი ხელოვანი.

განა ეს საკვირველება არ არი?!

განა ეს ღვთის სასწაული არ არი?!

ნიკო ფიროსმანაშვილის უკვალოდ გაქრობა და ილია ჭავჭავაძის უღვთო მკვლევლობა, პოლიტიკა არ არი?! განა ორივე ამ უღმერთობას ერთი ხელი – პოლიტიკა არ მართავდა?!

და მე ისევ არქივისკენ გამიღბის თვალი.

გკითხულობ ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობრის, შესანიშნავი პოეტის, ზაალ ებანოიძის სიყვარულითა და გულისხმიერებით გამთბარ წერილებს ქუთაისიდან, ბაღდათიდან, აბასთუმნიდან და ჩვენი ჭაბუკობის წლები მაგონდება, – ჩვენ ხომ ერთი ინსტიტუტი დავამთავრეთ თბილისში... დედობრივი გრძნობებით გამსჭვალულია ვარინკა წერეთლის უახლოესი ნათესავის, მხატვარ ზურაბ ლეჟავას დედის, მელიხან ლორთქიფანიძის წერილები 1967-1971 წლებისა... განსაკუთრებული გრძნობა მეუფლება მურთაზ ფურცხვანიძის წერილების კითხვისას, ვისთანაც ერთად 1960-1965 წლებში სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში ვსწავლობდი, სოხუმში. კოლორიტი კაცია, იშვიათი თამადა, მომლხენი, ენამჭევრი, იუმორით სავსე, სიამის მომნიჭებელი. ერთ რამედ ღირს მასთან პურისჭამა, რა დამავიწყებს სოხუმსა თუ ქუთაისში მასთან გატარებულ დღეებს. პოეზიამ დაგვამეგობრა. სამშობლოსა და ლექსზე შეყვარებული, მომხიბლავი რიტმით კითხულობს ცისფერყანწელთა, ქართველ კლასიკოს და ძველ სპარსელ პოეტთა შედევრებს. „ლერი, ბიჭო, – მწერს მურთაზი 1972 წლის 12 დეკემბერს, – რამდენი შრომა დაგჭირდებოდა ამ წიგნის შესაქმნელად, მაგრამ ნაყოფი შრომისა დიდებულია, მწიფე და საამო... ერთი სიტყვით, ბარაქალა შენს ბიჭობას... მახსენდება სტუდენტობა, კელასური, 1 ავტობუსი („პრიცეპკიანი“), გაცდენილი ლექციები, ზაფხულის პაპანაქება, სამედიცინო პლაჟი, ტურბაზა და ნაბახუსევი პანია... წარუშლელი სურათები ცოცხლდება. ვწერ და თვალწინ

მიდგეხარ, მახსენდება ტურბაზის სარდაფი, მჟავე ღვინო, პატარა ყველის ნაჭერი და პოეზიის დიდი სიყვარული, მარადუჭკნობი სპარსული ლირიკა...“ აგერ, ვინმე ეპიფანე ცინცაძის საჩივრის ასლი, „მნათობში“ 1973 წელს დაბეჭდილი წერილის გამო მიჩივის, მეც და ტარიელ ჭანტურიასაც „მინასთან გვასწორებს“: „დროა აღნიშნული ფაქტები სათანადოდ შემომნმდეს, ყალბი ქმედობისთვის ღირსეული მსჯავრი დაედოს ვისაც ჯერ არს“(!). რას იზამ, ასეთებიც ხდებოდა... ცუდად ვარჩევ ფერგადასულ მწვანე ფურცლებზე 1965-1966 წლებში ჩემი კლასელის, გურამ ძაგანიას წერილებს ჯარიდან, რუსეთიდან, მისებური იუმორით შეზავებულს: „შენ რომ მწერ, ლერი, შოთა რუსთაველის იუბილეს გაზეთებით გაიგებდიო, აქ ეს სკვითები რას დანერენ, ბიჭო, საქართველოზე, სოვხოზი და კოლხოზი სად წაიღონ მერე...“ წესად მქონდა, როცა ვინმეს წერილს ვუგზავნიდი, თუკი წერილი კერძო არ იყო, „კაპიროვკით“ ასლს ვიტოვებდი. ვკითხულობ 1967 წელს ირაკლი თოიძისადმი მოსკოვში გაგზავნილ წერილს და ის წლები მაგონდება, როცა არქივ-არქივ, ოჯახ-ოჯახ დავდიოდი, გრანელზე მასალებს ვაგროვებდი. ვთხოვ მხატვარს, ვისი პორტრეტიც გრანელისა დართული აქვს 1924 წელს გამოცემულ „Memento mori“-ს, იქნებ მოგონება გამომიგზავნოს ტრაგიკულად დაღუპულ პოეტზე. მხატვარს ჩემს თხოვნაზე პასუხი არ გაუცია.

დღიურში ჩამიწერია: „მურმან ლებანიძე იყო დღეს ჩვენთან, „საქნიგნში“, წაუკითხავს ჩემი წერილი „ცისკარში“, – გრანელზე ასეთი წერილი არ წამიკითხავსო“ (20.7.71). „გავედი აეროპორტში, გურამი მაცილებს („ჭობი“). აქ მოსულები იყვნენ კინომსახიობები, კოტე დაუშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, გეიდარ ფალავანიძე. აქ არი ფილმის რეჟისორი თენგიზ აბულაძე. თბილისიდან ვერტმფრენს ელოდებიან, სვანეთს მიფრინავენ, „მთვარის მოტაცებას“ იღებენ. ჩვენთან



არი კლარენს შამფერიანიც, მარადოც მოვიდა. ყველანი აეროპორტის დუქანში აღმოვჩნდით, ველარ გაფორინდი თბილისში. გვერდით მსახიობები ისხდნენ, ვერც ისინი გაფორინდნენ. შევაერთეთ სუფრები. ოთარს თეატრიდანვე ვიცნობდი, გაგა დემეტრაშვილს, ნოდარ სავანელს. კოტე დაუშვილი თამადობდა, თაფლი და შაქარი ამოსდიოდა პირიდან. მე და გურამმა ბევრი ვესაუბრეთ თენგიზ აბულაძეს, ვალმერთებთ მის „ვედრეზას“. თენგიზს ადრეც ვიცნობდი. მისი სიმამრი, მიხეილ მახვილაძე, ტერენტის მეგობარი იყო, მათემატიკოსი. სალამოხანს ბატონი თენგიზი მივაცილეთ სასტუმროში. თბილისში მატარებლით გამოვემგზავრე“ (25.11.72). „ამ დილას გადავწყვიტე ჩანაწერების გაკეთება დიდი ხნის ნაფიქრ იდეაზე: სამშობლოს ტრაგიკული განცდა თანამედროვე ქართულ პოეზიაში. სახიფათო თემა კია, მაგრამ აუცილებელი. რამდენიმე სტრიქონის ჩანერა ვერ მოვასწარი, ფანჯარაზე ჩიტი შემოვჯდა, ერთი-ორჯერ ჩაიჭიკჭიკა და გაფორინდა. გაიხარე ჩიტუნავ, ალბათ კეთილი დასაწყისი უსურვა ჩემს ჩანაფიქრს“ (8.5.72). „ამასწინათ ვიყავი „ცისკარში“, მე და ტარიელმა ვილაპარაკეთ ჩემი წერილის „ქართული თავისუფალი ლექსის“ გამო. განავრცეო, მირჩია ტარიელმა, ამას თემის აუცილებლობა მოითხოვს, სიტყვას გაძლევ, აუცილებლად დავბეჭდავთ“ (20.5.73). „დღეს ცუდად ვიყავი, დავეთხოვე ჭაბუას. გოგი დოლიძე იყო დღეს ჩვენთან, მან წამიყვანა თავისი მანქანით. გზაზე შემომთავაზა, დამეწერა წერილები კინოზე. დამპატიჟა დაბადების დღეზე... გუშინ ვნახე ფილმი „მოგონებები მომავალზე“, გაოგნებული ვარ, ჯერაც ვერ გამოვსულვარ შთაბეჭდილებიდან. ამ ფილმის მერე ყოველგვარი ყოფითი წვრილმანები, ადამიანთა შორის გაუთავებელი კინკლავი, „ორი სამყაროს“ დაპირისპირება, სასაცილოდ გეჩვენება“ (9.6.73).

## კვირა მისამე

### 1. კვირა, 30 დეკემბერი, 2001 წელი.

კარზე ფხაჭუნმა გამომალვიდა. გადავიხედე, მუ-რა. ასე შევარქვი იმ ნითელბალნიანს, გორხანას-თან ჩემკენ რომ წამოძუნძულდა, მეგონა საკბენად, თურმე მოსაფერებლად. ამ უბადრუკი დროით დაზაფრულს, რა აღარ მოგელანდება.

გარეთ მზეა, ღრუბელიც, ცოტა ქარიც უბერავს, ციდან ხმელი ფანტელი ცვივა. ისეთი პირი უჩანს, შეიძლება გათოვდეს.

თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი  
და დაღალული სიზმრით დამთოვა.  
როგორმე ზამთრს თუ გადავურჩი,  
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა.

(გალაკტიონი)

გავედი სამზარეულოში, კარი შევაღე, მურას პურის ნატეხი გადავუგდე. პირი არ დააკარა. კიბეზე ჩამოყუნცდა, კაცივით ფანჯარას შემოაჩერდა. ჩავედი ეზოში. ვინ გაცალა კარის დაკეტვა, უკანა თათებზე შედგა, მაჯისთავებს, სახეს მიკოცნის. ღმერთი-რჯული, ამ მეგობრობის მოთავე მე არ ვყოფილვარ. შევდივარ ბოტანიკურში, მურას ვეუბნები: ბალში ძალღებს არ უშვებენ, არ გამომყვე-მეთქი. ჩაჯდა, მგონი გამიგონა, გულდანყვეტილი მომჩერებია. რომ ავივაკე, აგერ მურა, შორიახლო ტაატით მომყვება. შევჩერდები, გავხედავ, შეჩერდება, თავს დახრის, დარცხვენილი ქვევიდან ამომხედავს.

საკვირველია, ძალღს აქვს მორიდების, დარცხვენის გრძნობა, კაცს – არა. ჩართავ ტელევიზორს, პირდაპირ გაცდები – ყველა პოლიტიკოსი როგორ

არი! ყველა ვიგინდარა, ხელმოცარული პოლიტიკაში მიძვრება, ნამეტანი ეიოლებათ, სარფიანი საქმეა ალბათ. ვინც დედამ შვილი დაწყევლა, ყველა აქ არი – სამართლიანობის ფეხქვეშ გამთელავნი, ღვარძლის მთესველნი, უშჯულოებით გულარძნილნი, დიდების შიშით მომხვეჭელნი. შეხედეთ ჯოტოს ტილოს, როგორ ეამბორება იუდა მაცხოვარს – რა მშვიდია, შემწყალე მაცხოვარი, და რა ძლიერი. ხოლო რა მძრწოლვარეა, რა სუსტი იუდა, და რა უმწეო... დღევანდელი პოლიტიკა პოლიტიკაა?! თვალთმაქცობაა, ტაკიმასხრობაა, თვალში ნაცრის შეყრაა. ტელევიზიით ამათ გაბლენდილ სახეებს რომ ვუყურებ, ამათ „ბრძნულ“ ლაპარაკს რომ ვუსმენ, ყველა ჩემზე ჭკვიანი მგონია. გაივლის საათი, დღე, თვე თუ წელი, საპნის ბუშტებივით ქრებიან. ახსოვს ვინმეს მათი სახელები, სახეები, მოდიან და მიდიან, დავინწყების ღვართქაფში ინთქმებიან. ნეტა რას ჩაბლაუჭებიან ქონებას – არ გაივლის წუთიც, მას სხვა დაეპატრონება. გაიხსენე, ბრიყვო, ბიბლიური იობი – ერთ დღეში დაკარგა მთელი ქონება, შემდეგ ძენი, ქალიშვილები, ჯანმრთელობა. სიყალბემ, ტყუილმა დაიპყრო ჭეშმარიტად დემოკრატია ჰუმანისტური აზრი, ხშირად ისინიც, უნდათ თუ არ უნდათ, სიცრუის ანკესზე წამოგებულნი, სხვათა თვალთმაქცობის მსხვერპლნი ხდებიან. ასეთი მაგალითებიც ბევრია.

ამ რამდენიმე წლის წინ, – აფხაზეთი ახალი მოგლეჯილია დედასამშობლოს, – ლესელიძისა და პუშკინის ქუჩების გადაკვეთაზე, ზედ მოედანზე, კგბ-ის ძველი თანამშრომელი შემხვდა, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ დიდი პოსტი ეჭირა. მივესალმე. შევატყვევე, ვერ მიცნო. ლერი ვარ, ალიმონაკი-მეთქი. აილანძა სახეზე. ჩემს მშვიდ კილოს არ ელოდა, გაიცინა – როგორ მიცანიო! ამათ რა უნდათ, ხომ იცი – სატანას

ემსახურონ, შენ მახსოვრობა შლამით ამოიქოლო... დიდხანს ვილაპარაკეთ პოლიტიკურ ვითარებაზე, აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე, ქართველი კაცია, ვფიქრობ, არ შეიძლება გული არ ტკიოდეს სამშობლოს ბედიბალზე. მე თქვენზე არ ვარ ნაწყენი, ოცი წლის წინ მაგიდაზე მუშტებს რომ მიბრახუნებდით, ვეუბნები, მე ის ადამიანები მზარავს, თქვენთან რომ მათებულბდნენ-მეთქი. არაფერი უთქვამს. გაელიმა. ასე დავშორდით ერთმანეთს.

უკან დაბრუნებისას, ნავკისას რომ ჩამოვუახ-ლოვდი, დელისპირზე ის ჩამუხლულიყო, ამოუტეხავს ყინული, რალაც ტყავისმაგვარს ცივ წყალში ალაღლაღებს, მონითალო ფერი გასდის. ჩავაშტერდი.

– ხო, მე ვარ, მე! – არ ამოუხედავს, ისე ამომძახა ხევიდან.

– ვინ შენ?! – პასუხი არ მოუცია, დინჯად წამოდგა, ის რალაც ტყავისმაგვარი მაგრად განურა, მხარზე გადაიფინა და, უკანმოუხედავად, ნავკისას შეუყვა, ჩანჩქერისკენ.

ჩემი ფიქრი სად არ დაბორიალობს.

ხორციელ ბატონს ვინც დამორჩილება, ის მხოლოდ საგანთა მრავალფეროვნებას, მათ გარეგნულ სახეს ჭვრეტს, საგანთა შინაგანი კავშირის წესრიგი ქაოსად ერვენება. მისთვის ყველაფერი ცხადია, გასაგები, განმარტებული, ის ვერ სწვდება საგანთა იდუმალებას, მის აუხსნელ, განუმარტავ არსს. მზერა ამღვრევია ხილული მრავალფეროვნებით, სმენა დახშვია საგანთა მრავალხმოვანებით. ვერ უკავშირდება ერთს, ვერ ჭვრეტს მის უხილავ სახეს. მისთვის სამყარო დანაწევრებულია, დაქუცმაცებულია, მის თვალბში საგანთა სხვადასხვა ხატი რიალებს, რაც

უბრკოლებს წმინდა შემეცნებას, პოეზიის დაფარული დინების წვდომას. გურამიშვილი წმინდა შემეცნებით, მარადიული სულისკენ აღმასვლით არის შთაგონებული.

მამას და ძესა და სულსა სიტყვით აქვს განყოფილება, მაგრამ ერთ ღმერთად ითქმიან, ამას არ უნდა ცილება. მამა უვნებლად მაღლა ჯდა, ქვე ძეს ხვდა მოცაკვდინება, სულს რალა შეეხებოდა, თვალთგან არ იხილვება.

ერთი არ ღმერთი ყოველთა ქმნილთა, მის მიერ ქმნულისა, ბრძენიც არა ჩანს აღმრაცხი მის სარიცხველთა ნულისა. ვითარ შესწვდების გონება უცებით ქვე დანთქმულისა! აქეთ და გაქექთ ნულარას, გესმოდესთ ჩემის თქმულისა!

დავითის მრწამსი იობის მრწამსივითაა: „შიშველი მოველ ამქვეყნად და შიშველი წავალ“ (იობ.1,21).

## **2. ორშაბათი, 31 დეკემბერი, 2001 წელი.**

არიან ე. წ. „მოდნი“ პოეტები, რომელთაც ხშირად დარბაზებში, ცისფერ ეკრანზე, სალონებში მოკრავთ ვალს. იქ ტრიალებენ, სადაც ბევრი ხალხი ირევს, დაჯდებიან, ერთმანეთს დითირამბებს უმღერენ, ზურგსუკან ჩუმ-ჩუმად აქილიკებენ. პოეტს ამგვარ საქმეში ვერ გარევე. საზოგადოება კი, სამწუხაროდ, ხშირად ყრუა, ვერ არჩევს ცრუს ჭეშმარიტისგან.

და ასე ფიქრი უფრო ძნელია,  
როცა თვალეზი ნათელს უცდიან.  
ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა!  
ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა ბურუსია!  
(გრანელი)

ასე რომ არ იყოს, აგერ ორ საუკუნეზე მეტია, ისეთი ტიტანური ძალისხმევის პოეტი, როგორც

დავით გურამიშვილია, დღემდე ვერ გაუმეცნებია მთელი სრულქმნილებით ქართველ ერს. ხოლო ე.წ. „პატრიოტული თემის“ დღევანდელი პოეტები მართალია მოხუცდნენ, კვლავაც არ ეშვებიან პროვინციული ხერხებით ქართველი კაცის გრძნობების მანიპულირებას, მკითხველის პოეტური გემოვნების დაკნინებას.

ძველი ბერძნები ყველაფერს ღმერთებს მიანერდნენ. ჩაიდენდნენ რალაცას – ეს ათინამ შთამაგონა, ეს აპოლონმა, ეს პოსეიდონმაო. ქართველებს ერთი ღმერთი გვყავს, რა ვქნათ, ველოლიავებით – ის გვიცავს ცოდვითდაცემისგან. მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, იმავე ღმერთის სახელით, თუ გაბოროტდნენ, ისე დაგწყევლიან, შენს მტერს. ჰოდა, გვინა წყევლამ.

3 საათზე „კურიერი“ აცხადებს: პრეზიდენტი შევარდნაძე საახალწლო სიურპრიზს დაპირდა მოსახლეობასო. ყურები ვცქვიტე, გამეხარდა. თურმე არ იკითხავთ, რა სიურპრიზია?! დღეს, ახალი წლის დადგომის დღეს, პენსიებს და ხელფასებს დაურიგებენ ხალხს. საკუთარი ხალხის მეტი აბუჩად აგდება იქნება?!

დავით მეფე „გალობანში“ ფორმალურად იცავს ჰიმნოგრაფიული პოეზიის დადგენილ დოგმატურ კანონებს, თუმცა არღვევს მის შინაარსობრივ მხარეს. ჰიმნოგრაფიული პოეზია, უმთავრესად, ღმერთისადმი – იესო ქრისტესადმი აღვლენილი ლოცვა-სავედრებელია, მისი განდიდებაა, ხოტბაა, ოდაა. რელიგიურ ფორმაში აქ ავტორს შეაქვს საერო მოტივები, პიროვნულ-ადამიანური სულისკვეთებანი, თუმცა ყოველივეს მაინც ქრისტიანული მრწამსით მსჭვალავს, ყოველივეს ქრისტიანულ საბურ-

ველში ხვევს. ამ თვალსაზრისით, დავით მეფე გამოირჩევა როგორც წინამორბედი, ისე თანამედროვე ჰიმნოგრაფებისგან. და არა მხოლოდ გამოირჩევა, რაც მთავარია, ადამიანური განცდებისა და ღირებულებების ავანსცენაზე წინწამონევიტ, განსხვავებით დოგმატიკოსთაგან, ის უახლოვდება ადრეული რენესანსის მოტივებს. მეტიც, არათუ უახლოვდება, მე ვფიქრობ, მთელი თავისი პოლიტიკური და სასულიერო-საეკლესიო მოღვაწეობით, „გალობანი სინანულისანი“, საქართველოსა და მთელს ახლო აღმოსავლეთში, საფუძველს უყრის რენესანსულ იდეოლოგიას.

### **3. სამშაბათი, 1 იანვარი, 2002 წელი.**

მშვიდი, მშვიდი დილაა, მზიანი. არ ყინავს. არ გა-მართლდა ჩემი ვარაუდი, რომ გათოვდებოდა. ყვითელი მზე მშვიდად გადაჰფენია ნარიყალას, წმ.ნიკოლოზის ტაძარს, თაბორის მთაზე მშენებარე ეკლესია-მონასტერს.

„რა გითხარტ, რით გაგახაროტ?!“

სვამს ღრმად განსაცდელ კითხვას მე-20 საუკუნის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე. და მე ახლა, საუკუნის შემდეგ, იმავე პრობლემებში მყოფი ქვეყნის შვილი, ვპასუხოტ: ღმერთო, შენ მოგვეცი ძალა ღვთისა და ჯვრის! ღმერთო, შენ მოგვაქციე ქრისტეს შჯულზე! ღმერთო, დაგვაძლევინე ამპარტავნება, სიხარბე, ფუფუნებისმოყვარეობა – ძირი დაკნინებისა. დიახ, ამ უღმერთობამ გაგვაპარტახა, დაგვამონა. და თუ ცოტათი მაინც ვძლევთ ამ სნეულებათ, დიახ, სნეულებათ, ქვეყანასაც ცოტა გულზე მოეშვება.

ჰოდა, დაინდე შენი ქვეყანა, შენი ხალხი!

ტელევიზორში უჩვენებენ „ერისიონის“ კლიპს,

სადაც ქართული ცეკვისა და სიმღერის დღესასწაულია. განცდის, გრძნობის გარეშე ვერ ვუყურებ. ვხედავ, ჩემი გიორგი თვალეზგაშტერებული მისჩერებია ცისფერ ეკრანს, ვგრძნობ, როგორ ფეთქავს მასში მამაპაპათა ღვანლი. მადლობას უხდის ციციო ყველას, ვინც კლიპი მოამზადა. ვინ იცის, რამდენ ჭაბუკსა თუ ყმანვილს აუნთებს გულში ცეცხლს, გაულვივებს საღმრთო სიყვარულს.

ჩვენს წინაპართა ცხოვრებას დღეს იმიტომაც აქვს ფასი და აზრი, რომ ახლებურად, დღევანდელი თვალსაზრისებით, „ნავიკითხოთ“ მათი მოღვაწეობა, დღევანდელი ზნეობრივი თუ ეთიკური მოთხოვნების ჭრილში გავიაზროთ. თუ ამ რაკურსით შევხედავთ წარსულს, სიხარული დაგვეუფლება, რომ დავით მეფემ, ვითარცა „სხუამან პტოლემეოს“ და „ახალმა ალექსანდრემ“, „ქმნა საქმენი დაურწმუნებელნი“, „კუალად წყალობა გლახაკთა ესოდენი აქუნდა, ვიდრემდის ალავსო ზღვა და ხმელი ქველის საქმემან მისმან“, „შიში უფლისა მოიგო“ და „მიიღო მადლი მოციქულობისა“. ამ ასპექტიდან აღმაშენებელს ვხედავთ ორი კუთხით: მეფეს და ადამიანს, შუასაუკუნეთა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიანს, ჰუმანისტს, რომელმაც ჯერ კიდევ როდის, იქადაგა ადამიანის სულიერი თავისუფლება, იქადაგა და საამისო ასპარეზი პრაქტიკულად გაუხსნა კიდევ ამ დროის ადამიანებს, სხვათაშორის, არა მხოლოდ ქართველებს.

#### **4. ოთხშაბათი, 2 იანვარი, 2002 წელი.**

მოვიდა ახალი წელი. ეძებ ხსნას, საშველს, ნიადაგ იმაზე ფიქრობ, ეგებ დღეს თუ არა, ხვალ მაინც იქნეს უკეთესობა. რა უკეთესობაზეა ლაპარაკი, ყოველი



დღე დაღმასვლაა. ბუნებით რწმენის კაცი ვარ, რწმენამ მაკეთებინა ის, რაც, ავად თუ კარგად, ვაკეთე. არც მონუნუნე კაცს ვცემ პატივს. ცხოვრებამ მორჩილება მასწავლა. და ეს სულაც არ მგონია კონფორმიზმი. პირიქით. მორჩილება შინაგანი მოღვაწეობაა, თვითდამკვიდრებაა. ხოლო ეს ხვედრია. მე ვმორჩილებ ხვედრს. და სწორედ ამ მორჩილებით ვიზღუდავ თავს ყოფიერების შემოტყევისგან. მაგრამ ხომ ყველაფერს აქვს საზღვარი?! მწერალი, რაც მე ვიცი, ყოველშემთხვევაში, ჩვენში, არასოდეს ფუფუნებისმოყვარე არ ყოფილა, ყოველთვის კმარობდა მცირედს, ოღონდაც თავისი სულიერი საქმე ეკეთებინა. დღეს რა მცირედზეა ლაპარაკი – სიდუხჭირეში ცხოვრობენ. გმირები არიან, ამ პირობებში კიდევ რომ იკრებენ ძალისხმევას და ქმნიან, მომავალ თაობებს უკეთესი გზა და ბილიკი მიასწავლონ და არა იმგვარი, რასაც დღეს გვთავაზობს ჩვენი „ბრძენი“ ხელისუფლება. მწერალმა, ამათგან განსხვავებით, ყველა დროში უწყოდა: სოლომონს, დავითის ძეს, რაღა არ ებადა – სიბრძნით დაწყებული ფუფუნებით დამთავრებული, ყველაფერს ამაოება უწოდა.

რა გნებავთ, ზნეობის ანტიპოდს ეძებთ ჩვენში, ყურმოჭრილ ყმას, ბრბოს ინსტინქტებით მოყაშყაშეს, ნიშატართმეულ პირმოთნეს, რეგრესში დაქანებულ ფარისეველს?! თუ თქვენ ფიქრობთ, ჩვენზე, როგორც ცხოველზე, ცდები ატაროთ, სასტიკად სცდებით. თქვენ შეგიძლიათ გაგვანვალოთ, გაგვანამოთ, გაგვამწაროთ, მაგრამ, დანიის პრინცისა არ იყოს, ჩვენზე დაკვრას ვერ მოახერხებთ, ჩვენში, ვინც გინდა ვიყოთ, ჰამლეტის შეურიგალი სული ბობოქრობს.

ხოლო თქვენ, ხელისუფალნო, თქვენ რაზედღა ჰზრუნავთ?!

იმაზე, რომ საზამთროს ახალი ჯიშით ახალი

ადამიანი „გამოიყვანოთ“, ამ ადამიანს ცნობიერება „შეუცვალეთ“, როგორც „ტოიოტას“ მარკის ავტომანქანას – მოტორი?! უმეცარნი ხართ. უმეცარნი რომ არ იყოთ, გეცოდინებოდათ, რომ ეს ერთხელ უკვე მოხდა, გოლგოთის მისტიერიამ რადიკალურად შემოაბრუნა ადამიანის ცნობიერება, სრულიად ახალი, მანამდე არნახული, სფეროები შემოარღვია. შეხედეთ, დასავლეთის მზე თვალს როგორ ჭრის ჯვარცმულ მაცხოვარს. დასრულდა ტანჯვა. იწყება სხვა, სრულიად ახალი ცხოვრება. და ახლა თქვენ გინდათ, ეს საღმრთო გამოცხადება კაცობრიობის ცნობიერებიდან ამოძირკვოთ?! კომუნისტური კონცეფციებით დუჟმორეულმა სატანის მსტოვრებმა ეს ერთხელ უკვე სცადეს, ხოლო რით დასრულდა ეს თავზარდამცემი ექსპერიმენტები, ყველამ კარგად ვიცით – ხელთ მხოლოდ სიმახინჯე შემოგვრჩა. კიდევ ამ გზას ადგახართ?! „კუდი ძაღლისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“. ვერა, ვერც დიქტატორნო, ვერც ვითომ დემოკრატიო, თქვენ, ძლიერნო ამა ქვეყნისანნო, ამას ველარ მოესწრებით. ნურც იმას იდარდებთ, ოდეს სავარძლებიდან აგაბრძანებენ, ჯვარს გაცვან. ჯვარს იმას აცმევენ, ვინც ღვთის მართალ სიტყვას მსხვერპლად ეწირება.

თუ ერი, მისი ყოველი წევრი, ამა ქვეყნის ყოველი მოქალაქე, სულიერ ღირებულებათა პერმანენტულ განახლებას, ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრებას არ მიელტვის, იმ ერს არ უწერია მრავლშამიერი სიცოცხლე. მართალია, დღეს ერს გამოფიტვის ნიშნები დაეტყო, ისტორიულ ქართველიებში ზნეობრივი გამირებიც შემოგვევლია, თვითშენიერვის ნიჭით ხელდასმულნიც აღარ გვეყვანან, მაგრამ ხომ ჰყოლიათ ქართველთ ასეთი კაცები?! ვაჟას გამირები იქნება ფიზიკურად ილუპებიან, მაგრამ სწორედ ამ გზით არ

აღწევს სულიერსა თუ ზნეობრივ სიდიადეს, სწორედ ეს მისტიკური, გნებავთ მისტიური, მსხვერპლშენიერვა არ არი კაცობრიობის პროგრესის მაუწყებელი, მშობიარეს ტკივილივით რომ გადის ამ უმძიმეს გზას?! განა ეს გარდუვალი გზა არ არი ერის, როგორც ფენომენის, სიცოცხლის გამა-ჟამგრძელებელი?! განა ვაჟა არ არღვევს ეროვნულ საზღვრებს, როგორც ეთნოგრაფიულ თვალსაწიერს, და თემის, როგორც მიკროსაზოგადოების წიაღში, არ გვაზიარებს კაცობრიულს?!

და მე ისევ ელიაზარზე ვფიქრობ.

ოთხი-ხუთი წლისა იქნებოდა, რომ მონათლეს. ემბაზში ჩამდგარს ეცხადება, მამა ბასილი კი არა, ის უცხო თხოველი ასხამს თავზე მუჭით აიაზმას, წელან კარიბჭესთან თვალი რომ მოკრა, შუბლზეც, თვალსახეზეც, ნაჯაჭვარ მაჯა-კოჭებზეც ის სცხებს მირონს, ეჩურჩულება – მოგეტევა! ვინ არი ეს უცხო თხოველი?! მაცოხვარი. ელიაზარის წიაღში შეღწეული სახე ამირანისა, რასაკვირველია, ბუნდოვნად მაინც გაიხსენებდა თავისი ნათლიის სახეს. თუ მითის თანახმად, ქრისტე გამწყრალია ამირანზე მისი მოჯანყეობის გამო, რისთვისაც დასაჯა კიდევ – კლდეს მიაჯაჭვა, ახლა, მისი ხელითვე მირონცხებულ ელიაზარს – რეინკარნირებულ ამირანს, სხვა ხვედრს განუმზადებს და ამ ხვედრის მონამეობრივი დათმენით, მიუტევებს. სწორედ ეს უცხო თხოველი – მაცოხვარი ეცხადება გზაბოძალზე ქალაქიდან ექსორიაქმნილ ელიაზარს, ახლა უკვე მეორედ და უკანასკნელად, ვინც ტანჯვით განვლო სანუთროების გზა და, მაცხოვრის ხელით მირონცხებული და ზიარებული, უახლოვდება თავის ბოლო სადგურს, და ჩაესმის უფლის ხმა: მოგეტევა!

## 5. სუთვაბათი, 3 იანვარი, 2002 წელი.

ვღგები დამტვრეული, გაურკვეველი სიზმრებით გათანგული. ჩვენი ცხოვრებაც ხომ ზოგჯერ ბუნდოვანი სიზმრებივით გაურკვეველია. წვიმს. თბილა. მშვიდი დილაა, მაგრამ მოწყენილი. გავდივარ ბოტანიკურში, ჩიტებიც არ ჩანან რატომღაც. რეკენ ეკლესიის ზარები სასოების ნიშნად, გინდა თუ არ გინდა, გიხმობენ, გეძახიან, ხვალინდელი დღით გავსებენ.

სამრეკლოს ანგრევენ ზარები...

წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

(გალაკტიონი)

ბავშვები ყვილ-ხივილით შერბიან სკოლის შენობაში, ამხიარულებენ მოწყენილ დილას. ჯერ ამათ რაციან, რა არი დარდი. ეს ის ბავშვებია, ეგვიპტეში ლტოლვილ ღვთისმშობელსა და ყრმა იესოს ანგელოზებთან ერთად ხილსა და ყვავილებს რომ უკრეფენ. ამ ბავშვების მზერა ჰანს როტენგამერის ტილოზე ბევრად მართალია, ვიდრე ჩვენი, „ბრძენი“ კაცებისა. მივენდოთ ამ მზერას, ის არასოდეს გაგვწირავს.

დილიდანვე გათიშეს სინათლე. იძულებული ვარ, ლამპის შუქზე ვიმუშაო. ოთახში ცივა. ვიყინები. ვწვები ლოგინში. მუშაობა არ შემიძლია. დრო უქმად იკარგება. მაგრამ ვფიქრობ – ფიქრიც ხომ საქმეა. საფიქრალსა და სადარდებელს კი რა გამოუღვევს კაცს.

თუ ვაჟას გენიას შევბედავდი, არ მეგონა. ეს თავისთავად მოხდა, სტიქიურად. „ძმები კარამაზოვების“ კითხვისას, რატომღაც, გამუდმებით „აღუდა

ქეთელაურზე“ ვფიქრობდი. საიდან იშვა ასეთი ასო-  
ციაციები, პირველხანად ვერ გავერკვიე. ამ ორ ნა-  
წარმოებს შორის, დიამეტრულად რომ განსხვავდე-  
ბიან ერთმანეთისგან როგორც ფორმით, ისე შინაარ-  
სით, მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისთა მხატ-  
ვრულად განსხეულების ცალკეული ასპექტები  
დაემთხვა ერთმანეთს. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს  
საგანგებოდ ვეძიე პარალელები, არა, აქ სრულიად  
სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე: როცა ერთი ნა-  
წარმოები გიბიძგებს, ანუ გაძლევს ორიენტაციას,  
მეორე ნაწარმოების ამოსახსნელად, თუნდაც ეს ნა-  
წარმოებები, როგორც ვთქვი, რადიკალურად  
განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ამ ორ თხზულე-  
ბას შორის ჭეშმარიტად არსებობს შინაგანი ლოგი-  
კური კავშირი. დაახლოებით ერთი ეპოქის ამ ორმა  
გენიოსმა, ერთი მსოფლმხედველობით აღჭურვილმა,  
თავიანთ ქმნილებებში იქადაგეს მსოფლიო თანხმო-  
ბის, თანაზიარობის, ქრისტიანული თანალმობის  
იდეა. ისინი მხოლოდ იმიტომ კი არ არიან უკვდავი  
მწერლები, დიდი მხატვრები რომ არიან. არა. არამედ  
იმიტომაც, რომ მათ, მოგვთა დარად, იწინასწარმე-  
ტყველეს კაცობრიობის მომავალი, უბერებელი  
მსოფლმხედველობით განსჭვრიტეს, რასაც მომა-  
ვალმა კაცობრიობამ უნდა შეასხას ხორცი.

## **6. პარასკევი, 4 იანვარი, 2002 წელი.**

გაიხედავ ფილარმონიის აფიშაზე: „მღერიან და  
იციინიან...“ ჩართავ ტელევიზორს: „მღერიან და იცი-  
ინიან...“ დაიქცა, ძმებო, ქვეყანა, სამაღინდაროდ და  
სალაზლანდაროდ გვაქვს საქმე?! რაც თავი მახსოვს,  
აღბათ საქართველოში ამდენი არ უმღერიათ და  
უცეკვიათ, რამდენიც დღეს. ნახევარი საქართველო  
მიტაცებულია, ნახევარს კიდევ, ქართველისავე პი-

ლატეობით, როდის მიიტაცებენ, კაცმა არ იცის, სა-  
ლალობოდ გვცალია?!. ძველ ირლანდიელებს, ყვე-  
ლაზე მძაფრი ინსტინქტი შეეღწიათ დაფარულში,  
ზღვის ხილვისას აღეძვროდათ – ენდათ ამოეცნოთ,  
რა იყო ზღვის იქით. და ასე ოცნებობდნენ ალთქმულ  
მინაზე. წმ. პატრიკის ლეგენდა გვამცნობს, როცა ის  
ირლანდიელებს უწინასწარმეტყველებდა ჯოჯოხეთ-  
სა, განსანმედელსა და სამოთხეზე, მათ გულისხ-  
მაყვეს, თუ წმ. პატრიკი დათანხმდებოდა, შეძლებდ-  
ნენ მოეხილათ ეს ადგილები, საკუთრი თვალთ ეხი-  
ლათ ყოველივე და უკან მობრუნებულეებს, მოეთ-  
ხროთ ამ ადგილთა გამო. ამოთხარეს ორმო, ჩავიდა  
ერთი, მას სხვებიც მიჰყვნენ, იმოგზაურეს მინის ქვე-  
შეთში. რა ტანჯვა-წამება აღარ გამოიარეს, მოთქ-  
ვამდნენ და გოდებდნენ ნანახსა და განცდილზე. ამ  
მძიმე, შორი მოგზაურობიდან ბევრი ვერ დაბრუნდა.  
ხოლო ვინც დაბრუნდა, აღარასოდეს გაუცინია, აღა-  
რასოდეს ულხენია. ვერ ვიტყვი, ჯოჯოხეთში ვართ-  
მეთქი, თუმცა, თუ გონებისთვალთ ღრმად ჩავხე-  
დავთ რეალობას, არც უკეთესში ვართ. მაგრამ გან-  
სანმედელში რომ ვართ, ამას დღეს ყველაზე ქარაფ-  
შუტა ქართველიც უნდა ხვდებოდეს. ხოდა, შენ, ჩემო  
კარგო კაცო, სიცილს ვინ აგიკრძალავს, მაგრამ  
ქვეყანა თავზე რომ დაგმხოვია, ნეტა რა გაცინებს?!  
გვერდიდან მაინც შემოხედე საკუთრ თავს, რას გავ-  
ხარ, თუ ხედავ ნეტა, რა დღეში ხარ?!

ვაჟა-ფშაველამ ოცდაშვიდი წლისამ შექმნა  
„ალუდა ქეთელაური“. ეს ასაკი თავანყვეტილი პოე-  
ზიის ასაკია, თუმცა სიბრძნის ასაკი არ არი. მაგრამ  
პოემა შემეცნებაში ღრმად დაუნჯებული კაცის  
სიბრძნით არი გასრულებული. აქ ორი ასპექტი შერ-  
წყმია ერთმანეთს: ვაჟას ძალუმი ინტუიცია და ის  
სამყარო, სადაც პოეტს ღრმად გაუდგამს ფესვები.

ვაჟა იმ ბრძენს როდი ჰგავს, ვინც ჯერ სწავლობს, მერე გასცემს ცოდნას. ის იმ ქურუმს ჰგავს, ვინც საუკუნოებით დაგროვილ სიბრძნეს თავის წიაღში იმარხავს, როგორც თვითნაბად საგანძურს, და გასცემს მას, როგორც დედაბუნება გასცემს თავის წიაღში ჩამარხულ მადანს. შინაგანი ძალისა და ზეგარდამო მადლმოსილების წყალობით, ის თავად „ქმნის“ ცოდნას, რამაც ლუკა რაზიკაშვილი ვაჟა-ფშაველად აქცია. ქართული წარმართულ-ქრისტიანული მითოლოგია მისთვის თვითმიზანი კი არ არი, არამედ ფორმაა, ანუ გზაა მისივე მსოფლმხედველობის მხატვრულად განსხეულებისა. მან, წინასწარმეტყველის გემით, ფიქრისა და მახსოვრობის ნიადაგ მღვიძარებით, შეიცნო კაცთა ბედი დასაბამიდან და მისი მომავალი ხვედრიც განსჭვრიტა.

## **7. შაბათი, 5 იანვარი, 2002 წელი.**

დილაუთენია ვდგები. მთელი ღამე ელიაზარზე ვფიქრობდი, მის ექსორიაზე. ის გზა მინდა გავიარო, რა გზითაც ქალაქს მოსწყვიტეს. გავდივარ ბოტანიკურში. ჩიხის ბოლოს მურა ამედევნა. ზევიდან დავუარე ბალს. ჩანჩქერთან, ზედ ხიდთან, წავკისას ხეობას შევყევი, კოჯრის გზისკენ დავალირე თავი. წავკისა თეთრი ყინულის არტახებშია, ძვრა არ აქვს. ქალაქიდან ზარების რეკვა მაცვილებს. და მურა. ხიდისთვში მურას ვთხოვ: აღარ გამომყევე, შორს მივდივარ-მეთქი. ჩაჯდა, გულდანყვეტილი თვალებით მიყურებს. ტრასაზე კოჯრის ტაქსს ვაჩერებ, შინდისის გადასახვევთან ჩამოვდივარ.

შინდისი, რომანში – მძოვრეთი. ამგვარი პირობითობებით სავსეა წიგნი. მთავარი ქუჩით სოფლის სიღრმეში შევდივარ, ალაგ-ალაგ ნათოვარი შემორ-

ჩენილა. გზის მარცხენა მხარეს, სიღრმეში, მელიტონ ბარათაშვილის სახლი დგას, შინდისელები როგორც მეუბნებიან, – აღუდგენიათ. აქ დარბოდა პატარა ტატო. რა საოცრებაა!

თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი,  
ლოცვა ბავშვური, ფერი გედური.  
(გალაკტიონი)

მაგრამ კიდევ უფრო დიდი საოცრება, იცით რა ვნახე: როგორ ზუსტად დაემთხვა ამ არე-მიდამოს ჩემგან წარმოსახული ადგილი, ნაწისქვილარი, სადაც სიცოცხლის ბოლო დღეები ისახლკარა ელიაზარმა. აქ დამხვდა წმ. გიორგის ტაძარი და ძველი სასაფლაო, მაღალი სარკოფაგებით, ზედ წარწერებით, ეს კი ველარ წარმოვიდგინე. აქედან კარგად იხედება თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთი. სასაფლაოს გაღმა, პანია ხევში, ახლა ნაგავსაყრელად რომ უქცევიათ, ღელე ჩარბოდა, ღელეზე პატარა წისქვილი მდგარა, მგონი ბარათაშვილებისა... შევდივარ ტაძარში. ვლოცულობ. ვტოვებ მოსახსენებელს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ნიკო ფიროსმანაშვილის სახელზე, ხვალ, საკვირაო წირვაზე, მოიხსენიებენ ამათ სულელებს.

გულსავსე ვბრუნდები თბილისში. ისევ ბოტანიკური ბაღით გადმოვდივარ. ფეხებში მურა მებლანდება. ხელისგულივით მოჩანს აქედან ძველი უბნები, ჰავლაბარი, მეიდანის, რიყე, ორთაჭალა, სირაჯხანა, მტკვარი. რა ჟრიამული იდგა ალბათ ერთ დროს. ყველაფერი წავიდა. ვფიქრობ იმ პატიოსან ხალხზე, ხელოსნებზე, რომელთა სახელებიც ცხოვრებამ უსახელოდ მტკვარს გაატანა. რამდენი ტანჯვა, რამდენი ცრემლი.

შემდეგ არაა არსად ახალი,



ცა – ოკეანე, მთვარე – ნაფოტი,  
თბილისი ჩემთვის არის მაღალი  
გილიოტინა და ეშფოტი.

(გალაკტიონი)

ხომ აქ მოსაგრეობდა ნიკო ფიროსმანაშვილი?!  
ჩემი გმირი ელიაზარ კვიციანიც ხომ ამათთან  
იტეხდა პურს?! წავიდნენ. ლამაზი სიზმრებით წა-  
ვიდნენ. წავიდნენ თუ ხელკვრით გაიყვანეს?! მაგრამ  
ხომ დატოვეს ანდერძად სინდისი, კაცობა, პირგაუ-  
ტეხლობა, ჰარმონიული თანამკვიდრობის ეთიკა,  
თანამკვიდრობა, რომელიც რუსთა იმპერიამ მოშა-  
ლა. და შინამტერმა, ცხვრის ქურქში გახვეულმა ოდა-  
სახლში ცხვირშემოყოფილმა მგელმა.

მხოლოდ ხელოსანნი, მხოლოდ მშვენიერ ნაქმ-  
ნართა დიდოსტატნი იყვნენ?!

ჰამქარი, მკვიდრი წესწყობილებით ქრისტიანულ  
ცნობიერებასა და სახელმწიფოებრივ ეთიკაზე და-  
ფუძნებული ინსტიტუტი, ეროვნების განუსხვავე-  
ბლად, ჰარმონიულად ერწყმოდა საზოგადოებრივი  
ყოფიერების იერარქიულ ყველა განშტოებას. ის, თა-  
ვისი სოლიდარობით, დემოკრატიულობით,  
საფრთხეს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიისთვის.  
XIX საუკუნის 50-იანი, 60-იანი წლებიდან დაიწყეს  
კიდევ აქტიურად ამ ინსტიტუტის შევიწროვება –  
სხვადასხვა წლებში ხელოსანთა აჯანყებები სისხლში  
ჩაახრჩვეს, ხოლო 90-იან წლებში ჰამქრობა კანონით  
გააუქმეს. იმპერიამ ამით, ვფიქრობ, ორი კარდინა-  
ლური ამოცანა გადაჭრა. პირველი: იმპერიას უნდა  
გახსნოდა გზა მეტროპოლიებში, კერძოდ საქართვე-  
ლოში, ყველაზე საშიშ რეგიონში, თავისი ფაბრი-  
კულ-ქარხნული ნაწარმის რეალიზებისა, რასაც კონ-  
კურენციას უწევდა ჰამქრობის ნიაღში შობილი უზა-  
დო პროფესიონალიზმით, ლამის ანტიკვარული ნიშ-

ნით, შესრულებული ნაწარმი. მეორე და მთავარი: იმპერიას უნდა მოეშალა საქართველოში სახელმწიფოებრივ ცნობიერებასა და დემოკრატიულ ეთიკაზე, ანუ თანამოაზრეობაზე დამკვიდრებული სოლიდარობა, რაც მოარყევდა ქვეყნის ერთიანობის ეროვნულ თვითცნობიერებას.

რუსეთის იმპერიამ ეს ორივე ამოცანა, 90-იან – 900-იან წლებში, წარმატებით გადაჭრა.

და დაიწყო ბედისწერული პროცესი.

ჰამქრის ნევრი, თავისი მაღლმოსილი ტრადიციებით, ფაბრიკის მუშა ხდება. ის კარგავს ინდივიდუალურ-პროფესიულ ღირებულებას, ანუ წყდება ჰარმონიულ თანამკვიდრობას, როგორც დედის ძუძუს. წყდება ეროვნულ, რელიგიურ, სახელმწიფოებრივ თვითცნობიერებას, წყდება და, თუმცა ჯერ ქრისტიანობას არ სდევნიან, იწყება მისი პიროვნული ზნეობის დევალვაცია, ბრბოს ინსტინქტებით მისი აღჭურვა, ჯგუფური აზროვნება. იმპერიამ, როგორც ხდება ხოლმე, ნაწილობრივ ინტელიგენციაც გადაიბირა. გარკვეული ფენა ადამიანებისა რალაც ჰიბრიდულ მოდემას დაამგვანეს, სული გაუუკულმერთეს, ეროვნული ცნობიერებისგან დაშრიტეს, ტვინში ცრუკოსმოპოლიტიზმი ჩაუნერგეს. დღესაც რამდენია, რუსეთის იმპერიას რომ მისტირის.

მართალია, ის დროა, როდესაც სამოღვაწეო სარ-ბიელზე სამოციანელები იღვნიან ეროვნული თვითცნობიერების გადასარჩენად, კატორლისა და სახრჩობელის ფასად თავს სწირავენ სამშობლოს მერმისს, მაგრამ მათ ნააზრევს ჭურჭელი ხომ სჭირდებაოდა. დაბზარულ ჭურჭელში თაფლი დადგება?! როდესაც ჯოგური ცნობიერება ობივიით ყველას და ყველაფერს მოდებოდა, როდესაც პიროვნულ-ინდივიდუალური ღირებულებანი დაკნინებულიყო, დაბზარულ ჭურჭელში იმათ ნააზრევს რა დააყენებდა. არ ვიცი, იქნებ ამ ეპოქისეულმა ნიშანმა – ზნეო-

ბრივ-ეთიკურმა უკმარობამ განსაზღვრა, რომ იქმნება ისეთი საკაცობრიო მნიშვნელობის თხზულებანი, როგორიც „ალუდა ქეთელაურია“, „სტუმარ-მასპინძელია“, „გველის მჭამელია“. ვაჟა-ფშაველა არა მხოლოდ ქმნის, თავადვეა მისივე ზნეობრივი გმირების პროტოტიპიც. როდესაც გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები სარბევად გურიას შეესია, ვაჟამ, პოეტმა, სიტყვის კაცმა, ორასკაციანი ცხენოსანი რაზმი შეკრიბა, თანამოძმეთა საშველად წინ წარუძღვა. თუმცა ამ რაზმს სართიჭალაში გზას ჟანდარმერია გადაუღობავს, თავად ფაქტი ქართველთათვის რამხელა ზნეობრივი მაგალითი იქნებოდა. ვაჟა-ფშაველა არც შემდეგდროინდელ, ბოლშევიკურ-კომუნისტურ, იმპერიას მოსდიოდა თვალში. ყველამ ვიციტ, რაც დამართეს მის უსაყვარლეს ვაჟს, ლევანს. რა დაავინყებს ქართველ ერს ორჯონიკიძის სიტყვებს – ცოცხალი რომ იყოს, ვაჟასაც დავზვრეტდიო. არც ისე ბავშვი ვიყავი, არ მახსოვდეს, როგორ ებრძოდა ცეკას მდივანი, კანდიდ ჩარკვიანი, ვაჟას გოლიათურ აჩრდილს.

ვაჟას გმირების საპირისპიროდ, რაც უნდა პარადოქსი იყოს, ეპოქათა ამ საბედისწერო გზაგასაყარზე, გამოდის ახალი – მორევულუციონერო-მონარქისტო-მოტერორისტო, ეროვნული ცნობიერებისგან დაცლილი ცრუკოსმოპოლიტური კონცეფციებით გულტვინგამორევცხილი ადამიანი. გაიხსენეთ 900-იანი, 910-იანი წლების აჯანყებები და რევოლუციები, 20-იანი, 30-იანი წლების უსასტიკესი რეპრესიები. განა სწორედ ეს ადამიანები, მათი ნაშეიერნი არ იყვნენ იმ ბარბაროსულ სისხლისღვრათა ავტორები, რომელთაც ასიათასობით ქართველის სიცოცხლე შეინირეს?!

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები.

(გალაკტიონი)

აი, რა მახინჯი, ბნელი გზა გამოატარეს პატიოსნებით, სინდისიერებით, ქრისტიანული ტოლერანტობით სავსე ქართველ კაცს, ვიდრე მას, სულდამახინჯებულს, საკუთრი ხალხის ჯალათად არ აქცევდნენ. მათი ნაშიერი არ არის, დღეს ქაფივით ხელისუფლებას რომ მოსდებია?!

ქალაქში რომ მოინადავლეს ჰარმონიული თა-ნამკვიდრობა, რუსეთის იმპერიის ნაბიჭვრებმა, კო-მუნისტებმა, ველიკოდერჟავული იდეოლოგიის გამგრძელებლებმა, მეორე, უფრო ფუნდამენტური თანამკვიდრობის მორღვევაზე მიიტანეს იერიში – საბოლოოდ ამოეშანთათ ადამიანთა ცნობიერებიდან ქრისტიანული მრწამსი და გაეპარტახებინათ ქართული სოფელი. ანგრევდნენ ტაძრებს, ძარცვავდნენ, უმონყალოდ ჟღეტდნენ სამღვდელოებას, მოღონიერებულ გლეხობას ადგილ-მამულს ართმევდნენ, ზოგს კატორღაში გზავნიდნენ, ზოგს მოუსაველეთში, ზოგსაც კოლექტივში მიერეკებოდნენ. მეც მახსოვს, 50-იან წლებში, როგორ მოუწოდებდნენ სოფლის მკვიდრთ, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, დაეტოვებინათ მშობლიური სამკვიდროები. საფუძველი მოურყიეს ქართველ გლეხს – ფეხქვეშ მინა, სულში – სარწმუნოება. რაც მივიღეთ, ყველამ კარგად ვნახეთ.

რა იყო ეს, თუ არა ის გრანდიოზული, შემზარავი პროექტი, რაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისშივე რუსთა იმპერიის დიდჩინოსანთა კაბინეტებში იწერებოდა?! სინამდვილეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვაღიაროთ: ჩვენდა საუბედუროდ, ბნელეთის მოციქულებმა – სატანის მსტოვრებმა, ეს პროექტი წარმატებით განახორციელეს. ნუ დავხუჭავთ თვალებს, მაშინ უარი უნდა ვთქვათ ილიასეული ფორმულის – სიმართლის თქმის პრინციპზე, რაც ერთი

უფსკრულიდან კიდევ უფრო ღრმა უფსკრულში ჩაგვტყორცნის.

ასე ჯახირით მოვალნიეთ დღევანდელ დღემდე.

როგორ გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, როცა მე-გონა, ჯერ გამსახურდიას ხელისუფლება, შემდეგ მეორედ „გახელმწიფებული“ შევარდნაძის ხე-ლი-სუფლება, იზრუნებდა იმ ფუნდამენტური ღირე-ბუ-ლებების ასაღორძინებლად, რასაც ქართული სოფელი და ქართველი გლეხი ჰქვია სახელად. შენც არ მომიკვდე. ასე მოირღვა ჰარმონიული თანამკვიდრობა ქალაქადაც, სოფლადაც. მოირღვა და რაც გვჭირს, ყველანი ვხედავთ.

ერთადერთი იმედი და სასოება, რაც საბოლოოდ სასონარკვეთილებაში არ გვაგდებს, ქართული ეკლესიაა, თავის ავტოკეფალურ უზენაეს უფლებებში აღმდგარი, აღორძინებული, და მისი საქეთმპყრობელი პატრიარქი, უნმიდესი და უნეტარესი, ილია მეორე.

უფალი შეგვეწევა.

ისევ არქივისკენ გამირბის თვალი.

ვკითხულობ ჩემი ქუთათური მეგობრის, ჯემალ ლანჩავას წერილებს, რომლებიც იმ დროს მასხენებს, უფერულ დღეებს ღვინით, ლექსით, სიმღერით რომ ვიქარვებდით. ნაღველიც ხშირად დაგვპატრონებია, ლხენაც, ლუკმაპურიც ხშირად ძმურად გაგვიტეხია, სოხუმში, 1960-1965 სტუდენტური წლები, წრფელ მეგობრობაში გაგვიღვია, ერთმანეთიც ხშირად მოგვნატრებია, რაც აგერ დღემდე არ გაგვენელებია. „მაგრად იყავი, ლერი, არაფერმა შეგაშინოს, – მწერს ჯემალი, – მარტო ფული თუ გახდა კაცობის საზომი, დავლუპულვართ და ეგ არი...“ , „ჩემო ლერი, ახლა ამ წერილს რომ გწერ, გვარიანად ნასვამი ვარ...“, „შენი წერილი იყო წამალი იმ კაცისთვის, სასიკვდილო სა-

რეცელზე რომ წევს და იმედს ცოტას უყურებს...“.  
ქართული პოეზია ხომ ზეპირად იცის, სალალობოდ  
თავადაც თხზავს:

კარგი სუფრა, ტკბილი მრავალჭამიერი,  
დედას ვფიცავ, არ მომწყინდეს ლხენა,  
ამ სუფრაზე ჩემთან იყო, ჩემო ლერი,  
ჰანგებისგან გვიტკბებოდეს სმენა.

არქივს შემოუნახავს იოსებ მეგრელიძის 1979 წლის წერილი. „ბატონო ლერი, – მწერს, – მადლობას გიძღვნიტ გრანელზე წერილისა და მისივე უცნობი ლექსების პუბლიკაციისთვის, 1978 წლის „რინაში“... მე ტერენტის ახლოს ვიცნობდი, გალაკტიონთან ერთად ბევრჯერ გვივლია. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ტერენტის მახლობლად პოეტ პეტრენკოს დედაა დაკრძალული. ტერენტი რომ ზაქარია ჭიჭინაძესთან ათევედა ღამეებს, ბევრჯერ წამიყვანია სტუდენტთა სასადილოში... უყვარდა მთანმინდაზე სიარული და ვერის ლურჯი ეკლესიის ეზოში საფლავის ქვებზე გულაღმა ნოლა...“ აქ ნახსენები პეტრენკო არის მთარგმნელი „ვეფხისტყაოსნისა“ რუსულ ენაზე, რამდენადაც ვიცი, ახალგაზრდა დაიღუპა. იოსებ მეგრელიძე იყო ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ადამიანთგან, ვისაც ექვთიმე თაყაიშვილი შინაპატიმრობის დროს უთვისტომოდ არ მიუტოვებია. მასვე უხსენია დაკარგვისგან თავისი ბიძაშვილის, კიტა მეგრელიძის, ფილოსოფიურ-სოციოლოგიური ნაშრომი – გადაპარულა ბიძაშვილის დალუქულ ბინაში, მეორე თუ მესამე სართულზე, იმ სასტიკ წლებში, მოუპარავს წიგნი, რომელიც 70-იან წლებში გამოიცა რუსულ ენაზე და, ვიცი, ევროპელ მეცნიერთა წრეებში დიდი აღიარება მოიპოვა.

დღიურში ჩამინერია: „წუხელი ჩემი მშობლიური

ქუთაისი მესიზმრა. ვითომ ბიძასთან ვარ, გენო ბურჯანაძესთან. ეზოში ბიძას ჩავეუარე და ქუჩაში გავედი. კუპრივით ღამე დგას. კიროვის ქუჩაზე გავდივარ, მინგრეულ-მონგრეულია, გადასხვაფერებული... უცებ თბილისში ვარ. ვდგავარ საკონსერვო ქარხნის ეზოში, ჰავლაბარში, სადაც ვმუშაობდი. კაშკაშა დღეა. მოდის ჩემთან ბიჭიკო, დირექტორი, ჩემი სტუდენტობის მეგობარი, რალაცას მსაყვედურობსავით. ყურადღებას არ ვაქცევ. ჩემს თვალწინ საოცარი სანახაობა იშლება: ელვარე ლურჯ ცაზე თეთრი ყინულის კონტურებით მიხატულია ცხენოსანი მხედრობა, აბჯარასხმული, შუბებით, მუზარადებით. უცებ ჩვენება ფერებში გადადის. მხატვრობა ყოველისმხრით შემორტყმია ცას. საკვირველი სანახაობაა... და ისევ ქუთაისი, მზითა და თეთრი ტყემლებით გადათენებული. როგორ ჰგავს ცხადს. და არც ცხადია. ვიცი, სიზმარში ვარ, მაინც მიძიმს მისი მიტოვება. ისიც ვიცი, აქედან რომ გამოვალ, ცხადი უამური სიზმარივით შემომეფეთება. ვარ ასე – ძილსა და ღვიძილში, სიზმარსა და ცხადში“ (10.4.73). „წუხელი მესიზმრა, მე და ხუტა ბერულავა შოთა ჩანტლაძის წიგნს ვარჩევთ. წიგნი მე მიჭირავს ხელში. გზადაგზა ფურცლები და ყდის ნაგლეჯები ცვივა. საუბარში ირკვევა, ბერულავა უარყოფითი აზრისა არი შოთას პოეზიაზე. ამ ლაპარაკში წიგნი მთლად შემომეფშვნა ხელში და მინაზე დაცვივდა. სიზმარშივე ვფიქრობ – აუცილებლად ვიშოვნი მეორე წიგნს... ცხადში, მაგიდაზე მიდევს შოთას წიგნი, ვფიქრობ მასზე წერილის დაწერას“ (12.4.73). „დავასრულე წერილის საბოლოო რედაქცია. დავინყე „გველის პერანგის“ კითხვა, უკვე მერამდენედ. ვინიშნავ ჩემთვის საგულისხმო სიტყვებსა და გამოთქმებს. ერთ ფსიქოლოგიურ დეტალს გადავანყდი: როგორც წესი, მიძიმს არ ხმარობს“ (15.4.73). „დღეს ჩავაბარე წიგნი გამომცემლობას.

ფოიეში ვესაუბრე ნიკა აგიაშვილს, ბესო ჟღენტიის ნათქვამი გაიმეორა: ამ რამდენიმე დღის წინ გურამ ასათიანი ჩემს თვალსაზრისს იზიარებდა, დღეს კეხი შეიბრუნა, – ალბათ ჩემი გინება ნუხელი პოკერში წააგოვო“ (16.4.73).



## კვირა მეოთხე

### 1. კვირა, 6 იანვარი, 2002 წელი.

ცა ღრუბ-ლიანია. მოწყენილი დილაა. თბილა. წუხელიც ვტეხე ღამე, დამტვრეული ვდგები. ბოტანიკურშიც სიმ-შვი-დეა, შაშვები თუ გადაიჭახტახებენ ბუჩქიდან ბუჩქში. რეკენ მეტეხის ტაძრის ზარები, სიონი. ნარიყალაზე წმ. ნიკოლოზის ტაძრის სამრეკლოც ახმიანდა. ამაღამ ხომ შობაა. ღვთის შობა – ეს საკვირველებაა. მიუხედავად მძიმე ყოფისა, მიუხედავად იმისა, ადამიანებს მელანქოლია დაუფლებიათ, ეს ზარები მაინც აღვიძებენ იმედს.

წმიდაო მარიამ, შენ შეენიე შენს წილხვედრ ქვეყანას.

მივდივარ ორთაჭალაში, დასთან, ნემსი უნდა გავიკეთო. გვერდით ის მომდევს. წმ. ჰაბოს ძეგლთან გაუხვია, წმ. ნიკოლოზის ტაძრისკენ შეუყვავა შეღმართს, წელში მოხრილი.

სადღაც ვილაცა მიდის

და ფიქრობს თავის ბედზე.

(გრანელი)

პოეტმა ბევრი რამ უწყის, რას აღარ სწვდება მისი გონებისთვალს. მაგრამ პოეტმა ბევრი რამ არ უნდა იცოდეს, ბევრი რამ დაფარული უნდა იყოს მისთვის. ესაა მისი სულის უზაკველობა, უფალთან თანხმობა, ვითარცა ყრმისა. თუ სოფლიური თანაცხოვრება ერთიანია და განუყოფელი, პოეტიც, როგორც ამ ერთიანი თანაცხოვრების განუყოფელი საფეხური, ერთიანია და სრული. ის, როგორც ბავშვი, მონუსხულია ამ ერთიანობით, თვალთუხილავი კარვიდან უჭვრეტს ამ ერთიანობას, თანაცხოვრების დაურღვევლობას, დუმს და დუმილი ღალადისია მისი.

## 2. ორშაბათი, 7 იანვარი, 2002 წელი.

შობაა. დილაუთენია ვდგები. ჩემი მეგობარი, ბრწყინვალე ნიჭის მოქანდაკე, თენგიზ კიკალიშვილი მინდა ვნახო, ჰავლაბარში. მომენატრა. მეტეხის ხიდზე შევჩერდი. საოცარი დილაა, ყვითელი მზე ეფინება ქალაქს, მტკვარს, ეკლესიათა გუმბათებს.

ეს დილა ელავს, როგორც ლამპარი,

ქარმა ფიქრები ისევ დაშალა.

დახავსებული დგას ავლაბარი

და ძირს ბალებით წევს ორთაჭალა.

(გრანელი)

საამოდ გრილა. გადავჩერებივარ ხიდიდან მტკვარს, მდინარეზე თოლიები წიოქობენ. ბეტონიდან გამოშვერილ მავთულზე, წყალთან ახლო, ჩიტი ზის, კარგად ვერ ვარჩევ, მაგრამ ჭრელია, გულყვითელა, ფრთებლურჯი, მომწვანო, რალაც ამგვარი, იადონის მსგავსი. ჩახტება წყალში, ჩაყვინთავს, უცებვე ამოხტება, დაასკუპდება მავთულს. ჩახტება, ამოხტება. მერე ნისკარტით მკერდი შეიმშრალა, ფრთები შეიფათქუნა, პირი დაიბანა და გაფრინდა. ღმერთო, დიდებულო! სულიერი არ არი დედამიწაზე, მზე, წყალი, ჰაერი, სიცოცხლე არ უყვარდეს. ამ ადამიანს რა სჭირს ნეტა ასეთი, თავისივე ხელებით რომ შხამავს ბუნებას?! ახლა მტკვარი შედარებით სუფთაა, ზაფხულში ტალახისფერი მოდის. უკვირთ ზოგჯერ ბარათაშვილისა – „მტკვარი ანკარაო“. თუ გადავიხედავთ პოეტის ეპოქაში, რისგანაც საუკუნენახევარზე მეტი გვაშორებს, როცა ადამიანები თავადვე იცავდნენ დედაბუნებას და ჯერ კიდევ არ იყვნენ გარყვნილნი, როგორც დღეს, და ბუნების დასაცავად არც მინისტრები სჭირდებოდათ, აღარ გაგ-

ვიკვირდება, რომ მაშინ მტკვარი მართლაც ანკარა იქნებოდა. დღეს მინისტრები იმიტომ კი არ არიან, რომ საქმე აკეთონ, იმიტომ არიან, საქმე რომ აფუჭონ, ყიზილბაშებივით უდაბნოდ აქციონ ცხოვრება.

ნამიცი არ ხარ, შე არაფერო, საუკუნოს კი ებრძვი.

და მე ისევ „ალუდა ქეთელაურზე“ ვფიქრობ.

პოემაში დრო არ ჩანს. თუ იმის ძიებას დავინწყებთ, რომელ ისტორიულ ეპოქაში ვითარდება მოქმედება, აუცილებლად დავმარცხდებით. პოემაში გაცხადებული ამბავი შეიძლება მომხდარიყო როგორც გარდასულ, ისე თავად პოეტის ეპოქაშიც. პოემის მსოფლმხედველობა განფენილია დროში, მას ისტორიული ეპოქა არ გააჩნია. ამიტომაც არის ის არსით ზოგადკაცობრიული, ზედროული ქმნილება ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიათა მსგავსად. პოემის გმირთა ზნეობირივი თუ ეთიკური განზომილებანი, ნიადაგ განმსაზღვრელი იქნება ნებისმიერი ეპოქისთვის. ის მონუმენტური ქმნილებაა, იმის მაუწყებელია, რომ ვერავითარი ბნელი ძალები ვერ შეძლებენ კაცობრიობის რეგრესისკენ დაქანებას. ალუდა, ხელთმპყრობელი სამართლიანობის ჩირაღდნისა, როგორც პეტრეს ხელში სამოთხის გასაღებები, გზაა ჰუმანისტურ ღირებულებათა მარადი განახლებისა.

### **3. სამშაბათი, 8 იანვარი, 2002 წელი.**

ნუხელი ტელევიზიით უჩვენეს დოკუმენტური ფილმი ე. წ. „თბილისის ომზე“ (1991-1992). რა ვიცი, გვჭირდება დღეს ამის გახსენება, ცეცხლზე ნავთის დასხმა, ძველი ჭრილობების გახსნა, კვლავ შფოთიანობა, მტრობის გაღვიძება?! ხომ ფაქტია, და ამას ნუ უარვყოფთ, როგორ დაქუცმაცდა საზოგადოება იმ

წლებში, ადამიანები როგორ გაეთიშნენ ერთმანეთს, რაც აგერ, დღევანდელ დღემდე მოგვყვება. ზვიად გამსახურდიამ რომ სამშობლოს ბედი გაიზიარა, მისი ბედიც რომ ისეთივე ტრაგიკული აღმოჩნდა, როგორც მისივე სამშობლოსი, ეს ჭეშმარიტებაა, და ამას არ სჭირდება ცილობა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, სურათს არ ცვლის. თუმცა ზვიადი მეგობარი იყო ჩემი, ერთიხანოა მეც ოპოზიციაში ვედექი ჩემივე შეხედულებების გამო – არ ვიზიარებდი (და არც დღეს ვიზიარებ) იმ ფორმებს, რა ფორმებითც ის აპირებდა იმ შინაარსის გაცხადებას, რაც ზოგადეროვნულ იდეოლოგიასა და სულისკვეთებას წარმოადგენდა. მაგრამ როგორც კი გემი დავეკარი, რომ „აქეთ“ ბნელი ძალები იკრიბებოდნენ და რაღაც ავანტურა მზადდებოდა, მაშინვე საპირისპიროდ განვეწყვე – ჩემთვის მიუღებელია ყოველგვარი ძალადობა, მითუფრო, თუკი ეს ძალადობა ქვეყნის ბედ-იღბალს სასწორზე აგდებს. თუმცა, მრგვალი მაგიდის ბრძოლის ფორმებისადმი ჩემი შეხედულება, არ შემიცვლია. ზუსტად მახსოვს, ეს იყო 1991 წლის ნოემბერი.

რა ვიცი, მე ვფიქრობ, იქნებ არ ღირდეს ძველის გახსენება, იქნებ სჯობდეს შავ წყალს გავატანოთ ძველი ქიშპობა, იქნებ სჯობდეს ერთიანი სულისკვეთებით ვიღვანოთ ქვეყნისთვის. იქნებ სხვა სხვაგვარად ფიქრობს, არ ვიცი, მე ასე ვფიქრობ. ვის აძლევს დღეს ხელს საზოგადოების კვლავ ორ ნაწილად გახლეჩა?! მტრის ნისქვილზე ხომ არ ვასხამთ წყალს?! დიდი სიფრთხილე და ზომიერება გვმართებს, ქვეყნის ბედი უმეცრულ ღვარძლსა და შურისგებას არ გადავაყოლოთ. ვინ არი დღეს მტყუნ-მართლის დამდგენი?! პირადად მე მომხრე ვიქნებოდი, თუკი დაჯდებოდა კომპეტენტური, მიუკერძოებელი საბჭოსმაგვარი ორგანო და, ჩადენილ ცოდვათა გამო,

სასამართლოს გზით, ყველას თავისი მიეზღვებოდა. მაგრამ რაკი ეს პოლიტიკური საქმეა, დღეს ყველას უცოდველ კრავად მოაქვს თავი. არადა, შეცდომები იყო დაშვებული როგორც ერთი, ისე მეორე მხირადანაც. და არის დღეს ვინმე საქართველოში, თავს დამნაშავედ თვლიდეს?! ქვეყანა დააქციეს, პრეზიდენტი გააქციეს და არავინ ჩანს ხელისუფალთაგან, არც ძველი, არც ახალი, თავს არათუ დამნაშავედ, უბრალოდ მტყუანად რომ გრძნობდეს. ისე, რომ ჰკითხოთ, ყველა დემოკრატია, ყველა მორწმუნე ქრისტიანია, ყველას ხატები უკიდიათ კედლებზე. დღეს სანთლით საძებარია კაცი, გამოვიდეს და თავისი ჩადენილი ცოდვები თუ შეცდომები აღიაროს. თუ ბიბლიის გადაფურცვლა გეზარებათ, იქნებ გონებაში მაინც აღიდგინოთ მაზაჩოს შედევერი – ადამს და ევას სამოთხიდან როგორ სდევნის ანგელოზი, ცოდვითდაცემულთა თავზე უფლის სიტყვა – მახვილი როგორ აღუმართავს. ადამი და ევა ვერსად დაემალა უფლის რისხვას, ჩვენ სად დავემალებით?!

ამასწინათ ერთმა კაცმა მირჩია: სახლიდან რომ გამოხვალ, ილილინე, გულს დარდი გადაგეყრებაო. აგაშენა ღმერთმა, რაც მე იმის შემდეგ იმ კაცს ვლოცავ, ვლილინებ და ვლილინებ, აღარაფერი აღარ მანუხებს, არც უშუქობა, არც უპურობა, რის დარდი, რა დარდი. ისე, სხვებსაც ვურჩევ, დაანებონ თავი ამ მიტინგებს, ქუჩის აქციებს, შევიკრიბოთ ყოველ დილა პარლამენტის წინ, ვილილინოთ და ვილილინოთ, სალილინოს რა გამოგვიღევს.

ისევ „აღუდა ქეთელაურზე“ ვფიქრობ.

ამ უაღრესად კონცენტრირებულ პოემაში ყოველი სტრიქონი, ყოველი აზრი მათემატიკური პოეტურობით განსაზღვრულია, ყოველი ცალკეული სტროფი

ორგანულ, ლოგიკურ კავშირშია პოემის სიუჟეტთან, ყოველი ცალკეული ეპოზოდი საერთო იდეოლოგიურ სულისკვეთებას დამორჩილებია. პოემის პირველი თავი სამი მომენტითაა აღსანიშნავი: ალუდას დახასიათება („საფიხვნოს თავში დაჯდების, სიტყვა მაუდის გზიანი“), ალუდასა და მუცალს შორის ბრძოლის დრო („ცისკრის ხანია, მტერს მისდევს“) და ალუდას შინაგანი გასხივოსნება („ალუდას თოფი არ უნდა, ატირდა როგორც ქალი!“). ერთი რამ ახლავს უნდა ვთქვა, რაც ადრეც ვთქვი: ალუდა ვაჟას სულის, მისი „მეს“ პროექციაა და აქედან ერთი მომენტი – ალუდას გაცისკროვნება, პირდაპირი ანარეკლია ვაჟას სულიერი მდგომარეობისა. ვაჟამ გაიარა ღრმა შემეცნების გზა და მის წარმოსახვაში გადაიშალა კაცობრიული სურათი უაზრო ომებით, კაცთაკვლით, სისხლისღვრით, ერთი ერისაგან მეორე ერის დამონებით, კანიბალიზმით... ამიტომ ვფიქრობ, რომ პოემა იწყება იქ, სადაც დასრულდა ვაჟას თვითშემეცნება, სადაც გაცხადდა პოემის მსოფლმხედველობა და ალუდასთან ერთად მოხდა პოეტის სულის უეცარი ტრანსფორმაცია, მისი წარმოსახვის უეცარი ჩართვა საღმრთო ინსპირაციაში.

#### **4. ოთხშაბათი, 9 იანვარი, 2002 წელი.**

პირდაპირ გაცდები: ჩართავ ტელევიზორს – ეს მინისტრები, ეს პარლამენტარები, ყველაფერზე უტეხად ლაპარაკობენ, ოდნავ ეჭვიც არაფერში ეპარებათ. თქვე ჩემო კეთილებო, – მე ის ვიცი, არაფერი ვიციო, თქვა ბრძენმა სოკრატემ, თქვენ რა ასეთი ჭკუით გაპენტილები ხართ, არავის და არაფერს აინუნშიაც არ აგდებთ?! თუ გგონიათ, საქართველოში თქვენს ნათქვამს გამგონი არ ჰყავს?! როცა ასე ქედმაღლურად, ასე ბრიყვულად გამობრძანდებით ეკრანზე, გახსოვდეთ, სხვებიც გისმენენ, ის ადამიან-

ნები, რომელთაც მართლაც დვანლი მიუძღვით, არა მხოლოდ თქვენი ყეყეჩი კოლეგები. თუ ჟურნალისტ-მა რომელიმე მათგანს რამე კონკრეტულად ჰკითხა, – საქმის კურსში არა ვარო, არის ერთი პასუხი. ქვეყანა დაიქცა და ვისაც პასუხი მოეთხოვება, არავინ საქმის კურში არ არი. მთავრობის ყოველ სხდო-მაზე პრინციპულ, გადამწყვეტ ბრძოლას იწყებენ კორუფციის წინააღმდეგ, ისე იშვერენ ხელს გაურკ-ვეველი მიმართულებით, გეგონება, სადღაც უცხო პლანეტაზე ყოფილიყვნენ დაბუდრებული ეს კორუმ-პირებულები და არა მათსავე გვერდით, პარლამენტ-ში, სამინისტროებში. ისეთი მიაბიტური სახეები აქვთ, ვითომ თავად არ იყვნენ ჩაფლულნი კორუფ-ციის ქაობში. კორუფცია და უბედურებაა, აბა რა არი, სანავთობო ჭაბურღილს სასაფლაოზე რომ დადგამ. რუსთავის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაუდ-გამთ, თქვენმა „კურიერმა“ გამოაცხადა, ჩემმა ხომ არა?! ოღონდაც კი მოიხვეჭონ, სულსაც წარიწყმე-დენ, აღარც მიცვალებულებს ასვენებენ საფლავში. ყველას იუდას ცოდვისკენ გაგვიშვერია ხელი, დაგ-ფიქრებულვართ, ჩვენ თავად, ვაშლის ქამას ჯერაც გადაუჩვეველნი, დღეში რამდენჯერ გავცემთ მაც-ხოვარს?! ჰე, ჩემო ძმა, შე ჩემო კეთილო, მაგ წიგნით ნავთით გაქონილ სახეს რომ ინიავებ, ყოველი სტრი-ქონი ჭრილობაა, ცრემლით და სისხლით განბანილია, ცოტა ფრთხილად!

ბოლოხანებია, გულის ტკივილმა მიმატა. გადავ-წყვიტე, მენახა კარდიოლოგი. დღეს „ლეჩკომბინატ-ში“ ვიყავი, ყურადღებით გამსინჯა ნინო წერეთელმა, კეთილშობილმა ქალბატონმა, ახალ კარდიოგრამაზე ძველი „ცოდვები“ ამოიკითხა, – მიკროინფარქტის მსგავსი რაღაც გადაგიტანიაო. მარჯვენა ფილტვშიც ანთება აღმოჩნდა. ვინ იცის, როდინდელია.

რომ დავბრუნდი, შუქი ნასული დამხვდა. ოთახში ცივა. დაბალი ფანჯრიდან შემოსული დღის შუქი ძლივს ერევა ოთახის სიბნელეს. როგორ ვიმუშაო. არ მახსოვს ავად ვყოფილიყავი და არ მემუშოს. ახლა, რა ვქნა, ვნებები.

მეტად მწარედ გული მტკივა,  
მაჟურჟოლებს და ტანში მზარავს!  
(გურამიშვილი)

ვუმზერ მოპირდაპირე კედელზე ნიკო ფიროსმანაშვილის სურათს „დათვი მთვარიან ღამით“ და ვფიქრობ: რომელი დიდი მხატვარი-იმპრესიონისტი არ მოაწერდა ხელს ამ შედევრს. ღმერთს ეს კაცი რომ არ ებოძებინა, წარმომიდგენია, რა სიცარიელე დაინადგურებდა ჩვენს სულიერ ყოფიერებაში. ის ხომ იგავია, ჩვენი მინიერი ცხოვრების საკვირველებია. ვფიქრობ და რაც მეტი ჩაგულისხმებით ვუმზერ სურათს, მით მეტად შევდივარ მის წიაღში, მგონია, სრულიად ვითქვიფები ამ მისტიურ შუქრდილებში, მგონია, მხატვრის ნაწყენი ხმაც ჩამესმის...

...თქვენთან არ ვიყავი, თქვენში არ ვერიე?! მიცანით?!. ახლა რა ფაციფუცი აგიტყდათ, რა საფლავს ეძებთ?! ავდექი და გაგეპარეთ, დაგეკარგეთ, ზეცაში დაგემალეთ!.. თქვენ ისევ იქ ხართ, სადაც დაგტოვეთ, ნაბიჯი წინ არ წაგიდგამთ... საფლავიო, აგიჩემებიათ, რად გინდათ, ყვავილებისთვის?!. ყვავილებს მე გიკრეფდით, ყოველცისმარე, თქვენ აჭკნობდით, სთელავდით, ერთი წყაროსწყლიანი დოქი ვერ გაიმეტეთ, ის ყვავილები გეხარებინათ, მისი სურნელი შეგეგრძნოთ... უკრძალველი ხალხი ხართ, რით აღარ მამკობდით – მღებარო, ლოთიო, სანყალიო, თვითნასწავლიო!.. ამდენი აბრა გულზე რომ დამკიდეთ, მე



რა, დუქანი ვარ, მიდი-მოდი ვარ?!. უკრძალველნი რომ არ იყოთ, მიხვდებოდით, ვისგანაცა ვარ – ვინც სულს ჩაგბერავს, ფეხს აგადგმევიწინებს, ხელში სანთელს მოგცემს, გაგიშვებს ქვეყანაზე... დამინახეთ?!.. გაგეპარეთ, ზეცაში დაგემაღეთ!.. ხორციელი თვალით ვერ დამინახეთ, სულიერი თვალი კი არ გაქვთ – ზეცაში როგორ დამინახავდით?!. რა გთხოვთ – ერთი პატარა სინათლიანი ოთახი, ერთი ხელი სუფთა ტანისამოსი, ფუნჯი და საღებავები... ეს იყო, მეტი რა?! გაიმეტეთ?!. რა ფუნჯი, რა საღებავი, – ხაფანგებს მიგებდით, აბლაბუდებში მხვევდით, მაგისი ამოცნობა მე სად შემეძლო?!. მე ქართულ ზეცას შევჩერებოდი, თამარის გულისფეთქვას მივყურადებოდი, ერეკლეს გულისთქმას ჩავგულისხმებოდი... „გრაფსაც“ იმად კი არ მეძახდნენ, ამპარტავანი ვიყავ, თქვენის უკრძალველობისგან თავი შორს დამეჭირა, იმად... მე თქვენ ხატები მეგონეთ, ხატებივით გძერწავდით, ხატებივით ფერსა და მადლს განიჭებდით... ღმერთი ხომ ჩვენშივეა, ვფიქრობდი, როგორც ცეცხლი – ღუმელში... დამინახეთ, მიცანით?! მე, ნიკო ფიროსმანაშვილი, გოლიათი, ქვევიდან ზევით ხატებივით შემოგყურებდით თქვენ. ხოლო თქვენ, მე, გოლიათს, ზევიდან ქვევით დამყურებდით, აბა ერთმანეთს როგორ დავინახავდით?!. ავდექი და გაგეპარეთ, დაგეკარგეთ, ზეცაში დაგემაღეთ!..

არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე,  
დაგდევედა ლანდი, მთვარისაგან განაბრაზები.

(გრანელი)

## **5. სუთხაგაში, 10 იანვარი, 2002 წელი.**

ყინავს. ქარია. სუსხავს. ვიყავი ტუბდისპანსერში, ჩემს მეგობარ გურამ სხირტლაძესთან. მთავარი ექიმია.

გურამი ბრწყინვალე პროზაიკოსია, სახემშვენიერი, სულმშვენიერი კაცია. ძალიან მიყვარს. გამაშუქა. მარჯვენა ფილტვში ანთება აღმომაჩნდა. კარდიოლოგმაც ნამლობა დამინიშნა, ნამლის ფული კი ფაფუ, არ არი. მძიმე გუნებაზე ვარ. მაინც ვმუშაობ, მაგრამ ვაი, იმ მუშობას. თუმცა, გრძნობა მოლოდინისა, არ მტოვებს.

როგორც იქნება გავა ზამთარი  
და მალე მოვა დღე გაზაფხულის.

(გრანელი)

ერთი ნამინისტრალია, ნიადაგ სასამართლოში ჩივის. ვილაცა რალაცას იტყვის, ნავა, უჩივლებს. შევარდნაძეს რა ჩემი დაცვა სჭირდება, თავსაც კარგად იცავს, ქვეყანასაც „კარგად იცავს“. მაგრამ რასაც მაგაზე ლაპარაკობს (ტყუილსაც, მართალსაც), ის სასამართლოს განსახილველია და არა ამ უმადური არაკაცისა, შევარდნაძის ხელში რომ იშოვნა დიდი ფული, ახლა მიმდგარა და ურცხვად ლანძღავს, ისიც პასუხის ღირსად არ თვლის, „დემოკრატიზაციას“ ეთამაშება. ქვეყანა გაძარცვე, ვილაცა რალაცას იტყვის, აბა რას იზამს?! ასე უტიფარი როგორ ხარ, მართალ სიტყვას არავის პატიობ, ენა მაინც დააყენე. რბილ სავარძელში მორჭმით რომ იჯექი და ხალხის ფულს თქვლეფდი, უფალს მაღლი შესწირე, ვირის აბანოში არ გიკრეს თავი, შე სულპროტეზიანო.

პოეტურ სიტყვას ოდიტოვანვე პატივს სცემდნენ საქართველოში. ამის დასტური „ვეფხისტყაოსანია“ – ქალს მზითვად ატანდნენ. მაგრამ სამწუხარო ის არი, ჩვენში დღეს პოეზიაზე მეტად ძვირფას ნივთებს რომ სცემენ პატივს, რითაც ემიჯნებიან სახარებისეულ მცნებებს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ეს ადამიანები ტაძრებში სანთლებსაც ანთებენ, პირფარსაც იწერენ, ეს ვითომ „ქრისტიანენი“, სმერდიაკოვივით

ქვეყნიერებას აღმაცერად რომ უცქერენ, უღმერთო კომუნისტებზე უფრო საშიში არიან, ჩუმ-ჩუმად იმათზე უფრო მეტ საშინელებას სჩადიან. საცა ნივთების თაყვანისცემაა, საცა ფუფუნების აღზევებაა, დანაშაულიც იქვეა ჩასაფრებული (ხშირად დიდი ფულისა და გავლენის მქონენი, იმათი შვილები სჩადიან დანაშაულს). დღეს ხომ ჩვენში ფასი აქვს დაკარგული ყოველგვარ სულიერებას. ამიტომაც, თუ რამე ზეიმობს დღეს ჩვენში, ზეიმობს კაცისკვლა, პარვა, ყაჩაღობა, პროსტიტუცია, ნარკომანია, მანანალობა. ერთ დღეს რომ მოხდებოდეს სასწაული და ადამიანები უარს იტყოდნენ ფუფუნებაზე, სიხარბეზე, ხალხის გულიც ხომ დანყნარდება, ამდენ უბედურებასაც ასცდებოდა ქვეყანა. ერთმა ნამინისტრალმა ამასწინათ „მოინანია“. ისე, კაცმა რომ თქვას, მართალი კია, როცა დღეს ასე უჭირს ხალხს, სასახლე მართლაც არ უნდა ამეშენებინაო (?!). შე ჩემო კეთილო, მაგაზე ადვილი რა არი, ადექი და ის სასახლე უდემამო ბავშვებს დაუთმე, ცოდვაც აგეხსნება, მადლსაც მოისხამ, გულმადლიანი კაცი ასე მოიქცეოდა. სული თუ ბნელში დაეხეტება და სინათლეს ეძებს, შეუძლია წყვიადიდან თავის დაღწევა. ზაქემ მოინანია ვერცხლისმოყვარეობა, სირცხვილითა და ღვთისშიშით განიბანა ცოდვები. შენც ადექი და სიტყვას საქმე მოაყოლე, მაგ მონაწილებისა რომ ირწმუნონ. აქილევსის შუბის ერთი ბოლო ჭრის, მეორე ბოლო – ჰკურნავს.

დავით მეფის „გალობანში“ გვესმის აღსარება კაცისა, ვის სულშიც მთელი კაცობრიობის ხმა ჩა-სადგურებულია. თითქო უფსკრულის პირას იდგეს და თავისი სიტყვით მოუწოდებს ადამიანებს იყვნენ უბრალონი, მართალნი, საკუთარ ცოდვათა, და არა სხვათა ცოდვათა, მჩხრეკელნი. „მსაჯულნი მართალ

სჯიდეს... მართალნი ნეტარებდნენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი“ – აი, რას მიეღვტვის ის იმჟამინდელი ცივილიზებული მსოფლიო რენესანსის კვირაძალში, ცოდვით დაშრეტილთ მოჰბეროს „სული კუალადგებისა“. აი, რა დაიხსნის მათ სქოლასტიკური შეზღუდულობისგან, რა გაათავისუფლებს მათ სულებს და შობს ახალი ეპოქის ადამიანს. იმ ეპოქას, მთელ ცივილიზებულ კაცობრიობას, ეს ანუხებდა. ეს ანუხებდა დანტეს, მიქელანჯელოს, რუსთველს, შექსპირს, სერვანტესს, ჟანჟაკ რუსოს. ისინი ეძიებდნენ ახალ სამყაროს საკუთრ თავშიც, ყოფიერებაშიც, თანამოქალაქეობაშიც. დანტე ბეატრიჩეს სახეში ეძიებს, რუსთველი – ნესტანდარეჯანის სახეში, სერვანტესი – დულსინეა ტობოსელის სახეში. ეს ის მიუწვდომელი თავანია ცისა, რასაც კაცობრიობა დღიდან გაჩენისა ესწრაფვის. რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი, – ასე აყალიბებს თავის კონცეფციას შალვა ნუცუბიძე. მე, მოკრძალებულად, უფრო სიღრმეში გადაწეწევი ამ კონცეფციას: დავით აღმაშენებელი და აღმოსავლური რენესანსი.

## **6. პარასკევი, 11 იანვარი, 2002 წელი.**

მზეა. უქარო, მშვიდი დილაა, თუმცა გვარიანად ყინავს. ცოტა ხნით გავდივარ ბოტანიკურში. ცუდად მაქვს გული, მალე ვიღლები. გულისტკივილმა მონყენა იცის. ყოველი მხრიდან რეკენ ეკლესიის ზარები. თაბორის მთაზე, ღვთის შეწევნით, ახალ ტაძარს აგებენ. როგორც ჩემმა მეგობარმა, ტარიელ კიპაროიძემ მითხრა, თაბორზე ერთ დროს ტაძარი მდგარა, ახლა ნატაძრალზე ახალ ტაძარს აგებენო. ტარიელი წმ. ნიკოლოზის ტაძრის ხუროთმოძღვარია, ნარიყალაზე.

ღმერთმა ნუ გამოლიოს ქვეყნად მადლიანი ხალხი, თორემ ხელისუფლებას რომ უყუროს კაცმა, შენს მტერს. ხელისუფლება ხალხს საერთოდ აღარ ახსენებს, აღარც ავად, აღარც კარგად. რამეში რომ ბრალი დასდოს, საფუძველიც არა აქვს, თორემ მოგეცა ლხენა. დუხჭირ დღეში რომ ჰყავს იცის და დუმს, დუმილს ამჯობინებს. ესეც ტაქტიკაა. ახლა იმით არიან გართულნი, როგორმე ერთმანეთი კორუფციაში დაადანაშაულონ. გამოდის ყოფილი სპიკერი პარლამენტში, პენსიების გაზრდას ითხოვს. იქ არ ბრძანდებოდა?! როგორც ჩანს, ისტორიის გამოცდილებას არ ითვალისწინებენ, მაშ იმასვე რატომ სჩადიან, რამაც მათ წინამორბედთ თავს კრახი დაატეხა?! ამდენი ქობულოვი ერთად რამ შეყარა.

ჩვენ გვესიზმრება ჩვენი სამშობლო,  
სამშობლო შავი ლიუციფერის.

(გალაკტიონი)

დავით მეფე „გალობანში“ იტანჯება. ეს არი აღსარება, შობილი სასტიკი თვითგვემის, თვით-უარ-ყოფის გზაზე. ღვთის სახელით სხვათა ქვეყნებს ვიპ-ყრობდი – „ბოროტად გარდავხედ საზღუართა“, ხოლო ჩემს უძღვებ გულისთქმათ ღმერთს ვაბრალებდიო. მაგრამ სწორედ ამ აღსარებამ უნდა შვას ახალი ადამიანი. ეს არი დიდი და სასტიკი, მაგრამ გარდუვალი სიმართლე, ის სიმართლე, რომელიც უზენაესი წანამძღვარია განახლებისა, აღორძინებისა. „გალობანი“ გზაა შემეცნებიდან სინანულისკენ, ანუ გზაა ღვთისკენ – „მნამს, ვითარმედ აღვსებაჲ სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის“. მისი ავტორიც არი ახალი ეპოქების კარიბჭესთან მდგარი ქრისტიანი მეფე, ზეგარდმო მადლით ცხებული პიროვნება, რომლის ღალადისშიც ცხადდება აზრი – გზადაბნეულ ადამიანს, სრულად კაცობრიობას, მოჰფინოს

სამართლიანობის მზე. ისტორიის წიაღში უკუმზერით, ჩვენ წიადაგ უნდა ვიმეცნებდეთ მეფე დავითს, როგორც პოლიტიკურ და სულიერ ღირებულებათა ნიშანსვეტს, მომავლის ლაბირინთებში ორიენტაცია რომ არ დავკარგოთ.

## **7. შაბათი, 12 იანვარი, 2002 წელი.**

წავკისა გაყინულია. ქარია, ყინავს. ჯოგებად მიიზღაზნებიან ღრუბლები თაბორის მთაზე. ერთადერთი იმპულსი ამ მწუხარე დღეს ის არი, მივუჯდე მაგიდას, განვაგრძო რომანზე მუშაობა. შემოქმედება აბრუნებს გაუცხოებულ ადამიანს თავის თავთან.

არ მიყვარს ტელევიზია, მაგრამ ამბავს ხომ უნდა მოვუსმინო. ჩართავ და გული გაგისკდება: არავინ, ვისაც ხელისუფლებაში რალაც ეკითხება, საქმის კურსში არ არი, რაიმე წილით დანაშაულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საანალიზოდ სისხლი აღარ დაუტოვეს ხალხს, აბა გაბედე და რამე თქვი, მაშინვე სასამართლოში გიჩივლებენ. ეს ახლა მოდად იქცა, აქედანაც ფულს შოულობენ. გაიხედავ პარლამენტში და სულ იღრიჭებიან, „ჟუჟაჩკებს“ იღეჭებიან, სავარძლებში თვითკმაყოფილი იზმორებიან, კაცს მილაგებულ-მოლაგებული რომ ექნება ეზო-კარი და ქორწილში მიბრძანდება, ისე.

თენგიზ კიკალიშვილმა დამირეკა, მომენატრეო. მეც მომენატრა. ხშირად ვერ ვნახულობთ ერთმანეთს. იკარგება ხოლმე. კიკალა ბრწყინვალე ნიჭის მოქანდაკეა, მე რომ მკითხოთ, მისი „კონსტანტინე გამსახურდია“ შედევერია. უკვე რამდენი წელია აკეთებს ტერენტის ქანდაკებას, არ დააყენა საშველი, მანამ იტანჯავს თავს, ვიდრე თავისას არ მიაღწევს. მისი „დავით სარა-

ჯიშვილი“, რომელიც ჯერ თაბაშირშია და რიყეზე უნდა დაიდგას, კიდევ ერთხელ გაგვაოცებს. კიკალას ნიჭი რომ დაანანილო, ათ ხელოვანს მაინც ეყოფა საგზლად. როდესაც სახელოსნოში (კონიაკის ქარხანაში) შემიყვანა და „დავით აღმაშენებლის“ მოდელს ტილო შემოხსნა, გაფითრდა. მეც გაფითრდი. ყოველი მისი ქანდაკება მოულოდნელობაა, გაცეცება... არ გაგტეხოს სანუთრომ, კიკალ, შენი ცეცხლიანი გული, შენი დაუდგრომელი მარჯვენა შენსავ შთამომავლობას ეკუთვნის! ვინც ხელოვნებაში ბევრს ლაყბობს, ატყუებს ხალხს. გაივლის დრო და აღარც მოტყუებული ახსოვთ, აღარც მომტყუებელი, დრო ყველას ამარცხებს. გალაკტიონ ტაბიძისა და იაკობ ნიკოლაძის თაობის რამდენი „მქუხარე“ სახელი დანთქა დავინწყების შავმა წყალმა, საეჭვოა როდესმე გაახსენდეთ.

დიდი ხანია განა, რაც იმ კორიანტელში  
დაეცა რიგი პოეტების გამოჩენილი?  
მშფოთვარე სული ნანგრევებმა მოიყოლია,  
ქარსა და გრიგალს გადაურჩა ძალიან ცოტა.  
(გალაკტიონი)

– შენ ჰყი, მანქურთო პარლამენტარო და მინისტრო, შენ მე ბნელშიმჯდომარე ხომ არ გგონივარ, რაკი შენსავით არ ვიხვეჭ, შენსავით არ ვთაღლითობ, რაკი შენსავით კაცს არ „ვძირავ“, შენსავით მძულვარე გული არ მაქვს?! იქნება გგონია, მე მხართედოზე ვწევარ, მძინავს, რაკი შენსავით ოცდაოთხი საათი წუმპეში არ დავთოთხიალობ, შენსავით ვერაგობით, ავაზაკობით არ მაქვს გული და ფიქრი გამოძეგლი?! ერთი წუთით შეიხედე კიკალას გულში, მის წამებულ ცხოვრებაში, აზიარე შენი ნაშიერი მის ხელოვნებას, მის კაცობას, შენისთანა მანქურთები რომ არ გამოვიდნენ, საკუთარ თავსაც არგონ, ქვეყა-

ნასაც.

თვალი ისევ არქივისკენ გამიბრის.

ვკითხულობ ბესიკ ადეიშვილის, ჩემი ძვირფასი მეგობრის, 1975 წელს ვილნიუსიდან მოწერილ წერილს და იმ დროს ვიგონებ, როცა ძველ უბნებში გვიხეტიალია, ერთმანეთისთვის სულის კარი გაგვიღია. „სინყნარეა აქ და დელიკატობა, – მწერს ბესიკი, – ფაქტიურად მე დიდიხნის სურვილი ავისრულე, აქ ბევრი რამ უკვე ვიგრძენი და შევიცანი“. ჯერ კიდევ ჭაბუკ ბესიკს ხვდა წილად ყოფილიყო დიდი გალაკტიონის მეგობარი, რითაც ამაყობს კიდევ. ასევე იმ სულისმიერი მეგობრობით, როგორი მეგობრობაც მას შოთა ჩანტლაძესთან აკავშირებდა. პროფესიონალი გერმანისტი და უბადლო მთარგმნელი გერმანული კლასიკური და თანამედროვე პოეზიისა, ავტორი უაღრესად ორიგინალური ლექსებისა, ის მყარად ჩამოყალიბებული ეთიკური და მხატვრული, ენობრივი პრინციპების მქონე პიროვნებაა, უჩვეულო, გულცეცხლოვანი, თვალცეცხლოვანი, მშფოთვარე, დაუდეგარი, გულჩათხრობილიც, ღიაც, მობაასეც, სხვათა ცრემლის გამნაწილებელიც, მარტობისკენ მიდრეკილიც, მარტოდ მოხეტიალაც. ზოგჯერ იმპულსური, სტიქიური, გარემოებებთან შეუგუარი, მაინც მოყვასი, მყარი მეგობრობაში, სიყვარულში... ვკითხულობ ასევე ჯანსუღ ღვინჯილიას 1975 წლის წერილს მოსკოვიდან, ტკივილწარევი სიყვარულით და თანადგომით გამთბარს, და მაგონდება 60-იანი წლები, როდესაც ასპარეზზე გამოვდიოდით, გული იმედით, რწმენით გვქონდა სავსე, დაბრკოლებებს არ ვეპუებოდით... რელიკვიასავით ვუფრთხილდები დედაჩემის ბავშვობის მეგობრის, ბაბული დეიდას (ბაბული ლომინაძის) წერილებს, იმ წლებში მოწერილს, უკვე მონიფულს ცხოვრებისეუ-



ლი თუ ლიტერატურული შეხედულებები როცა მიყალიბდებოდა. თბილისის ძველი უბნის ერთ პანანა ოთახში, ათონელის ქუჩაზე, ქმნიდა ის თავის მეცნიერულ შედეგებს. ამ უმშვენიერესი სახის ქართველ მანდილოსანს, ისტორიის ინსტიტუტში მიმავალს, ყავარჯენზე დაყრდნობილი სვენებ-სვენებით რომ შეუყვებოდა სოლოლაკისკენ ლესელიძის, კიროვის, ძერჟინსკის ქუჩებს, ყველა ცნობდა, ყველა მოწინებით გზას უთმობდა. ფეოდალური საქართველოსა და ქრისტიანობის მკვლევარი, მეცნიერებაში განუხრელი და შეუვალი, ცხოვრებაში უბრალო და თავმდაბალი, ყოველთვის პოულობდა დროს, გაელო ჩემთვის ცოდნის კიდობანი არა მხოლოდ ისტორიიდან, ლიტერატურიდანაც, ხელოვნებიდანაც, ქართული თუ რუსული კულტურული ცხოვრებიდანაც. რამდენი რამ შევიძინე მისგან. „ლერი, – მწერს 1972 წელს, – მე მინდა შენ ერთი კარგი და შენთვის საჭირო წიგნი გათხოვო წასაკითხად, ამიტომაც გწერ ამ წერილს. როცა მოიცალო, გამომიარე უეჭველად“. რა დამავინწყებს, როგორ ბავშვივით უხაროდა ჩემი ყოველი წარმატება. როდესაც ბაბული ლომინაძე ცეკას ბიუროზე „გაიყვანეს“, როგორც ნიკო ბერძენიშვილის ერთ-ერთი ტომის რედაქტორი და ავტორის მაგივრად პასუხი მას მოსთხოვეს (მგონი აფხაზეთთან დაკავშირებით), მან ღირსეულად დაიცვა თავისი დიდი მასწავლებლის კონცეფციები და საკადრისი პასუხიც გასცა კომუნისტური რეჟიმის ამ მარიონეტებს. უშიშარ ქართველ ქალბატონს, ბოლშევიკური იდეოლოგიისა და სისტემის ორგანულად მოზიზღარს, დივიზიითაც წარბს ვერავინ შეახრევინებდა, როცა საქმე ეროვნული ცნობიერებისა და ღირსების დაცვას შეეხებოდა... 1969 წელს ქუთაისიდან მოწერილ ირაკლი ბაზაძის წერილში ჩანს მისი პოეტური ბუნება. „აღმაფრთოვანა შენმა წერილმა, ძმაო ლერი,

– მწერს, – დღეს მე, ალექო და ტრისტან ჯანხოთელი შენს სადღეგრძელოს ვსვამდით და ამ დროს ჩემმა მეუღლემ გადმომცა შენი წერილი. ალექო ლამის გაგიჟდა, ხოლო სვანს გაუკვირდა ჩვენი „ემოციების“... მე ირაკლი ბაზაძე არ ვიქნები, თუ ტერენტის საღამო მაისს გადავაცილოთ ქუთაისში... მერე ისეთ ქეიფს გავმართავთ, სამარეში ტერენტის ძვლებმაც იგრძნონ...“ საგანძურით ვუფრთხილდები ჩვენი დროის უდიდესი ხელოვანის მერაბ ბერძენიშვილის 1996 წელს მოწერილ წერილს. მძიმე პერიოდი იდგა, ყოველნაირად მძიმე. და ამ დროს ამ ადამიანის წერილი, წარმოიდგინეთ, რამხელა ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის. „ბატონო ლერი, უდიდესია თქვენი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე, – მწერს ბატონი მერაბი, – თქვენი მამულიშვილური საქმიანობა ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იზრუნოს ღირსეულმა ქართველმა თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის. გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ“.

დღიურში ჩამინერია: „ისევ ტრადიციული ჩხუბი სიზმარში მავანთან და მავანთან. გასავათებული ვიღვიძებ, თითქოს ბევრი მეჯაფოს. თუმცა არა, ეს არ არი ხორციელი დაღლილობა. სახსრებში მთლად დაშლილი ვარ, უღონო, თვალეზრასისხლიანებული, გაოფლილი, ფერმკრთალი. ასე დაუძლურებული მივდივარ სამსახურში... ნაშუადღევს ცუდად გავხდი. „მერანში“ ვნახე ოთარ ჭელიძე, გაეხარდა ჩემი ნახვა. ვისაუბრეთ ქუთაისზე. საღამოხანს ჩავწევი ლოგინში“ (18.4.73). „დღეს მთელი დღე ვწევარ. დავსუსტდი. დროდადრო შოთა ჩანტლაძის „საგებს“ ვკითხულობ, ვინიშნავ საგულისხმო ლექსიკას. მე ვფიქრობ, ეს თარგმანი უბრწყინვალესი ძეგლია საერთოდ მე-20 საუკუნის ქართული პროზისა, სადიდებლად შოთას ეს ნიგნიც ეყოფა. დღეს დამეზადა აზრი, შოთაზე

დავწერო პატარა წიგნი. ვკითხულობ რობაქიძეს. სუსტად ვარ“ (19.4.73). „დღეს საჯაროში ლორკას ვკითხულობ, უცხო პოეტია. დავიწყე კაფკას კითხვა“ (5.5.73). „ყოველთვის მაინტერესებდა ჩემი სახელის წარმომავლობა. „ირლანდიურ საგებში“ ზვიად გამსახურდია განმარტავს: „ლერი – ზღვის ღმერთი, რომელიც გვიან გადაიქცა გაპიროვნებულ გმირად, ძველი კელტური ქრონიკების მეფე. შექსპირისეული მეფე ლირის პროტოტიპი“ (20.5.73). „დღეს შუადღისას დავურეკე ზურაბ კიკნაძეს ინსტიტუტში, წავუღე ტერენცის წიგნი. ზურამ მითხრა, ერთი ცალი ამერიკაში გავაგზავნე, მეორე კი ისრაელში – გერშონ წინუაშვილსო. შესანიშნავი კაცია ზურა, ამხელა საქმეებს აკეთებს უხმაუროდ, სრულიად ახალ სამყაროს გვაზიარა. ბევრი ვისაუბრეთ ლიტერატურაზე, ჩვენს დღევანდელობაზე... ვკითხულობ მარკუს ავრელიუსს“ (21.5.73). „გუშინ შალვა ალხაზიშვილმა დამირეკა, „მნათობში“ შემოიარე, ელგუჯა მალრაძეს შენთან საქმე აქვსო... მერე მე და ბატონი შალვა ლუდის დასალევად ჩავედით, ქაშუეთის პირდაპირ, სახინკლეთში. ბევრი ვისაუბრეთ გურამ გეგეშიძეზე, მის ბრწყინვალე პროზაზე. მეტროთი წავედი სამსახურში. შევედი ვაგონში და... აგერ, გურამ გეგეშიძე...“ (4.6.73). „ეს რამდენიმე ხანია ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მე კი არა, ჩემს მაგივრად სხვა მოქმედებდეს, სხვა ლაპარაკობდეს, ყველაფერს ეფემერული იერი დაჰკრავს. თითქოს ვარ და არც ვარ. არ ვიცი, რისი ბრალია, ხორციელი მოშლილობის თუ სხვა რაიმესი. ერთი რამ კი ცხადია: უკანასკნელ ხანებში ჩემი ფიქრები განუწყვეტლად თან დასდევს სიკვდილს, თვითმკვლელობას, ავარიას, დაპატიმრებას. ასეთი დებრესიული აზრები კიდევ უფრო მეტად მაპირქუშებს, რაც ალბათ გარეგნულ ქცევებშიც ჩანს. ვნახოთ, რა იქნება მომავალში“ (25.8.74).

„დღეს ვიყავი სხივებზე საავადმყოფოში. გავიარე გამომცემლობაში, ვნახე ჯარჯი. გავედი „კრიტიკაში“, გიორგი მერკვილაძე დამპირდა, შენს წერილს („კრიტიკა და ექსპერიმენტი“) მერვე ნომერში დაგბეჭდავო“. (26.8.74). „ნავედი სხივებზე. გზაში ჩემი სკოლის მეგობარი, ზაზა წერეთელი შემხვდა. ისიც წამომყვა. იქიდან გავედით ილიას სახლ-მუზეუმში, შემდეგ კათოლიკეთა ეკლესიაში. აქ ტერენტი დადიოდა. საკვირაო წირვები ორლანის თანხლებით სრულდება, მე კი ძლიერ მიყვარს ორლანი“ (27.8.74). „ისევ დავდივარ სხივებზე. იმ ხუთშაბათს ვიყავი დათიკო გაჩეჩილაძის დაკრძალვაზე. ძალიან მიყვარდა. თბილი კაცი იყო, მეგობრული, იუმორით სავსე. ასევე შესანიშნავი პოეტი... აქ შემხვდა მერკვილაძე – შენს წერილში რალაცეები შევცვალე, მიდი, ნაიკითხეო. მეორე დღესვე გავედი რედაქციაში. მორჩა, შეცვლილი სახით არ ვბეჭდავ!.. იმ დღეს ომარ ტყემალაძე ვნახე, „გრემში“ დავლიეთ. ხუთი თვეა არ დავმთვრალვარ. მეორე დღეს ცუდად ვიყავი... ვწერ წერილს გურამ პეტრიაშვილის წიგნზე“ (1.9.74).

## კვირა მესუთა

### 1. კვირა, 13 იანვარი, 2002 წელი.

გავდივარ ბოტანიკურში. ცა მონმენდილია, მაგრამ ქარია, ყინავს. მზე ამოდის. მზის ყვითელი სხივები ჰავლაბარს, ისანს, მახათას მთას ეფინება. გარშემო ეკლესიათა გუმბათები აღმართულან. ელიას მთაზე წმიდა სამების ტაძარი შენდება – ეს მართლაც დიდებული მშენებლობაა. რეკენ ზარები, საკვირაო წირვაზე გვიხმობენ. და მგონია, ანგელოზები რეკენ ზეცაში. ვინ იცის, რამდენი ტაძარი მოისრა შემოსევებისგან, რამდენი იქნებოდა წინა საუკუნეებში. გადავყურებ ქალაქს, ეკლესიათა გუმბათებს და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, თბილისი რომ საქრისტიანოს ძველი ცენტრია. უფლის შენევნით, დღესაც ასეა.

კვიპაროზების ხეივანი რომ ჩავათავე და ხიდს დავუპირისპირდი, გავიხედე – გაღმა, ხიდის თავში, ის დგას, იუდას ხის ძირში. როგორც კი გამოთბება, აპრილის თვეში, ხე იასამნისფერი ყვავილებით იპენტება, მებაღენი იუდას ხეს ეძახიან. ღელისპირიდან ამოყვანილ ყორეზე ტყავი დაუფენია, იმ დღეს ნაკვისაში რომ ალაღლაღებდა, მარჯვენა ხელში დიდი ძველებური ბროლის სამელნე დაუკავებია, მარცხენაში – რომელიღაც ფრინველის ფრთა, რაღაც უცხო ანბანით სისხლისფრად სიტყვებს წერს, ნიშნებს, რიცხვებს... ხმა არ გაუღია, ერთი ილინცურად თვალეი მომავლევა, გააგრძელა წერა (თუ ხატვა, არ ვიცი). წვერი ჩამოგრძელებოდა.

სახე გამხდარი, გესლიანად გაცინებული,  
აქ ისევ გაჩნდა შიშის ლანდი უზარმაზარი,  
კოშკის ძველისძველ ფოლიანტზე რაღაც დასწერა  
და შემოხაზა გამოუცნობ ნების რკალებით...  
ალბათ მოხდება სასწაული საბედისწერო...  
ნუთუ არავის, არავის არ შევებრალეებით?!

(გალაკტიონი)

პოეზია ზოგჯერ არაფრისმეტყველია, არსად აზრის, გრძნობის ეგზალტაცია. მშვიდია, როგორც უქარო ამინდში ტბის ზედაპირი, მაგრამ ღრმაა და დაფარული. გაიხსენეთ ჩინური, იაპონური პოეზიის შედეგები.

ბამბუკის ქალით ბელურების ჟიჟივი  
ისმის.

მზის ანარეკლი

შემოდგომურ ფერში იღვრება.

ბაღში სად ოდენ

ხაგის ბუჩქი ჩამოყურსულა,

ამოდ ქრის ქარი გაზაფხულისა.

მზე ბინდისა

კედლებს მიღმა მიეწვერება.

(იმპერატორი ქალი ეიფუკუ: 1271-1342)

პოეზია ყოფიერების ყველა საფეხურს მოიცავს, მარადისობას წამიერებაში აქანდაკებს, მინიერი ცხოვრების ყველა ფუჭ დიდებას აფერმკრთალებს.

დიდება იგი ძლიერი არი,

ამაოება – დროის მგმობელი,

მარადის იგი ხმოვანებს ქარი,

მარადის ცეცხლის საგალობელი.

(გალაკტიონი)

მოლივლივებს, სანუთისოფლო რომ შეგ-  
ვაც-ნობი-ნოს, ამ სანუთისოფლოში – ჩვენი თავი.  
არავინ უწყის, საიდან იშვა, პირველდასაბამიდან რომ

მოგვეახლა, ამას ვეძებოც ადასტურებენ... ჰოდა, ჩემო ძვირფასო, თავი რომ აგიღერია, შენს მეტს ქვეყანაზე ვერავის ხედავ, ადექი, ერთხელ მაინც გადაფურცლე ეს სიბრძნის წიგნი, რა იცი, იქნება გაგეხსნას გულისკარი და შეიცნო – შიშველი ვიშვით, შიშველი მივიქცევით, რას წავიღებთ, რა მოგვიტანია?! იქნება გაიხსენო სანდრო ბოტიჩელის ტილო, უზარმაზარფრთებიანი, გრძელთმიანი, ნითელკაბიანი ანგელოზი, ცამოქუფურულზე როგორ უწვდის ცალმუხლზედაჩოქილ, შემკრთალ პოეტს თავისქალას, გაიხსენო და შეიცნო, ძველი სამყაროს ეს ამოძახილი: **Memento mori!** ეს ხომ გაფრთხილებაა, მეტიც, შენი სულის ხსნაა – სიკვდილი ხომ აქვე, ჩვენს გვერდით თვლემს, ჩვენსავე სანოლში.

## **2. ორშაბათი, 14 იანვარი, 2002 წელი.**

ახალი წელია. ცა სარკესავით მონმენდილია. ყინავს, მაგრამ მზეა და მზე გულს ახარებს.

ისევ მიწასთან ვდგევარ,  
მინდა გავიდე ველზე,  
ისევ მზიანი დღეა,  
ისევ სიხარულს ვეძებ.

(გრანელი)

გავდივარ ბოტანიკურში. ვფიქრობ ციციოზე... ძველი დისიდენტია, 70-იანი წლებიდანვე ეროვნულ მოძრაობაშია, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას უმცროსი მეგობარი და თანამოღვაწე, ხშირად დევნილი, რეპრესირებული. ჩვენი გიორგი ხომ მერაბის ნათლულია (ასევე გიორგის დეიდაშვილიც, ქეთი რატიანი)... 1988 წლის 22 იანვარია. გიორგი წლისაც არ არი. მოსანათლავნი ზვიადს და მერაბს მიჰყავთ

ქაშუეთის ტაძარში, ნათლილების საიდუმლოს მამა ელიზბარი ასრულებს. მერაბი სულ რამდენიმე ხნის დაბრუნებულია სამშობლოში, აგერ უკვე ათი წელი იქნება, არ მინახავს. ტაძრიდან მობრუნებული – ახლა რაზე მუშაობო, მეკითხება, როგორც ადრე, სიყვარულით. რომ დავყოფნდი, უპანიშადებს თარგმნისო, ზვიადი პასუხობს. მერაბს თვალები უბრწყინავს – რთულია, მაგრამ მჯერა, მოერევიო... გადასახლებაში შენ რომ გრანელი გამომიგზავნე, რეციდივისტებსაც ცრემლი ერეოდათ, რომ ვუკითხავდიო... ოჯახის წევრების გარდა, სუფრაზე ახლო მეგობრები ვართ – მერაბი, ზვიადი, ჩემი ქუთაისელი მეგობარი რეზო (პანია) ბაბუნაშვილი, მირდატ ბერძული. ზვიადია თამადა. არ სვამს – მანქანით არი. რეზო კარგად მღერის, მირდატიც, ზვიადიც, მერაბიც. გვარიანად მოილხინეს... ცოტა ღვინოში რომ შევედით, მერაბი ზვიადისკენ იხრება, პიჯაკის გამორღვეული ილღია უფრო მეტად აჩენს პირს, მკაცრი ტონით რაღაცას საყვედურობსავით. ჯერ ყურადღებას არ ვაქცევ – ორი ძმა ერთიმეორეში ლაპარაკობს... ზვიადი, თავდახრილი, ჩუმს, ჩვეულებისამებრ, თმაზე ხელს ისვამს. უხერხულობა რომ განემუხტო, მერაბს ჭიქას ვუჭახუნებ – მოდი, ზვიადს გაუმარჯოს-მეთქი. აბა რა, აბა რაო, ამბობს, ეხვევა ზვიადს... ბრბო ზოგჯერ უმადურიცაა, პრავმატული ზრახვები ამოძრავებს – თავად სასნაულს სასნაულის შედეგით ტკბობა ურჩევნია. იქნებ სწორედ ეს ნამია „დაჭერილი“ ბასანოს ტილოზე, როცა მოსეს კვერთხის წყალობით კლდიდან წყალი გადმოსჩქეფს – მწყურვალი ხალხი წყალს დანაფებია, საკვირველმოქმედი სადღაც უკან დგას, მარტო, აღარავის ახსოვს... მერაბ კოსტავა მოსე არ არი, მაგრამ მისმა სულმა, დაუფიცებლად რომ შესწირა სამშობლოს, მოსეს კვერთხის მისია შეასრულა საქართველოში.



ციცოს ვეჩხუბები ხოლმე: ადექი, ამდენი ამბის მოწმეც ხარ, მონაწილეც, დანერე ყველაფერი, ეს იქნება მართალი მათიანე იმ მძიმე პერიპეტეიებისა, რაც იმ წლებში ხდებოდა, ყოფილი „კამსამოლები“ რას აღარ იბრალებენ, ბიოგრაფიას „ისწორებენ“-მეთქი. მე ჩემს ქვეყანას ვმსახურებდი, ამაზე როგორ ვილაპარაკოო. მე ასე არ ვფიქრობ. როდესაც ბრეჟნევის, სუსლოვის, ანდროპოვის რეჟიმის წლებში ციციო არზიანს ვარძიაშიც კი ჩასვლა ეკრძალებოდა და აწყურის საგუშაგოდანვე უკან აბრუნებდნენ, კაი „მაგარი ბიჭები“, შიშით ცხვირს გარეთ რომ ვერ ჰყოფდნენ და კგბ-ეს ხელშეწყობით ევროპის ქვეყნებს წელიწადში შვიდგზის „ლაშქრავდნენ“, დღეს, გაპარლამენტარებულებს, ღვთისმშობლის ხატის წინ დგომით მუხლები „გადაცვეთიათ“, სამშობლოს „სიყვარულში“ ენა მოცვეთიათ.

სალამოს გავდივარ სიონში, ლოცვაზე. პატრიარქი წირავს. ვნახულობ იური კახნიაშვილს, ტაძარში გალობს. ერს, რომელსაც ამგვარი დიადი, ზექვეყნიური გალობა შეუქმნია, არ უწერია გადაშენება. რაც შემოგვრჩა, ალბათ ნაშთია იმ დიდი ცივილიზაციისა, რასაც ოდესღაც ფლობდა ქართველთა მოდგმა. ჰოდა, ვეუბნები ჩემს თანამოქალაქეებს: მიხედე შენს მისახედავს, ამოიძირკვე გულიდან ღვარძლი, შური, სიძულვილი, წრფელად დაუნთე უფალს სანთელი, წრფელად ილოცე. ვუსმენ გალობას, პატრიარქის ქადაგებას, უამურ ფიქრებს მაინც არ ეშვება ოხერი ტვინი. აი, როგორ დავუთრგუნვივართ დღეს დუხჭირ ყოფას. ერთი წამით რატომ არ უნდა შეეძლოს კაცს, მოსწყდეს მატერიალურ ყოფიერებას, გულის სარკმელი ზეციდან დაფრქვეულ ბგერებს გაუხსნას?!

ვუსმენ პატრიარქის ქადაგებას და მახსენდება: 1979 წელია, მაისის თუ ივნისის თვე. სიონის ტაძრის

ეზოში მზით ანთებული ვარდები ჰყვავიან. მივუყვები საპატრიარქოს კიბეს და ვლელავ – ხელში ტერენტი გრანელის ლექსთა ნიგნი მიპყრია, იმ წელს ჩემ მიერ გამოცემული და, თუ არა მის უწმიდესობას, სხვას ვის შეიძლება მივართვა ასეთი ძვირფასი საჩუქარი. კართამცველს, ღვთისოს (ახლა უკვე მამა ღვთისოს) განზრახვას ვუზიარებ – პატრიარქს ნიგნი მინდა მივართვა, დაბნეული ვარ, ვეუბნები, არ ვიცი, როგორ ვცე თაყვანი. ნუ ჯავრობ, – მამხნევენს მამა ღვთისო, – უფალი გიკარნახებსო... უწმიდესის ოთახშიც ყვავილთა სურნელება დგას, იქაურობას ღვთისმშობლის მზერა აღავსებს. ვფიქრობ, ნიგნს გადავცემ და, რომ არ შევანუხო, მალევე უკან გამოვბრუნდები-მეთქი. მასთან რომელიღაც ჭარმაგი ეპისკოპოსი სტუმრობს. პატრიარქმა სავარძელზე მანიშნა და, როგორც სჩვევია, მშვიდი კილოთი წარმოთქვა: „მე მსმენია ტერენტი გრანელზე, მაგრამ ბუნდოვნად... თუ შეიძლება, მიაბეთ მასზე...“ ამას არ მოველოდი. არ ვიცი, საიდან დავინყო, თან გონებაში პოეტის სტრიქონები მიტივტივებს:

აქ ყვავილებიც მოიპოვება,  
ეს გრძნობა ცაზე უმაღლესია.  
ჩემი ცხოვრება არის პოემა,  
ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია.

და მეც, ნელ-ნელა, შინაგანი შფოთვით, ვფურცლავ გრანელის ცხოვრების სისხლიან რვეულს და ვგრძნობ, რა გულისხმით უსმენს ჩემს მონათხრობს მისი უწმიდესობა. შიგადაშიგ შეკითხვებს მაძლევს, წვრილმანებში მეძიება, ვატყობ, ღრმად სურს ჩასწვდეს პოეტის სულიერსა თუ მინიერ ცხოვრებას. საუბარში ეპისკოპოსიც გვერთვება – მე მას ვიცნობდი... ბოლშევიკებისგან დევნილი კაცი იყო... სუ-

რამშიც მინახავს, თბილისიდან გასახლებული, საგი-  
ჟეში გამომწყვდეულიო!.. მთელი ამ ხნის განმავლო-  
ბაში უწმიდესს წიგნი ხელში უჭირავს, როგორიღაც-  
ნაირი სისათუთით, თითქო ეფერება კიდეც, არც  
ფურცლავს, არც მაგიდაზე დებს. თითქმის ერთ  
საათს გასტანა ჩვენმა საუბარმა. წიგნი ბოლოს გა-  
დაშალა, საუბრის დასასრულს. და როდესაც პოეტის  
ცისკენ ზეაპყრობილ თვალებს, მის სახეს მიაპყრო  
მზერა, გაკვირვებულმა წარმოთქვა: „ეს მართლაც  
წმინდანი ყოფილაო“... და დამლოცა.

ბოტანიკური ბაღის გამოვლით ვბრუნდები უკან.  
გვირაბში ბნელა. დირეს ფეხი წამოვკარი, დავეცი,  
ხელისგულები გადამეღლიტა, ბნელში ის უკანასკ-  
ნელი გროშებიც დავკარგე, მეორე დღისთვის გზის  
ფულად რომ ვიზოგავდი. შევწუხდი, რასაკვირველია,  
მაგრამ მალევე გამეცინა – სხვა რა შეგრძნება შეი-  
ძლება დაგეუფლოს კაცს, ვისაც ერთი წამითაც არ  
გტოვებს ბედი მდევარი?!

ყოველი ახალი ეპოქა, ახალი თაობა თავისებურად  
უნდა იმეცნებდეს წარსულს, წარსულში მოღვაწე პი-  
როვნებებს. ღრმა გონებით უნდა იაზრებდეს ყველა  
იმ აუცილებლობას, იმ სატკივარსა თუ ამოცანებს,  
რასაც თვით ეპოქა გვთავაზობს – მივწვდეთ ეპოქის  
არსს და არა მის პერიფერიებს, რადგანაც პერიფე-  
რიები, თუკი არსს ჩვენვდებით, თავადვე გამონათ-  
დება. უკეთუ მივწვდებით ყოველივე ამას, უკეთუ  
გავიმეცნებთ ეპოქისეულ მოვლენებს, მერე შევ-  
ძლებთ მოვჩხრიკოთ ჩვენს წინაპრებში ის ეთიკური  
თუ ფილოსოფიურ-რელიგიური ღირებულებებიც,  
რაც გვტკივა და გვანუხებს. და იმ პიროვნებებში,  
რომლებიც თავიანთ ეპოქებშიც ამგვარსავე მისიას  
ასრულებდნენ და სიდიადითაც იყვნენ მოსილნი, არ

შეიძლება ახალმა ეპოქამ არ აღმოაჩინოს თავისი თანასაგრძობელი აზრები თუ ტკივილები. ამგვარი დიადი პიროვნება დავით აღმაშენებელია – უშიში და ყოვლად უძრავი გულითა, რომელსაც ქვეყნის ხსნაში „ხელი მაღლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას“. ამგვარი დიადი თხზულება „გალობანი სინანულისანია“ – „რომლისაცა წინაშე ქედდადრეკილ არს ყოველი მუხლი, ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი შენსა ხმობს აღსარებასა, მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ“.

### **3. სამშაბათი, 15 იანვარი, 2002 წელი.**

გული მტკივა. მაინც ვდგები, ბოტანიკურში გავედივარ. ყინავს. მოღრუბლულია. ნავკისა გაჩუმებულია, დიდ-დიდი მორვებიც კი. თაბორის მთაზე ძაღლები დაღვლავობენ. მონყენილი დილაა. დღეს ბედობის დღეა... მოვედი და შუქიც წავიდა. ვიყინები. როგორ გინდა იმუშაო. ლამპას ვანთებ. ვიხურავ, რაც დასახურავი მაქვს, ტანზე, ფეხებზე. მაინც ვმუშაობ.

ბევრი სასტიკი ღამე გავიარე,

რამდენ წვალებას მაღავს ეს ოთახი.

(გრანელი)

როცა ადამიანები, რომლებიც სულიერ კულტურას მსახურებენ, ამ ყოფაში არიან, ხოლო ვიღაც ვიგინდარები თუ იმათი ნაშიერი შუბაში 35000 დოლარს იხდიან, ეს კატასტროფაა, აბა რა ჯანდაბაა?! ჩვენ თავს იმიტომ კი არ ვიღარიბებთ, ვიღაც ციგანი პარლამენტარი გამდიდრდეს, ჩვენ თავს იმიტომ ვიღარიბებთ, ჩვენი მომავალი თაობები სულიერად რომ გავამდიდროთ. საკითხავია, ეს ადამიანები შვილებს რას ასწავლიან, რა წიგნებს აკითხებენ?! კაცი, თუ კაცია, სა-

კუთარი ძალისხმევით უნდა იღვწოდეს, ღმერთია მისი ერთადერთი მწყალობელი და მფარველი. მაგრამ ეს კაცის კაცები – ვინლა არიან?! ეს კაცის კაცები – რალა უბედურებაა?! ეგენი არიან, საქმითაც და სიტყვითაც, ნართაულადაც და გაცხადებულადაც, ქვეყანას რომ ბილწავენ. გუშინნინ, ახალი წლის ღამეს, „კურიერმა“ გამოაცხადა – შამპანურ „პალერმოთი“ ქორქისაშვილების ოჯახი მონამლულა, მამა იმავე ღამეს გარდაცვლილა, იმისი ორი ქალიშვილი მძიმედ საავადმყოფოშია. მსგავსი რამ შეიძლება პლანეტაზე მოხდეს?!.. დღეს, სავალალოდ, ამგვარი „კონცეფცია“ მართავს ადამიანთა უმრავლესობას: სადაც სხვა – მეც იქ. და ვინ არი ეს „სხვა“?! – ყრუნი და ბრმანი სილატაკისგან აბოჟირებული სხვათა შვილებისადმი. ამგვარი „კონცეფციიდან“ გამოლწევა დღეს (და ყოველთვის) უმრავლესობასთან დაპირისპირებას, მეტიც, ხშირად მისგან აბუჩად აგდებასაც უდრის. მაგრამ უფალი მათთანაა. გაიხსენეთ ლოტი და მისი ორი ქალიშვილი, რომლებმაც დატოვეს სოდომი, უფლის ანგელოზმა გამოიყვანა ისინი ამ ქალაქიდან, ცოდვათა გამო კატასტროფა რომ დაატყდა (დაბ. 19).

ყოველმხრივ უნდა ვივარაუდოთ, რომ „გალობანი“ დანერილია დავითის მეფობის ბოლო ხანებში, რაკი თხზულებაში გაცხადებულია მთელი იმ განსაცდელისა და მოღვაწეობის გზა, რაც მან გამოიარა როგორც მეფემ და როგორც პიროვნებამ. ის დაუფლებულია როგორც ძველ, ისე თანამედროვეთა ცოდნას (აღმოსავლურს თუ დასავლურს), ზიარებულია იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირეს, არსენ იყალთოელის სიბრძნეს, მოციქულთა ცხოვრებას. მასში გაერთიანებულია ბაგრატოვანთა ხელმწიფური სიდიადე, ჭყონდიდელის გონიერება. მთელი მისი მოღვაწეობა აღბეჭდილია სიბრძნით, გონიერებით, ამ ძალთა წყალობით იქმნა

ყოველ საქმეს. დავითის ისტორიკოსი გვამცნობს: „მართებდა და განაგებდა მსგავსად მისსა დიდ-გონებითა“. „არცა სცა ძილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება ხორცთა თვისთა... გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულე-ბად და უდებებად მზიდველთა ნებისათა“. „თავი სათ-ნოებათა, სინმიდე, ესოდენი მოიგო, ვითარცა დიდმან ანტონი“. მაგრამ, „გალობანის“ თანახმად, მას არ აკ-მაყოფილებს, როგორც ჩანს, მხოლოდ მეფური ღვა-წლი, პირიქით, უკმაყოფილოც კია, რადგანაც მან, რო-გორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, მისი აზრით, ვერ შე-ძლო მიეღნია სრულქმნილებისთვის. „მილხინე, ჰე, მეუფეო, მილხინე, და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა... ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა“, ევედრება უფალს. ეს არი აღსარება პორფირშემოხსნილი მეფისა, ვინც პი-რისპირ დარჩენილა ღვთისა და საკუთარი თავის წი-ნაშე. აღსარებაში ჩანს, თუ როგორ შეუთანხმებელია ერთიმეორეს მეფე და ადამიანი, ერთი მხრივ, მოვა-ლეობანი ხელმწიფისა ქვეყნისა და ერის წინაშე, მეორე მხრივ, მოვალეობანი ქრისტიანისა ღვთისა და საკუ-თარი თავის წინაშე.

#### **4. ოთხშაბათი, 16 იანვარი, 2001 წელი.**

წუხელი, ნახევრადმღვიძარემ, ღამე კომპარულ სიზმრებში გავატარე. დილას ბაღში გასვლა ვერ შეე-ძელი...

სწუხს ჩემი სული – ვით სამრეკლო  
ცის უდაბნოში.

(გალაკტიონი)

ჯიბეში ერთი თეთრიც არ მიჭყავის. გუშინდელს აქეთ არაფერი მიჭამია, მენწყება უამური შეგრძნებ-

ბი ღვიძლის, კეფის არეში. გავედი სამსახურში (ვი-  
თომ სამსახურში). ზის ზეზვა მედულაშვილი, კროს-  
ვორდს ავსებს. ეს პროფესიონალი მთარგმნელი, ასე  
უნდა ცდებოდეს?! მისი თარგმნილი მათევოსიანის  
მოთხრობები ხომ შედეგია. საინტერესო მოთხრობე-  
ლიცაა. სიტყვის ეტიმოლოგია თუ გინდა, ზეზვას  
უნდა ჰკითხო, ღრმად შესულია აღმოსავლური და  
ქართული ენის ძირებში. კაფიებს ხომ, მეგობრებმა  
„ზეზვიზმი“ რომ შევარქვით, ნიაღვარივით  
აფრქვევს, რა სიტყვა გინდა, რა სიტუაცია, არ გა-  
რითმოს. ერთხელ, კავკასიურ სახლში, სვამი ვივეკა-  
ნანდას საიუბილეო თარიღის აღნიშვნისა და უპანი-  
შადების პრეზენტაციის შემდეგ, ახლობელთა სუ-  
ფრაზე, ვახუშტი კოტეტიშვილმა უთხრა – აბა, უპა-  
ნიშადები გარითმეო. გარითმა: „მივმართავ ძვირფას  
ამ ჩვენს მარაქას, სირცხვილით პირი თუ გამიშავდეს,  
ეგ იმიტომ, რომ ფული არ მაქვს და ვერ ვყიდულობ  
„უპანიშადებს“. ვიცინით. აბა ახლა, თუ ბიჭი ხარ, ემ-  
პირიოკრიტიციზმი გარითმეო. არ დაყოვნებულა,  
გარითმა: „ვერაფერი გაგიგია ემპირიოკრიტიციზმის,  
– მე ვხედავ, რომ შენი სახით იმპერია კრეტინს  
მიზრდის“. უფრო მეტად ვიცინით, ვახუშტი გულიან-  
ნად როხროხებს.

ხოდა, ზეზვამ რა ჰქნას, დღეს ნიჭი ვის უნდა, ან  
თარგმანი, ან ლიტერატურა, ან კულტურა საერთოდ,  
უკულტუროდაც „კულტურულად“ ძარცვავენ ხალხს.  
სოლიდარობის არავითარი განცდა, პირიქით, გულ-  
გრილობის ფარდა ჩამოუფარებიათ, ოღონდაც იქით ნუ  
გაიხედავენ, საითაც ხალხს უძძიმს, ისე ჩამტკბარ-  
ჩანეტარებულ-ჩაბედნიერებულნი „ენამჭევრობენ“,  
ვი-თომც მართლა თავისუფალი ქვეყნის პარლამენტის  
წევრები იყვნენ და არა იმ ქვეყნისა, რომელიც ნაწი-  
ლებად დაფლეთილია, საზღვრებმოქაქებულია, ვი-

თომც საკუთარსავე ქვეყანაში თავადვე მარბიელნი არ იყვნენ პროფესიონალიზმისა, სინდისიერებისა, ვითომც თავადვე არ ამკვიდრებდნენ ქვეყნად ნიჰილიზმს, სკეპტიციზმს, დილეთანტობას, ვითომც უტიფრად სულს არ გვხდიდნენ მენტორული ცინიზმით. კაცს ხელი არ გქონდეს, ფეხი არ გქონდეს, გაჩეხილი თავიდან სისხლი გდიოდეს, იმ ცალი ფეხის დასადგმელი ნაგლეჯი მიწაც არ გქონდეს და კიდევ სხვას დასცინოდე, მე არ ვიცი, ამას სახელად რა ჰქვია!.. როგორ, ადამიანური ზნეობა სხვაა, პოლიტიკური ზნეობა – სხვა?! ქრისტიანის ზნეობა სიმართლეა, პოლიტიკოსისა – სიცრუე?! თუ პოლიტიკოსი ხალხს მსახურებს, რა გამოდის – პოლიტიკოსი ხალხს სიცრუით კვებავს?! ხოლო როცა ამ პოლიტიკოსს პირმოთნე ღიმილი შემოეღვევა, ხალხს კბილები უნდა უღრჭიალოს?! გაორებულმა ზნეობამ სახელმწიფოები დალუპა. მღვდელმთავრები ხალხში საგანგებოდ ეძებდნენ ისეთებს, რომელნიც პილატეს წინაშე ქრისტეს წინააღმდეგ ცრუმონმობას მისცემდა – თავს მეფედ აცხადებს, კეისრის უარმყოფელიაო. შემდეგ მღვდელმთავარნი, რომაელთაგან დამორჩილებულნი, პილატეს ეფარისევლებოდნენ: „არა გვივის ჩუენ მეუფე გარნა კეისარი“ (იოან.19,15). ცილს სწამებდნენ, მშვენივრად უწყოდნენ, რასაკვირველია, იესოს პასუხი: „მეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“ (მათ. 22,21). გაიხსენეთ, ამ სიტყვების წარმოთქმისას, რა წრფელია უფალი ტიცციანის ტილოზე „კეისრის დინარი“... აი, პოლიტიკოსთა ორმაგი ზნეობა, რამაც იუდეველნი ღვთის გზას ააცდინა. ახლა რა ვქნათ, ავდგეთ და, როგორც ძველ საუკუნეებში, ქრისტიანული ზნეობა, ერთადერთი, ლომებს დავაგლეჯინოთ?!.. იცოცხლე, რელიგიურ დღესასწაულებზე დაბრძანდებიან, ეკლესიურ ეტიკეტსაც იცავენ, მაგრამ რად გინდა – მანეკენებივით სულგულდაშრეტილები გადაჰყურებენ ქუჩებში სა-



მათხოვროდ ხელგაშვერილ ქართველ დედებს, უდემამოდ დარჩენილ ბავშვებს. ეს ოპოზიციაც ხომ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ხელისუფლებას, არც მათი მხრიდან უჩანს ამას კარგი პირი. ამასწინათ ერთმა ვაჟბატონმა ტელევიზიით ბრძანა, უნივერსიტეტმა პოლიტიკური ფუნქცია უნდა იტვირთოსო. საშიში სინდრომია, ძალზე საშიში. ინტელიგენცია ხომ, ვინც ტოტალიტარული რეჟიმის წლებში ჭაპანწყვეტით ათას ქარიშხალს გამოატარა სულიერი საუნჯე და დღემდე რუდუნებით მოიტანა, ფაქტობრივად უგულუბელყოფილია. ასეთი დამოკიდებულება ავის მეტს არაფერს უქადის ქვეყანას.

ცუდად ვგრძნობ თავს. შევიარე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, მურმან ჩაჩუას ორი ლარი გამოვართვი. ვიყიდე შაქარი, პური. ვსვამ ჩაის და ცრემლებს ვაყოლებ. აი, ესეც ჩვენი ცხოვრება. რამდენს უნდა გაუძლოს მწერალმა?! დღეს გადავრჩი. ხვალ?!

ვფიქრობ და მივჩერებივარ ფიროსმანაშვილის ნახატს, მთვარიანში ხეზე გასულ დათვის – ო, რა მისტიური ხილვაა! მეჩვენება თუ რა, მგონია სხვა განზომილებაში ვარ, ფიქრიდან ფიქრში გადავდივარ, მხატვრის დაგუდული, ნაწყენი კილო მესმის, მე მებაასება თუ ვის, ვერ ვარჩევ...

...ჩემზე რომ ფიქრობ, ვიცი. ისიც ვიცი, ელიაზარზეც რომ ფიქრობ. ჩვენ ხომ ერთნი ვართ, ერთი საშოდან შობილნი, ერთი ხვედრით თანაშემკრულნი: მე – ის ვარ, ის – მე ვარ. და ამიტომ, მე რომ ჩემზე ვფიქრობ, ცხადია, ელიაზარზეც ვფიქრობ, ვინც თავისი საღმრთო საშრომელით – ხელოვნებით სძლია ურომომარჯვებულ მჭედლებს, იმათ თავკაცს – ფილასონას, ამირანის ბორკილთა გამომჭედებს... საფლავი?! არა-

ფრით იმისი დაჯერება არ გინდათ, რომ გაგეპარეთ, ელიაზარიც რომ, თქვენგან მოძულეებული, გაძევებული, განმიდავებული, გაგეპარათ, ზეციურ სოფლად დაგემალათ... უკრძალველნი ხართ, თქვენ აღდგომისა რა იცით, ან გოლიათების ენას თქვენ რას გაიგებთ?!. ელიაზარი ხომ ამირანია, როგორც მე, საღმრთო საშრომელით ავ ძალთა მძლეველი. დაგვინახეთ?! არც გამტყუნებთ, ძნელია გოლიათის დანახვა, თქვენ მხოლოდ კოჭისთავებს თუ ხედავთ ჩვენსას. მთელი ჩვენი წუთისოფელი ჩვენში დავინყებულ, დაკარგულ ამირანს ვეძებდით, მონამეობრივად ვიღვწოდით გავღვიძებულიყავით ამირანში, ანუ ის გაგვეღვიძებინა ჩვენში, განვახლებულიყავით. ჩვენ ამირანის ცეცხლივით ვგიზგიზებდით, თქვენ ამ ცეცხლზე ხელებს ითბობდით. გვიცანით?!. უფიქრალნი ხართ. ქვეყანას სატანა დაპატრონებია, სრავს, თქვენ ფიქრიც გეზარებათ. ფილასონა შემოპარვია სოფელს, მჭედლის ხორხმარწუხით სულსა და ხორცს გგვლეჯს, ნანილებად გვფლეთს, როგორც სამშობლოს, თქვენ თვლემთ, გძინავთ, ათასი ხარახურით მახსოვრობა ამოგიქოლავთ. ვიდრე წმ. გიორგის სანაცვლოდ ფილასონას კერპზე არ ვულოცებთ, ვიდრე კერპთთაყვანისმცემლებად არ ვუქცევით, არ გაიღვიძებთ?! ჩვენთვის განა იოლი იყო?! მძიმე გზები გამოვიარეთ, რომ ლამპარი – საღმრთო საშრომელი რწმენით ხელთგვეპყრა და ჩვენთა ნაშიერთათვის მზაკვართაგან გაუდაბურებული გზები გაგვენმინდა, შეგვეცნო ჩვენშივე ჩასადგურებული გოლიათი, აღვმდგარიყავით მასში, ავლორძინებულიყავით.

## **5. ხუთშაბათი, 17 იანვარი, 2002 წელი.**

გული ისევ მტკივა. გავდივარ ბოტანიკურში. გვარიანად ყინავს. გარშემო ნისლია. ნისლში ზარები რე-

კენ.

ციდან ჩამოდის ფიფქი,  
ისმის ზარების გლოვა.  
და განუწყვეტლივ ფიქრი,  
და განუწყვეტლივ თოვა.

(გრანელი)

კაპიკი არ მაქვს. ო, ეს უქონლობა. ვაპირებ გავიდე ფეხით დეზერტირის ბაზართან, იქ მაღაზიაში კლასელი მუშაობს, იქნებ გროშები მასესხოს. თფუი, მიმიფურთხებია ასეთი ცხოვრებისთვის. მარტო უპანიშადების თარგმანში ყველა ქვეყანაში კაცი იმდენ ჰონორარს აიღებდა, სიკვდილამდე ეყოფოდა. მაგრამ ეს ხომ ქვეყანა არ არი. კი ბატონო, ასპარეზი გაქვს – ჰქმენ ბოროტი, მთელი საჯოჯოხეთო-სამაღინდარო შენ ამოგიდგება, შენი უპანიშადები ვის რაში სჭირდება... გავედი მეგობართან, არ დამხვდა. იქიდან ისევ ფეხით ვიარე. ლერმონტოვზე დუქანი აქვს ერთ ძველ ნაცნობს, „რაჭა“, არც ის დამხვდა. ჩემთან სამსახურში კი (ვითომ სამსახურში), ვის რა აქვს?! რა დავაშვეთ ნეტა?! ჩემს ბევრ მეგობარსა და კოლეგას იმდენი ღვანლი აქვთ ქართული კულტურის წინაშე, რატომ უნდა ჰქონდეს ხელი სამათხოვროდ გაშვერილი?!

მე კი ისევ ალუდაზე ვფიქრობ.

დიახ, სწორედ ამიტომ, ასე მოულოდნელად, ყოველგვარი წინამბის გარეშე, იწყება პოემა, თითქოს ცაზე ჭექა-ქუხილი, მეხთატეხა ამტყდარიყოს. მუცალისა და ალუდას ბრძოლა მეტაფორულად მთელი კაცობრიული ყოფის ისტორიას მოგვაგონებს.

ხმა ალუდაის თოფისა

ჭექასა ჰგვანდა ცისასა.

ეს შედარება არ არი შემთხვევითი, აქ ისტორიული მახსოვრობის კოსმიური შეგრძნებაა გაცხადებული. მუცალისა და ალუდას გადაძახილებში საუკუნეთა წიაღში რელიგიათა ბრძოლების ყიჟინა გვესმის, რასაც პოემის მომდევნო თავებში აბსურდამდე მიიყვანს ვაჟას გენია:

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,  
მარტოთ ჩვენ გვზრდიან დედანი,  
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ  
კუპრში მიელის ქშენანი.  
ამის თქმით ვწარამარაობთ...

განა ამ „წარამარაობას“ არ შეენირა ჯერ წარმართთაგან, ხოლო შემდეგ მუსულმანთაგან მილიონობით ქრისტიანის სიცოცხლე?! ჯვაროსანთა ლაშქრობებს არ შეენირა მილიონობით მუსულმანის სიცოცხლე?! მილიონობით ებრაელის სიცოცხლე არ შეენირა გერმანელი და იტალიელი ნაცისტების თარეშს მთელს პლანეტაზე?! რომელი ერთი. პოემის დასაწყისი იმდენად მოულოდნელია, განცვიფრებით უმზერთ თუ უსმენთ ყოველ სიტყვას – პოეტის აკუმულირებული შინაგანი ენერჯის უეცარ გამოვლენას, მის საღმრთო ინსპირაციას.

## **6. პარასკევი, 18 იანვარი, 2002 წელი.**

ყინავს. პატარა ნავკისაც გაყინულია. თუმცა მშვიდი დილაა, ცა მოწმენდილია. ყვავი მიფრინავს ცაზე ყრანტალით. ნარიყალა დგას ათასქარიშხლებგამოვლილი, შეურყეველი, ათასჯერ აღებული, გაპარტახებული, აბუჩად აგდებული.

საქართველოზე სამუშეომა გადაიარეს.

(გალაკტიონი)

და მაინც ურყევად დგას თბილისის, საქართველოს ბურჯად, მშვიდად, უდრტინველად, უსაყვედუროდ, არავის არაფერს აყვედრის, არავის არაფერს ამადლის. მის ბებერ, დაჩეხილ, დაძიძგნილ მკერდზე, როგორც ყორან-ყვავთაგან დაკორტნილ ამირანის მკერდზე, ჩვენივე დაკორტნილი გულების საოხად, სანთლები ანთია, ყვავილები ყვავილობენ, გოგო-ბიჭები დაკისკისობენ. გვიშლის ამ ნახანჯლარ გულმკერდს და გვასწავლის, როგორ არ უნდა შეირყე ყველაზე დიდი მწუხარების ჟამსაც. ღმერთმა ერთი დღეც არ მაცოცხლოს ჩემი თბილისის, მისი ძველი უბნების გარეშე, თანდათან რომ კარგავენ სახეს.

თუ დავუშვით, რომ მუცალსა და ალუდას შორის ბრძოლა კაცობრიული გზის ერთგვარი ანარეკლიცაა, მაშინ ისიც უნდა დავუშვათ, რომ ეს ქვეცნობიერად ალუდას შემეცნების გზაცაა, რომელიც ვაჟას შემეცნების პირდაპირი გაცხადებაა. ალუდას გავლილი აქვს პიროვნული შემეცნების გზაც, რომელიც კაცობრიულის შემეცნების გზაცაა, რადგანაც პიროვნული და კაცობრიული ერთმანეთს შერწყმია. მასში, როგორც იმ კაცში, ვისაც „სიტყვა მაუდის გზიანი“, ყველა ინსტანცია გაერთიანდა, ყველა იერარქიაში წრე შეიკრა. ამიტომაც ხდება რკალის შეკვრის, ანუ მუცალის მოკვდინების შემდეგ, მისი პიროვნების უეცარი გაცისკროვნება. ზემოთმოხმობილი შეფასება ალუდაში მის სულიერსა და გონებრივ სიმრთელეს გვიდასტურებს, რადგანაც „გზიანი“ სიტყვა, ამომცთარი პირიდან, გულისა და გონების ერთობლივი ღვწის ნაყოფია. ალუდა ყოველმხრივ შემ-

ზადებულია საიმისოდ, რომ გარეგანი ბიძგების შედეგად ის იქცეს სხვა ადამიანად, ავიდეს მანამდე უცნობ, მისთვის გაუცნობიერებელ, საფეხურზე, ანუ გაზეკაცდეს.

## **7. შაბათი, 19 იანვარი, 2002 წელი.**

ნათლილებაა. მზიანი დილაა. ყინავს. დილიდანვე რეკენ ზარები, რეკენ სხვადასხვა ხმაზე. შორიდან, ელიას მთიდან, წმიდა სამების ტაძრის ხმას ვარჩევ, სხვანაირად რეკენ მისი ზარები.

ზარი დარეკეს, ლოცულობს ვილაც,

ლოცულობს ვილაც ადამიანი.

(გრანელი)

ბიბლიურ წმინდანთა შორის განსაკუთრებით მიყვარს იოანე ნათლისმცემელი, არ ვიცი, რატომ. რა დამავიწყებს უფლის სიტყვებს, იოანეზე თქმულს: „რამეთუ მოვიდა თქვენდა იოანე, გზათა სიმართლისათა, და არ გრწმენა მისი“ (მათ. 21.32)... შორს, ნისლში, მამადავითი იმზირება. მშვიდი დილაა. ნუშის პანია როკზე რალაც ლამაზი ჩიტი იძახის. დაფუახლოვდი, არ დაფრთხა, ბელურასხელაა, შავი ფრთებით, ოდნავ მოყვითალო გულით. იძახის და იძახის.

დღეს ნათლილებაა. დღეს ელიაზარის დაბადებისა და ზეციერში მისივე დაბრუნების დღეა, იმ ქრისტესმიერი კაცისა, ვინც სოფელში იყო და სოფელმა ვერ იცნო.

რომ დავბრუნდი, შუქი წასული დამიხვდა. როგორ გინდა იმუშაო ამ სიბნელეში, ამ ყინვა-ყიამეთში?! რა ვქნა, ისევ არქივს ვათვალთვლებ... აგერ, გივი ხუჭუას წერილები რუსეთიდან, ქარხანაში მუშაობისდროინ-

დელი მეგობრისა. ახოვანი, არწივისებრი ცხვირით, ოდნავ გაქცეული მზერით, ქართული ბლუზაშარვლით და „აზიაცკებით“ რუსთაველზე რომ ჩაივლიდა, რად ღირდა. უყვარდა სამშობლო, თავისი ზესტაფონი. გულისხმით უსმენდა ჩემს მონათხრობს ილიაზე, იმდროის ადამიანებზე. თვალცრემლიანიც არაერთხელ მახსოვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელთ ღვინის ფიალა ეპყრა. „მე შენს სიყვარულს ვერავინ შემიცვლის, – მწერს 1974 წელს, – ვერც დრო, ვერც რუსეთის ყინვა... წლებმაც რომ განვლოს, ჩემთვის ისევ ის საყვარელი ლერი ხარ, როგორიც იყავი... ეს სიტყვები სუფთა და შეუბღალავია, არასოდეს შეიღახება გივი ხუჭუას პირი და გული, ყოველწამს მოსაგონარო, საყვარელო ლერი...“ ბევრ რასმე მახსენებს ბათუ დანელიას, გენო კალანდიას, იორამ ლუდუშაურის, მიშა ქვლივიძის, თენგიზ არჩვაძის, ზურაბ ხაბაძის, ტაგუ მებურიშვილის წერილები, მონწერილი ზოგი მოსკოვიდან, ზოგი სოხუმიდან, ზოგი სნოდან, ბათუმიდან, თბილისიდან... აქვე წავაწყდი ინდოეთის ელჩისადმი ჩემი წერილის ქართულ ვარიანტს. „უპანიშიდებში ერთი რაიკვაა. – ვწერ. – ბრაჰმანის არსის შეცნობა რომ მოისურვა, იმ ქვეყნის ხელმწიფეს რაიკვაზე უთხრეს. ეძებეს და, თუ იცით, სად ნახეს? ურმის ქვეშ, დაქონქილ ჭილოფზე, უპოვარი. აი, ამ არაფრისმქონე რაიკვამ შეაცნობინა ყოველისმფლობელ ჯანაშრუტის ბრაჰმანის არსი. მე რაიკვა არ ვარ, რაიკვასავით უპოვარი – კი. თუმცა შევძელი რუსთველის ენაზე გადმომეცა უპანიშადები და მეზიარებინა ქართველი ხალხი იმ უკვდავ სიბრძნეს, რაც აგერ ოცდაათ საუკუნეზე მეტია აცვიფრებს კაცობრიობას. ათი წლის კატორღული შრომა შევწირე ამ საქმეს სწორედ იმ წლებში, როდესაც ჩემი ქვეყანა უმძიმესი პოლიტიკური, სოციალური კატაკლიზმების წინაშე იდგა. მე კი, რაიკვასავით,

ისევ არასმქონე დავრჩი, თუმცა სულიერად მდიდარი, რომ ჩემი ხალხი იმ სიბრძნით გავამდიდრე, რასაც ეს უკვდავი წიგნი იმარხავს თავის წიაღში. დიას, ქართველებმა ვიცით სიბრძნის ფასი...“ 1998 წელია, ოქტომბრის მზიანი დღეები დგას. ბათუმიდან ქუთაისში ჩამოვიარე – შემეძლო მშობლიური ქალაქისთვის გვერდი ამეველო?! მწერალთა კავშირში გავდივარ, თეთრ ხიდთან, იქ ჩემი ძველი მეგობრები მეგულებიან. ზურაბ კუხიანიძე მეუბნება: კარგ დროს გამოჩნდი, ახლა ავთანდილ ნიკოლეიშვილის იუბილზე მივდივართ, პირდაპირ რესტორან „ქუთაისში“, შენც ჩვენთან წამოხვალო. – უხერხულია, დაუპატიჟებლად როგორ მივადგე-მეთქი. – უხერხული ის იქნება, რომ გაიგებს აქ იყავი და არ მიხვედით. ზურაბი, მეტსახელად „უსუნთქია“, მართალი იყო – ავთანდილს გულით გაეხარდა ჩემი ნახვა. სუფრა რომ გახურდა, ვიღებ ჯიბიდან რაღაც ქალაქის ნაგლეჯს, სხვისი ხელით შორიანხლო მჯდომ ზურაბს ვუგზავნი:

ხომ ვიყავი უხერხულში, გამიყვანე ხერხულში,  
მომიყვანე და ჩამაბი ავთანდილას ფერხულში,  
უსუნთქია, გენაცვალე, დადგა დიდი ზეიმი,

მიირწევა ჩვენი სუფრა ფურცხვანიძის გემივით.

მურთაზ ფურცხვანიძე ჩვენი მეგობარია, წლობით სოხუმში ნაცხოვრები, ახლა მშობლიურ ქუთაისში ლტოლვილად დაბრუნებული... არ გასულა წუთებიც, იგივე ხელი ჩემსავ ქალაქს მიბრუნებს, უკანა მხარეს ზურაბი მწერს:

შენ უყვარხარ საქართველოს,  
შენზე მღერის მონაკო,  
გაგიმარჯოს საყვარელო,



ლერი ალიმონაკო!

აგერ, ჩემი ვაჟის, ჩემი საყვარელი პაატას წერილები ჯარიდან, 1986-1987 წლებში უნგრეთიდან გამოგზავნილი: „მე კარგად ვარ, მამა, ჯანმრთელად, ჩემზე ნუ ინერვიულებთ. ერთი წელი ჩავაძაღლე, ერთიც დარჩა. ზამთარი იწყება... ქართველები ბევრნი ვართ პოლკში. ისე, ეს ჯარი მაგარი სულელობაა, ოფიცრები მაგარი სულელები არიან, მაგათ თუ დაუჯერე, კარგად ვერ იქნები“. „აქაური ამბები რა მოგიყვე, მოსაწყენია ყოველდღე ერთიდაიგივე. ეხლა დამთავრდა „უჩენიები“... იქით უნგრელების ბაღებია მიტოვებული, აქ უნგრელებს მადიარებს ეძახიან. ცოტა ვისწავლე, რაც საჭიროა... ქალაქი ჯერ მარტო გავლით მაქვს ნანახი, ისიც მანქანით... აქ ერთხელ კინო „მიმინო“ გვანახეს, ქართველები ერთად ვიჯექით, სომხები ცოტა მოშორებით, რაც ჩვენ ვიცინეთ, რომ იცოდე...“. „ისე, მე მაგრად ვარ, ჯანმრთელად. ეგ არი, მომბეზრდა ყველაფერი, ჩემმა მტერმა უყურა ორი წელი ოთხ კედელს, კარებს იქით კაცი არ გაგიშვებს, ეს უნგრეთია, „საიუზი“ კი არა. ისე, მე გამიმართლა, ხშირად დავდივარ სხვადასხვა ქალაქებში სამუშაოდ. ერთხელ მატარებლით ბუდაპეშტიც გავიარეთ, ლამაზი ქალაქია. ჯერ თებერვალია და გაზაფხულივით ამინდია“.

დღიურში ჩამინერია: „ვკითხულობ „კარამაზოვებიდან“ თავს: «Кана Галилейская»-ს და უეცრად გამახსენდა ჩემი ამასწინანდელი ხილვა თუ სიზმარი: ძილბურანში მყოფს, ბუნდოვნად რაღაც ეკლესიისა თუ ხატისმაგვარი წარმომიდგა. მხოლოდ ერთი გრძნობა, წამიერი გრძნობა დარჩა მკაფიოდ: რაღაც ძალა, რასაც შეეძლო გავეხადე მორწმუნე, შემეხო, მაგრამ ჩემში არ შეჩერებულა, ჩაიარა. თითქოს შუაზე განყდა ეს მისტიკური განცდა, თუ მისტერია.

თითქოს რაღაც ძალამ ეს არ ინება, ელვისუმალ ბურანიდან გამომაგლო“ (16.6.75). „გუშინ ვიყავი მწერალთა კავშირში. იოსებ ნონეშვილს მადლობა გადავუხადე პერედელკინოს საგზურისთვის. მერე ბესოსთან შევედი ბინის თაობაზე, გაზეთს ათვალეირებდა. მე ჩემს გასაჭირს ვუყვები, ის კი, თავიც არ აუნწვია, დრო და დრო ჩართავს: ბინას აუცილებლად მოგცემთ... ბინას მოგცემთ... როგორც კი იქნება, მაშინვე მოგცემთ...“ (1.12.75). „დაახლოებით 12 საათია. ვდგავართ მე, ბაჩანა ბრეგვაძე და ჯემალ აჯიაშვილი. ჩაიარა ბესიკ ადეიშვილმა. რაც ჩამოვედი, არ მინახავს. ერთი წამით შევხვდი და, მეჩქარებაო, წავიდა. გული დამწყდა. თითქოს მეც გამირბისო“ (2.12.75). „დღეს ოთხ საათზე ძალიან ცუდად გავხდი. ვერიდები იქ შეჭრას, სადაც მოსალოდნელია ნერვებისშლა, უიმედობა, გულგატეხილობა. ეს მაინც ხდება თვისთავად... რუსთაველზე გავიარე, ცოტას დავისვენებ-მეთქი. წიგნის მალაზიაში ვიყიდე დოსტოევსკი (XII ტ.) და ტოლსტოი (XI ტ.). გოგი სანადირაძე შემხვდა, ხელკავი გამიკეთა, ვიფიქრე, ერთ გაჩერებაზე ფეხით ჩავყვები-მეთქი. „მერანის“ წინ იდგნენ ლევან მალაზონია და ბესიკ ადეიშვილი. ბესიკი ცივად შემხვდა(?!)... ლალიძესთან ოტია პაჭკორია და გურამ ფანჯიკიძე შემოგვხვდნენ. გურამი არ მომესალმა. ოტიამ წიგნებს დახედა. გოგი მაშინვე მათთან „გადავიდა“. გურამი მემღურის, რატომ, არ ვიცი“ (4.12.75). „დღეს შევრიგდით მე და გურამ ფანჯიკიძე. მის მანქანაში ვზივარ და გულახდილად ვსაუბროთ. არაფრის გამო რატომ უნდა დაეუბრო კაცს, მითუფრო, როცა ეს ჩემს ბუნებაში არ არი“ (8.12.75). „წავედი გრიგოლ აბაშიძესთან, ბინის თაობაზე, ფოიეში ბევრი ხალხი ირეოდა. ვიცადე, ვიცადე და წამოვედი, ველარ შევძელი დგომა. გზაზე ვესაუბრე გოგი კაპანაძეს. უსიამო განწყობაზე ვარ.

ვცდილობ განვერიდო ადამიანებს“ (10.12.75).

## კვირა მეექვსე

### 1. კვირა, 20 იანვარი, 2002 წელი.

როგორც კი ბაღში ფეხი შევდგი, გავიხედე, მიჩლატუნობს შეღმართში ის, მხრებში მოხრილი, გაყვითლებული პირისახის, წყალწყალათვალემა. გამარჯობა-თქვა, გავძახე გასაგონად. ერთი უხიაგად გადმომხედა, პასუხი არ დამიბრუნა. რას იზამ, ასეთებიც არიან. ვინ იცის, რას ფიქრობს, სად არი გადახვენილი. საერთოდ ვიცი, რას ვფიქრობ, რატომ ვფიქრობ, სად იწყება ფიქრი, რა ღრანტეებში შედის, სად ნათდება, სად ბინდდება?! ანდა, რასაც ვფიქრობ, ყველაფერს ვუმხელთ ჩვენსავ თავს?! შეგვიძლია შევიცნოთ, რა ჩაბუდებულა ადამიანში?! ამას შეენირა მთელი კაცობრივი სიბრძნე, ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა მაინც უცნობად რჩება პლანეტაზე. ის უცნობია საკუთრი თავის მიმართაც... რომ ავივაკე, წინვარში, გავიხედე – ზედ გზისპირზე ჩამჯდარა, ხელში წკეპლა დაუკავებია, სოხანეზე ჩამჯდარი დედაკაცები მატყლს რომ პენტავენ, სწორედ ისე მინაზე ჩამჯდარა, იქნევს წკეპლას, ვითომც მატყლს პენტავს. გავკვირდი. თავიც არ აუნევი, ვერ დამინახა თუ რა, „საქმე“ გააგრძელა. მურა კაცივით თვალეებში მომჩერებია, ხან იმას შეაჩერდება, ხან მე, კუდს მიქნევს, მეჩვენება, ისიც გაკვირვებულია.

ქალაქში რამე კარგი რომ შენდება, მიხარია. მაგრამ ჩემ სიხარულს ზოგჯერ შავი ღრუბელი ეფინება – არა ვარ დარწმუნებული, მშენებლობა ნაძარცვი ფულით არ ფინანსდება. აი, რა არი უბედურება! მალინდარავ: ნუთუ არ უწყი, შენ სიმდიდრეს მაშინ აქვს ფასი, როცა შენ გარშემოც მდიდრები არიან, როცა შენი ქვეყანაც მდიდარია, ბედნიერია, მართლაც და-

მოუკიდებელი და თავისუფალია. შე ადამიანისშვილო, ამდენი სიდუხჭირე რომ გარს გახვევია, თუ სინდისი გაქვს, როგორ ხარ გახარებული, ბედნიერი, მე შენ გეტყვი, მეცენატობაში გძვრება სული. ქალბატონო და ბატონო პარლამენტარებო, მინისტრებო, სხვანო და სხვანო, ქერიყლაპიებო, ერილლეტიებო, ოცდათხუთმეტათასიან „შუბებსა“ და „დუბლიონკებში“ რომ გამოკვართულხართ, დედისხელა მანდილოსნებსა და შვილისტოლა ბავშვებს ქუჩაში ხელი რომ გაუშვერიათ, როგორ გგონიათ, რა ჰქვია ამას?! შემთხვევით იმათი ნაშეიერი ხომ არ ბრძანდებით, ამილახვრები, ციციშვილები, ბარათაშვილები, ბაგრატიონები, ჭავჭავაძენი, კეთილშობილი ჩამომავლობისანი, სხვანი და სხვანი, ჯერ რევოლუციებში რომ გაანადგურეთ, მერე 20-იანი და 30-იანი წლების რეპრესიებში მოუთავთ ხელი, ხოლო ვინც გადარჩა, ომსა და გადასახლებებში სული წამებითა და შიმშილით ამოხადეთ.

ამ ბნელი ღამით ვილაც

დადის საქართველოში,

ამ ბნელი ღამით –

ვილაცა კვნესის.

(გალაკტიონი)

ვის მოუნდება ამ ქვეყანაში ცხოვრება?! ქუთაისში, უშიშროებაში, ერთ ებრაელს ჰკითხეს, გაბრიელ აბრამიჩს, მეპონჩიკეს, საბჭოთა ჯოჯოხეთს რომ სტოვებდა და თავის პირველსამშობლოს უბრუნდებოდა – თუ იცი, სად მიდიხარო?! – ეგ არ ვიცი, დაგენაცვალე, მარა სიდან მივდივარ, ეგ ფაიზახი ვიციო!.. გამგზავრების წინღამეს, გაბრიელ აბრამიჩის გაცივებული ცხედარი, მეზობლებმა ნახეს, ნახევრადსარდაფში, ხახანაშვილზე, სულ დაპატარავებულიყო

საცოდავი. მარტოხელა იყო. გულგახეთქილი, სკამიდან ჩამოვარდნილიყო, ნახევარი ჭიქა ჩაის დალევდა და რვეულის ფურცელზე ერთი სტრიქონის დაწერა მოესწრო: „უკვე მენატრები, ჩემო ქუთაისოოო...“ იანვარი იყო, ყინავდა, მწარე ქარი უბერავდა, მახსოვს, ქალაქის კაი კაცებმა გაბრიელ აბრამიჩის ცხედარი ებრაელების სასაფლაოზე რომ მიასვენეს...

დაგრჩათ სულდაშრეტილთ და უგულოთ ბურთი და მოედანი, იხვეჭთ, თლით და იხვეჭთ, თლით ამ საცოდავ ქვეყანას, არ დაგელიათ სვავთა მადა. მახსენდება მესინას ტილო – სახემშვენიერი, შავ სამოსში მორთული სალომეა, რა მაყვედრებელი მზერით უწვდის დედოფალს ლაკანზე დადებულ იოანე ნათლისმცემლის ნიმბითმოსილ მოჭრილ თავს, რა ზიზღს ამხელენ მისი თვალები – აჰა, დასტკბიო!.. ნუთუ ვერ ხედავთ, რუსის ხიშტი როგორ ელვარებს კვლავაც სამშობლოს ცაზე?! ნუთუ არ ფიქრობთ, ოხრად დაგრჩეთ ერთ დღესაც თქვენი ბილნიერი მონახვეჭი და ქვეყანაც თავზე დაგვემხოს?!

უკვდავია სული პოეზიისა, მას ვერაფერი ერევა, ვერც დრო, ვერც ჟანგი, რადგანაც სული შეუხებელია უკეთურებისგან. პოეზია შობს წარუვალ ქმნილებებს, სამიდღემჩიო ფიქრებს, მარადადამიანურ ვნებებსაც კი, უარყოფილს თითქმის ყველა რელიგიათაგან, მაგრამ რის გარეშეც არცერთი დიადი ქმნილება არ შობილა. საცა ვნება, გზნება არ არი, იქ არც ხელოვნებაა. გამოაცალეთ ქრისტიანულ რელიგიას გოლგოთის მისტერია, რა დაგვრჩება?! გამოაცალეთ ხელოვნებას ვნებითა და ტანჯვით კათარზისის მისტერია, რა დაგვრჩება?! ხოლო თუ ვნებას უარს ვეტყვით, ხელოვნებაზეც უარი უნდა ვთქვათ, უარი უნდა ვთქვათ ჰომეროსის, მიქელანჯელოს, ბოსხის, ბეთჰოვენის, დოსტოევსკის, რუსთველის,

ვაჟა-ფშაველას ქმნილებებზეც... როგორ გგონიათ, ღმერთმა ბუღბუღი მხოლოდ იმიტომ გააჩინა, საზრდო რომ მოიპოვოს, უქმად გალიოს წუთისოფელი?! ჩვენ გვესმის ბუღბუღის გალობა, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცით, გალობს თუ გლოვობს, იქნებ უფალს ებაასება?! ჩვენ, ადამიანებმა, ბევრი რამ არ ვიცით, ყოვლისმცოდნედ კი მოგვაქვს თავი. როგორც ცაა დაუსრულებელი, პოეზიაც დაუსრულებელია. ვინც დაეუფლება ამ დაუსრულებელს, ის იგემებს მარადისობის ნექტარს.

ღრუბლებო შავო, მზეო საპყარო,  
მე აღტაცების ზღვაში შეველი,  
აღმოვაჩინე მთელი სამყარო,  
ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.  
(გალაკტიონი)

## **2. ორშაბათი, 21 იანვარი, 2002 წელი.**

ყინავს. მშვიდი დილაა. ჰავლაბარში ნისლია, ბუნდოვნად ჩანს ნმიდა სამების მშენებარე ტაძარი, უკვე გუმბათის ყელი ამოყავთ. რეკს მისი ზარი, ყველა ზარში ვარჩევ (ამბობენ, გერმანიაში ჩამოასხესო). ყვითელი მზე ანათებს ნარიყალას, მამადავითს, ფუნკულიორს. ნეტა მალე დათბეს.

ჩიხში რასიმა მხვდება, მეუბნება:

– მიდი, ლერი-ჯან, ყლაპე ჰაერი, მინამ მუქთია, რა იცი, იქნება ხვალ პირზე სოჩიკი დაგადონ! – მეღიმება... ბალში ჩიტები არ ჩანან, არც შაშვი, არც ბელურა, რაშია საქმე?!

გავედი მაღაზიაში, არცერთი წიგნი არ გაყიდულა – არც უპანიშადები, არც „დაო დე ძინი“... კარდიოლოგმა ხელმეორედ გამსინჯა, ფილტვების შეგუბება

გაქვსო. დამინიშნა წამლები, მაგრამ ფული ფაფუ, არ არი... სალამოხანს ამინია წნევამ, ტახიკარდიამაც მიმატა. მაინც ავდექი და რის ვაივავლახით ლერ-მონტოვზე ავედი, ძველ მეგობარს, დუქან „რაჭის“ პატრონს, გროშები ვესესხე. ვიყიდე წამლები, პური, ვაშლი. ტელეფონი ისევ გათიშულია.

არაფერი ამ პარლამენტს, ამ ხელისუფლებას არ ადარდებს, ყველაფერზე ლაპარაკობენ, გარდა აფხაზეთისა, გარდა სამაჩაბლოსი. არადა, დილა რომ გათენდება ვიდრე დაღამებამდე, სხვაზე რაზე უნდა იყოს დავა, დისკუსია?! იმაზე დიდი სირცხვილი რა შეიძლება იყოს, უნიჭო კაპელმეისტერივით აფხაზი ჯოხს აგიქნევს, ქართველმა კოდორის ხეობიდან ჯარები გაიყვანოს?! რუსი აქეზებს, რასაკვირველია, – გაგაყვანინებს ჯარს, მერე შემოგივარდება, ქართული მიწის იმ პატარა ნაგლეჯსაც წაგართმევს, სვანები თავგანწირვით რომ იცავენ. გამოდიან ტელევიზიით დავით თევზაძე, მალხაზ კაკაბაძე, ბევრი სხვაც, ხალხს არწმუნებენ – არაფერი ამას ავი არ მოყვებაო. ბრიყვები არიან თუ ჩვენ გვაბრიყვებენ, არ ვიცი – რუსის ნდობა შეიძლება?! არ მიინდა ვიფიქრო, ამ ვაჟბატონებს რუსებთან კუდი გადაუფსკვნიათ-მეთქი, მაგრამ ერთი რამ ცხადია – რუსეთის იმპერიის ორასწლიანმა ქვეშევრდომობამ აღარ უნდა გამოგვაფხიზლოს, ველარ უნდა შევიგნოთ, ვისთან გვაქვს საქმე?! რამდენჯერ უნდა გავაცუცურაგოს ამ წყეულმა რუსმა?! ველარ უნდა შევეძლოთ, სატანის ჩურჩულსაც რომ ყური არ მივუგდოთ?! ოქრო ცეცხლში გამოიცდება, კაცი და ქვეყანა – განსაცდელში.

ათრობდა ხალხთა მწუხარება, სისხლის აუზი,  
მისი სასახლე მონად ჰყავდა აღფრთოვანებას,  
მოლალატეთა შთაგონებით სცემდა ბრძანებას



და მედიდურად ხელს ანერდა ნიკოლაოზი.

ლაჩარი იყო, ქვეყნის ბედი, ღელვა, ქაოსი  
ფრეილინების და დედოფლის ჟინს მიანება,  
ჩვენ კი სიმართლის ციხეებში დაგვიანება  
გულს გვისერავდა, როგორც ზარი სასაფლაოსი.

(გალაკტიონი)

ხოლო მე ისევ ალუდაზე ვფიქრობ.

პოემაში მოქმედება იწყება გამთენიისხანს, ცის-  
კრისას, მზის ამოსვლამდე. ის შინაგანი გასხვივოსნე-  
ბა, ანუ ფერიცვალება, რაც ალუდაში მოხდა, არ შეი-  
ძლება დღის რომელსამე დროს მომხდარიყო. არა  
იმიტომ, ცისკარსა და გაცისკროვნებას ერთი ძირი  
აქვთ, არამედ იმიტომ, თვით ბუნებაა ამ დროს დია-  
დი, მშვიდი, ჩუმი, ისეთი ზემოქმედების ძალა აქვს, ამ  
დროს შეიძლება მოხდეს ადამიანში სულიერი გაღვი-  
ძების, განახლების აქტი. მხოლოდ დანშენდილ გონე-  
ბაზე, აუმღვრეველ სულში შეიძლება მოხდეს შინაგა-  
ნი გაცისკროვნება.

ცისკრის ხანია, მტერს მისდევს  
კლდის შავარდენი ჩქარიო...  
გათენებისას ჭიუხში  
შურთხმა დარეკა ზარიო.

გვამცნობს პოეტი. ეს იდუმალი, ანუ ბუნებისგან  
უკვე გაცხადებული ძახილი შურთხისა მაცნეა იმისა,  
რომ რაღაც დიადი უნდა გვეუწყოს, რაღაც მნიშვნე-  
ლოვანის მონმენი უნდა გავხდეთ.

### **3. სამშაბათი, 22 იანვარი, 2002 წელი.**

ამ დილას „ალიონში“ ჟურნალისტი ეკითხება ერთ

ბაკურიანელ ოთხმოცი წლის ქალბატონს, ფარდაგების მქსოველს, გვარად ზედგენიძეს: ყველაზე დიდი ერთი რა სურვილი გაქვთო. დღეს, როდესაც სამშობლოს ცნება თითქმის დევაღვირებულია, ყური მიაკყარით, რას პასუხობს ეს ქალბატონი: ჩემი სამშობლო დაწყნარებული მენახოსო. აი, ქართველის დედის ხმა, ისტორიულ ქარტახილებში ჩვენამდე ექოდ მოღწეული, უწინარესი სურვილი უწინარესთა შორის, ყველაზე წრფელი, მართალი. პირდაპირ თვალწინ დაგიდგებათ ილია ჭავჭავაძის ქართველის დედა:

აქ არის, დედავ, შენი მაღალი  
დანიშნულება და საღმრთო ვალი!

ამისი ნახევარი აზრი და სინრფელე ჩვენს ხელი-სუფალთ რომ ედგათ გულში, რა გვიჭირდა. უდედმამო ბავშვთა სახლებში სტუმრობა და ბალიშა კამფეტებისა და გამხმარი პეჩენიების ჩამორიგება უშველის ჩვენს წამხდარ საქმეს?!

ენგურის ხიდთან, აფხაზეთიდან ლტოლვილებს სამაჩაბლოდან ლტოლვილებიც შეუერთდნენ, ვფიქრობ, მასშტაბური გახდება აქციები. მართალია, რუსის ჯარი უნდა გავიდეს, ჩვენ შეგვწევს ძალა, ჩვენსავე თავს მივხედოთ, თუ ერთიმეორეში თანხმობა, თანამოქალაქეობა იქნა. არც ეს გაეროა აქ არაფრისმაქნისი, რუსეთს კუდს უქიცინებს.

და მე ისევ ალუდაზე ვფიქრობ.

ალუდა კლავს მუცალს და იმის ნაცვლად წესი აღასრულოს, ხდება საკვირველება:

ალუდას თოფი არ უნდა,  
ატირდა როგორც ქალიო,

არ აჰყრის იარაღებსა,  
არ ეხარბება თვალიო.

აღუდა ატირდა. და ატირდა არა უბრალოდ, ატირდა როგორც ქალი. აქ რაღაც უეცარ ხილვასთან გვაქვს საქმე და არა მიწიერად კაცისაგან კაცის შებრალებასთან. ასე რომ ყოფილიყო, აღუდას მხოლოდ დაენანებოდა მუცალი, როგორც კაცს კაცი, წესსაც აღასრულებდა და „დავლათიანიც“ დაუბრუნდებოდა შატილიონელებს. მაგრამ ეს ცრემლი რიღას ნიშანია?! გენიოსი ხომ მეტაფორებს უბრალოდ არ ფლანგავს. სწორედ ეს ცრემლია იმის მაუწყებელი, რომ აღუდა ქეთელაურში მოხდა უეცარი შინაგანი გაცისკროვნება, უეცარი ფერიცვალება, მის სულს უეცრად დაეუფლა რაღაც დიადი. მაგრამ, რასაკვირველია, ეს აქტი ამგვარად არ გაცხადდებოდა, რომ აღუდა საამისოდ შინაგანად მზად არ ყოფილიყო. აღუდას არსებაში რომ არ გამეცნებულებოდა ამ ბრძოლის სრული უაზრობა, რომ ქისტი მუცალიც მასავით „რჯულიანია“, მასავით რაინდია, მის სულში გაცისკროვნება არ აღსრულდებოდა. რატომ იტირა აღუდამ?! მან ხომ იქვე, რამდენიმე წუთის წინ, მუცალს ძმა მოუკლა, მარჯვენაც ისე მოსჭრა და თოფიც ისე აართვა, წარბიც არ შეუხრია:

ტახტაზე დაუკიდებავ  
მუცალის ძმისა მკლავია.

ისეთ ვაჟკაცს, როგორც აღუდა ქეთელაურია, მტრის მოკვლა არათუ ცრემლს, სინანულსაც არ აღუძრავდა. აღუდა მოხიბლა ქისტის რაინდულმა სიკვდილმა, იმის სრულად გამეცნებამ, რომ ისიც მისებრი ვაჟკაცია და შეებრაღა. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა, ანუ გარეგნული მაორგანიზე-

ბელი ფაქტორია, რაც იქცა ალუდას შინაგანი აკუმულირებელი ენერჯის უეცარი გამოვლენის, მსოფლმხედველობრივად მისი სხვადექცევის, ანუ მისი გაზეკაცების წყაროდ. ამგვარი მაგალითები ბევრი ვიცით მსოფლიო ლიტერატურაში (დოსტოევსკის ბერი ზოსიმე და სხვ.). ამის დასტური თუნდაც „ვეფხისტყაოსანია“, მისი დიადი, ცრემლით გაცისკროვნებული პერსონაჟები. ამის არაერთ მაგალითს გვიმონწმებს ასევე ბიბლიაც.

#### 4. ოთხშაბათი, 23 იანვარი, 2002 წელი.

გული მტკივა. გუშინ დავინყე წამლების მიღება, ნიტროსორბიდისგან თავი მტკივა. მაინც გავდივარ ბოტანიკურში. მზიანი დილაა, საამოდ ყინავს. ჰაერი ცოტა მშველის.

როგორც ლანდი, ისე ვარ  
და ეს ფიქრი არ მიდის.

(გრანელი)

ჩიხში თათარი რასიმა მხვდება, ისეც თავისას არახუნებს:

– ერთი იადერნი ბომბა, ლერი-ჯან, მილიარდი ღირს (საჩვენებელ თითს ჰაერში ათამაშებს), ერთი მილიარდი, მეტი არა... მილიარდი რა არი, ლერი-ჯან, არაფერიც არ არი... იყიდიან და ჩამააგდებენ, ყველაფერიც მორჩება... მა რა, სწორე არა ვარ, ლერი-ჯან, ავლანეთი დაანგრიეს, ეხლა ოთხი მილიარდი მისცეს, რო ააშენონ, ეშინიათ და იმიტომ!.. – აი, ასეთია რასიმას შეურყეველი „კონცეფცია“.

მე კი ისეც ელიაზარზე ვფიქრობ.

ერთ დღეს, უცაბედი ალგზნების ჟამს, ჭაბუკი ელიაზარი ბუხრიდან ნეკვერჩხალს ამოიტაცებს და

ხილვებში მოლანდებულ გოლიათს პალატის კედელზე გამოსახავს. ასე დაინყება ამათ შორის ათასწლებში ჩარღვეული კავშირის აღდგენა. და ელიაზარს ეჭვიც აღარ ეპარება, რომ ეს გოლიათი თავად არის, მისი ოდინდელი სახე-ხატია: „ვერ ვეტივეი სადგომში, გამოქვაბულში შემწყვდეული გოლიათივით ვბორგავ“. მორჩა, ამათი დაშორება აღარავითარ მიწიერ ძალას აღარ ძალუძს. მან არ იცის გოლიათის სახელი, არც არასოდეს ეცოდინება, მაგრამ მისი მახსოვრობა, ხილვები, გამოცხადებანი, სრულად მისი საარსო მასზე ფიქრს დაუპყრია, წამი არ არი, მასზე არ ფიქრობდეს: „შუალამე რო გადავა და მთვარე პალატში ჩამონათებს, ამოვა ბუხრის ფრთაზე ნაკვერჩხლის გოლიათი, პირქუში, დაყმენდილი, მგონია რაღაცას მეჩურჩულება, მგონია მიხმობს“. დაუცხრომლად ეძიებს ყოველგან, წამითაც მუხლი არ ჩაუდრეკია, მისი ზეკაცური სახე-ხატი რომ არ დაშრეტოდა, გაღვიძებულიყო მის წიაღში, ანუ ის გაღვიძებინა თავის წიაღში, აღმდგარიყო მასში და საღმრთო საშრომელით – ხელოვნებით ეძლია ავ ძალთა ყველა დაბრკოლება, როგორც მაშინ, როდესღაც, ამირანმა ცეცხლისმფრქვეველი ლახტით როს სძლია დევებს, დევთა ნაბიჭვრებს.

## **5. სუთხაბათი, 24 იანვარი, 2002 წელი.**

დღეს, რუსთაველზე, ძველი ტელეგრაფის შენობასთან, ბიგელებჩამოშვებული ორი ტროლეიბუსი იდგა. ტანში უამურად გამაჟრჟოლა. რამდენი რამე გამახსენა ამ სურათმა, სწორედ ამ ადგილას: 1956 წლის 9 მარტი, 1978 წლის 14 აპრილი, 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების დეკემბერი-იანვარი.

აღარ კმარა!

ისევ დიდი გალაკტიონის სტრიქონები უნდა მოვიშველიო.

ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,  
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,  
მზეო თიბათვისა, ამას გვევდრები.

დღეს საქართველოში გამირობაა მწერლობა, მთარ-გმნელობა. იგნორირებულია კულტურა, ხელოვნება. იმ ტიტანური შრომის საზღაური, რასაც ჩვენი მთარგმნელები ქმნიან და ურომლისოდაც წარმოუდგენელია ყოველი ქვეყნის კულტურა, ერთი ბოთლი ლუდის ფასია, იმავე რანგის ევროპელი მთარგმნელები და მწერლები საკადრისად ცხოვრობენ. რატომ?! ფუფუნებისმოყვარენი, მომხვეჭელნი არიან და იმიტომ?! არა. თავიანთი ღვანლით იმსახურებენ ამას, უკეთესი და უკეთესი ქმნილებებით რომ გაამდიდრონ ევროპული კულტურა. ჩვენ კი კომუნისტურ-ტოტალიტარულ რუტინას თავი ვეღარ დავაღწიეთ, მგონი, გადავუსწარიტ კიდეც. პარლამენტში ვილაც ბლენძები ამტკიცებენ – მწერალს რა გასამრჯელო ეკუთვნის, რამე მატერიალურ ღირებულებას ქმნის თუ რაო. რა ენაზე გინდა ამ ხალხს ელაპარაკო?! როგორც აბრეშუმის პეპელას აღარ ძალუძს დაუბრუნდეს პარკს და იქცეს მუხლუხოდ, ისე არცერთ ამათგანს აღარ ძალუძს თავის ახლით შვა, მეტი არ იქნა ჩემი მტერი!

დავით მეფის აღსარება „გალობანში“ ზოგჯერ არ ემთხვევა ისტორიკოსის გადმოცემებს, პირიქით, ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვანაირ შეფასებას აძლევს აქეთ ხელმწიფე, იქით მემამტიანე – შორიდან მხილველი მეფეთა საქმენისა, ხოლო ხელმ-

ნიფე – მონაწილე და მოწმე საკუთარი საქმენისა, თვითგანმსჯელი ქრისტიანული ეთიკისა. რაც მემატრიანეში აღტაცებას იწვევს, ის ხელმწიფისთვის მწუხარების წყაროა, თვითმსჯავრია. თუ მემატრიანე დავითის საქმეთ განიხილავს როგორც მეფისას, როგორც დასტურს ხელმწიფური სიდიადისას, – „და იწყო რბევად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშურებოდა, არცა მოენწყინებოდა“, „დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანა მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი. მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტუერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათი.. მეფენი, გოლიათნი, გამირნი კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვანნი... ყოველსა საქმესა შინა“. ხოლო დავითი თავის საქმეთ განიხილავს წმინდა ადამიანური, ანუ ქრისტიანული პრინციპებიდან, მარტოდ დარჩენილი უფალთან და საკუთარ თავთან. ოდეს დიდება ჩემი და მეფობა „წარხდეს“ და „სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგენ სპანი“, „მამშინ შემინყალე, მსაჯულო ჩემოო“, ევედრება უფალს.

## **6. პარასკევი, 25 იანვარი, 2002 წელი.**

რუსის ჯარი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს საქართველოდან. უბედურების მეტი რა მოაქვს?! დღეს რა ისეთ სიზმარს ნახავს, ფარჩა-ნოხებს დაგვიფენს, ფიანდაზად ფეხქვეშ გაგვეგება?! მისი აქ ყოფნა, წარსულშიც და დღესაც, არი „ეკუცია“, როგორც ნინოშვილის პერსონაჟები ამბობენ. იქიდან დღემდე, ჩვენდა საუბედუროდ, არაფერი შეცვლილა. ამ „სამშვიდობების“ ხელმა, ვინ იცის, რამდენი ქართველის სიცოცხლე შეინირა. მარტო მტრის ხელმა?! მოდით, გვეყოს ვაჟკაცობა და, ვთქვათ: მარტო ბოლო ათი წლის განმავლობაში, რამდენი ქართველი დაიღუპა

ქართველისავე ხელით?! ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, საკუთარი ცოდვებისკენ გავიშვიროთ ხელი, სხვათა ცოდვებში ხელების ფათურს თავი დავანებოთ, სხვებს თავისიც ეყოფათ... მე იმერელი ვარ, მე მეგრელი ვარ, მე გურული ვარ, მე კახელი ვარ, მე სვანი ვარ, – გული გვაქვს შენუხებული ამ ეთნოგრაფიული ცრუპატრიოტიზმით. ხომ ხედავთ, საქართველოში რამდენი იმერელია, რამდენი მეგრელია, რამდენი გურულია, რამდენი კახელია, რამდენი სვანი თუ ხევსურია – ღმერთმა ამრავლოს მრავალჟამიერ, მაგრამ, სამწუხაროდ, რა ცოტა ქართველია. სანთლით საძებარი გახდა საქართველოში ქართველი. ამ „თბილისელობით“, ამ „ქალაქელობით“ ტყლარჭვამ ხომ გულების პრანჭვა დაგვმართა. ამ „კარენოი“ თბილისელებმა დაგვისახელონ ნიკო ფიროსმანაშვილისნაირი, გალაკტიონ ტაბიძისნაირი, ტერენტი გრანელისნაირი თბილისელები და კრინტს აღარ დავძრავ. ეს პროვინციალური კოკობზიკობა, არაფერში რომ არ სწერია, აღარ უნდა დამთავრდეს?! ცნობიერების ამგვარი დაშლა-დაქუცმაცება, სულიერებასაც რომ ანანევრებს და ხორციელებასაც, მტრის ნისქვილზე ხომ არ ასხამს წყალს?!

დღეს თამუნა ნასყიდაშვილი იყო ჩემთან, „ქრო-ნი-კების“ აკრეფილი ტექსტი ამომიტანა, საკორექტუროდ. გულისხმიერი, გონიერი გოგონაა, შენუხებულია, თაობებს შორის რომ ხიდია ჩატეხილი. მაგალითად მწერლობა მოიყვანა. მართალია თამუნა. ჩვენი თაობა უფროს თაობასთან მეგობრობაში ვყალიბდებოდით. ჩვენ ვუსმენდით მათ, ვსწავლობდით მათგან. ისინიც გვისმენდნენ ჩვენ, ისინიც სწავლობდნენ ჩვენგან. ამ უერთიერთკრძალვაში სიყვარული იყო. მე ჭემმარიტად ვამაყობ ოთარ მამფორიასთან, აკაკი ბაქრაძესთან, ანზორ სალუქვაძეს-



თან, გივი ძნელაძესთან, გურამ ასათიანთან, დემნა შენგელიასთან, ზაურ ბოლქვაძესთან, ოტია იოსელიანთან, მურმან ლებანიძესთან, ოთარ ჭელიძესთან, რეზი თვარაძესთან, ჭაბუა ამირეჯიბთან, იორამ ქემერტელიძესთან, ოთარ ჭილაძესთან, ელგუჯა მალრაძესთან, შალვა ალხაზიშვილთან, ოტია პაჭკორიასთან, თამაზ ჩხენკელთან, ზურაბ კიკნაძესთან, ლევან მალაზონიასთან, ბესიკ ადგიშვილთან, ვახუშტი კოტეტიშვილთან, გოგი ნიშნიანიძესთან, გივი შაჰნაზართან მეგობრობით. რომელი ერთი. მე ბევრი რამ ვისწავლე მათგან, უწინარესყოვლისა, ცხოვრება.

დავით მეფის სიბრძნე, გონიერება, ქრისტიანული გულმეცნიერობა თანამედროვეთათვისაც კი ბოლომდე გაუმეცნებელი იყო. ისინი დავითში, უმთავრესად, მხოლოდ საერო კაცს ხედავდნენ, მეფეს, მხედართმთავარს. ეს დასტურდება თუნდაც ერთი ეპიზოდით. ქართველთა და სომეხთა შორის დავა ჩამოვარდნილა რელიგიურ საქმეთა გამო. შეიკრიბნენ სასულიერო პირნი, მოძღვარნი, მეცნიერნი, აქ ბრძანებულა არსენ იყალთოელიც. „მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათოლიკოსსა ქართლისასა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა, და არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა, და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა“. გაიმართა ცხარე კამათი, სჯა. თითქმის მთელი დღე იდავეს, შედეგს კი ვერ მიაღწიეს, პირიქით, რაც მეტს დავა-პაექრობდნენ, მით მეტად ჩიხში შედიოდნენ. „და ვერას უძლეს დაბოლოებად“, გვამცნობს მემატყიანე. ბოლოს, მოკრძალებულად, დავითი ითხოვს სიტყვას. ის ამბობს სიტყვას საკვირველს, „რომელსა ღმერთი მოსცემდა

უეჭველად პირსა მისსა. ესეოდენტა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, ახსნათა საკვირველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა, რომელითა დაანთქნა, ვითარცა მეგვიპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა“. ყველანი გაცვიფრებულნი არიან, აღიარებენ თავიანთ უმეცრებას: „ჩუენ, მეფეო, მონაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენტა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამეხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიმნუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქვენნი“.

## **7. შაბათი, 26 იანვარი, 2002 წელი.**

დღეს კანცელარიაში, „კურიერი“ გვამცნობს, ანტიკორუფციული საბჭო შეკრებილა. არ იკითხავთ, რატომ?! კორუფციას უნდა ებრძოლოს. ჩვენში ასეა: კორუფციასთან „მებრძოლნი“ მანამდე „ებრძვიან“ კორუფციას, ვიდრე თავადვე კორუფციაში არ ჩაიხრ-ჩობიან.

ამასწინათ, გამოდის პარლამენტში გია არსენიშვილი, სახელმწიფო მინისტერი, აცხადებს: ახლა მივიღოთ ეს ბიუჯეტი, ოთხი თვის თავზე, სიტყვას გაძღვეთ, ყველაფერი კარგად იქნებაო. შე ჩემო კეთილო, ამდენი ხანია არაფერი შეგისრულებია, შენს ფიცს ანი კაცი ენდობა?! დაგვცინიან, რად უნდა ლაპარაკი. თუმცა საკითხავია, ვის რას შეუსრულებს ბატონი მინისტერი... მწერალთა ყრილობაზე, მახსოვს, აბუჩად აგვიგდო – ძაღლებს შეგვადარა. ჯიშინი ძაღლები უძლებენ, თქვენ რა, უჯიშო ძაღლები ხომ არა ხართ, შიმშილსაც უნდა გაუძლოთ, სიცივესაცო. რა ამოვიკითხოთ ამ მენტორულ დამოძღვრაში?! – მოდი, მწერალო, შენ მოთმინება იქონიე, მე

მოვიხვეჭე, მოვინაგრებ, შენ, მშიერმა, გათოშილმა იღვანე, ხმაც არ გაიღო, სირცხვილი არ არი, უჯიშო ძალლი ხომ არა ხარო?!. რომ გვამუნათებ მწერლებს, ჩემო ქერიყლაპიავ, სხვა უფრო ღირსეული საქმე არ გაქვს?! ვინ ვინ და შენ ნამდვილად ვერ გვასწავლი „ჭირსა შიგან გამაგრებას“. ჩვენ ილიას ნაშიერნი ვართ, ყოველდღე ვჭვრეტთ მის თვალეებში ჩამდგარ კაეშანს, რაც ამ შეჭირვების ჟამსაც ძალას გვაძლევს, მივუჯდეთ სანერ მაგიდას, ყინვასა და შიმშილში ღამეები ვათენოთ, შენს შვილებს, შვილიშვილებს ბოროტისაგან კეთილი რომ გამოვურჩიოთ, ისიც შენნაირი ერილღეტია რომ არ გამოვიდეს. თუმცა, აქამდე არაფერი გაგიგია, შენ ანი რამეს გაიგებ, მეტი არაა ჩემი მტერი?!

ვმკურნალობ, მაინც ცუდად ვარ. ექიმმა სტაციონარი მირჩია, მაგრამ ფული – ფაფუ!.. ვინ იცის, დღეს მერამდენეჯერ გათიშეს შუქი. როცა სინათლეა, ვახერხებ მუშობას. ახლა იძულებული ვარ ვინვე, ამ საყინულეთში რა ვაკეთო?!

არქივს ვათვალიერებ.

აგერ, ჩემდამი მოძღვნილი ლექსის ხელნაწერი ჯემალ რატიანისა, რომელმაც ჩვენს მწერლობას რამდენიმე რომანი და საგულისხმო ლექსების წიგნი შესძინა.

ტბა ქოხმახს გველივით გარს შემოხვეოდა,  
ჩვეული სისინით სიყვარულს უხსნიდა,  
ტალღები უჩინრად ქოხს ძირს უთხრიდნენ და  
ქოხი, მარტოდ მდგარი, ვილაცას უცდიდა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოდან“,  
სა-დაც 1967 წლიდან ხშირად დავდიოდი გრანელის

წიგნის გამოსაცემად, მე და გივი შაჰნაზარს, ჩემს უფროს თანასაკოლელსა და ერთუბნელს, რომელიც გამომცემლობაში მუშაობდა, ვინ იცის, რამდენჯერ ამოგვივლია გულგია საუბარში ელბაქიდის შეღმართი. ის რომ შესანიშნავი მოქართულე და მთარგმნელი იყო, ვიცოდი, მაგრამ თუ ასეთივე პოეტიც იყო, დახვეწილი დეკლამაციით წაკითხული მისივე სტრიქონებიდან გავიგე. ამან უფრო მეტად გაგვიხსნა ერთმანეთისადმი გულისკარი. მე ჩემსას ვუზიარებდი, ის თავისას, დღესაც ამ წრფელი თანადგომით ვაგრძელებთ ცხოვრებას. მისი ერთი ხელნაწერი ეპიტაფიაც „ადამის ძე“, სწორედ ამ ძმობის საწინდრად შემოუნახავს ჩემს არქივს:

თვალედათხრილი ფრინველივით ბორიალობდი,  
უიღბლოდ ნახველ... შემზარავი შენი ცხოვრება  
ჰგავდა შეცდომით დამარხულის გამოღვიძებას  
ბნელ სამარეში!..

აი, ციცოს წერილებიც, სამშობიაროს პალატიდან მოწერილი – ჩემი გიორგი ხომ 1987 წლის 6 თებერვალს გამოეცხადა ქვეყანას. „გილოცავ გიორგის მოვლენას, – მწერს ციცო, – ძალიან ჭკვიანი სახე აქვს. დიდი ბიჭია. აქვე იყავი, არ მიმატოვო“, „ყველას მადლობა, ვისაც ჩემი გადარჩენა გაეხარდა და გიორგი დალოცა – მწვანეთვალეა გიორგი“, „გიორგი ანგელოზებს უღიმის. ო, რომ იცოდე, რა ღიმილი აქვს – ულამაზესი“, „გიორგი ნამდვილად კარგი ბიჭია. სულ არ გავს ახალშობილს, უფრო დიდსა გავს და გაგიჟდები, ისეთი აზრიანი გამომეტყველება აქვს. აბრიალებს თვალებს და არი, ნიკაპზე „ღვთის ნათითარი“ ატყვია“, „გიორგი ვაჟკაცურადაა. რას ვაკეთებ რომ იცოდე, მშიერი რომ არ მყავდეს. ვერ იტანს შიმშილს. თუ აჭამე, არი გაბუსუნებული“... აგერ, ჩემი წერილის

პასუხად ბათუ დანელიას 1986 წლის წერილი მოსკოვიდან, სიყვარულით, იუმორით, მეგობრობით გამთბარი. ვთხოვდი უპანიშადების გერმანული თარგმანები მოეძია – ის ხომ იმხანად იქ სწავლობდა, გორკის ინსტიტუტში, მოუწადინებია და რალაცისთვის კიდევ მიუკვლევია.

დღიურში ჩამინერია: „წუხელი ოთხ საათზე გამეღვიძა, სიმივით დაჭიმული ვარ. დიდხანს არ დამეძინა. მერე ჩამეძინა და გამთენიისას ძილში ცუდად გავხდი. ვერ ავხსნი, რალაცნაირი ყოფა იყო. თითქოს ტალღასავით მიშხუოდა რალაც თავში, დამარტყამდა, გაივლიდა. რამდენიმეჯერ განმეორდა. დაძინების მეშინოდა. მერე, ძილში დამარტყა, უფრო სწორად, კომმარში, დამარტყა და გაჩერდა. ძლივს გავიღვიძე. ეს უკვე თხუთმეტი წელია მემართება. დილას ძალაგამოლეული ვდგები, გამოფიტული, თითქოს მაგრად გაველახოთ... დღეს გრიგოლ აბაშიძესთან შევედი, იქვე კარლო კალაძე იჯდა. მე ავუხსენი ჩემი მდგომარეობა. ყველაფერი ვიცი, კრება იქნება და იქ გადაწყდება შენი ბინის საქმეო. კარლომ იხუმრა: „და პოეზიის ალით მონაკიდს, მე ვუთმობ ბინას ალიმონაკის“... „წელან, შუადღისას, ბესიკ ადგიშვილი მესიზმრა“ (10.12.75). „დღეს მე და იურა ბაქანიძე ვიყავით მწერალთა კავშირში, ბინის თაობაზე. მდივნები არ იყვნენ. ისევ „უბინაოდ“ დავრუნდით“ (16.12.75). „დღეს, ნაშუადღევს მერე, ძალიან ცუდად ვარ. ნერვები აღარ მყოფნის, აღარ შემიძლია მეტი. სიმშვიდე მინდა, სიმშვიდე. გული ცუდად მაქვს. მეზობელს კარდიამინი გავაკეთებინე“ (17.12.75). „დღეს ისევ ნერვები ამეშალა, ჩვარივით ვგდივარ... წუხელ ბესიკ ადგიშვილი მესიზმრა. ვთხოვ, შენი ლექსები წამაკითხე-მეთქი. თავს იქნევს, არაო. მერე, მგონი დამთანხმდა. ვეკითხები, ნაწყენი ხომ არაფერზე ხარ-მეთქი. მერე აღარ მახსოვს“ (18.12.75).

„სანაპიროზე მივდივარ, უცებ წარმოვიდგინე: ვითომ მოვკიდე ხელი „ქვენარმავალს“ და ვგუდავ. მომცვივდნენ მეზობლები, გავყარე ყვირილით. მერე ბეჭში დანა ჩავარტყი, გადმობრუნდა და გასისხლიანებული ხელებით წივის: „ნუ მომკლავ!“ მე ვყვირი: „რატომ, არ ხარ ღირსი?!“ და მკერდში ვურტყამ გრძელ დანას“ (18.12.75). „ნუხელ ბაადურ ბალარჯიშვილი მესიზმრა. ვითომ უცხოებთან ვიდექი, მომხედა და უბრად ჩამიარა... გული ცუდად მაქვს, მეპარებასავით, რალაც ავის მოლოდინში რომ მემართება ხოლმე, ისე“ (22.12.75).

## კვირა მეშვიდე

### 1. კვირა, 27 იანვარი, 2002 წელი.

ბაღში ვერ გავდივარ. გული მანუხებს, სიცივეა. ვსვამ ნამლებს, მაგრამ შედეგს ვერ ვაბყობ. შუქი არ არი, სითბო არ არი. მუშაობა მინდა, არ შემიძლია. ვწევარ. ეს უფრო ამძაფრებს ჩემს ნუხილს... რა მინდა აქ, ვფიქრობ, აქ რამ მომიყვანა, ვინ?! ეს ბინა ჩემთვის უცხოა, სასტიკად უცხო, მეც აქ უცხო ვარ. აქაც ვარ, არც ვარ აქ. მინდა ავდგე, გავიქცე... კიბეზე ფეხის ხმა მესმის, ვხედავ, ის იხედება ფანჯარაში, პირდაპირ მინაზე მოუბჯენია შუბლი, თვალებს აცეცებს, აქაურობას ათვალეერებს. აქ ვის ეძებს, რას ეძებს?! ტახტიდან ვიხრები, იატაკიდან ფეხსაცმელს ვიღებ, ფანჯარას ვესვრი. შორდება მინას.

ქარმა ფანჯარას ფრთები მოარტყა,  
ეს მოლანდება მაინც რა იყო?  
თითქოს ვილაცა კარებს მოადგა  
და თითქოს უცებ კარი გაიღო.

(გრანელი)

ამასწინათ „60 წუთში“ გადაცემა ვნახე, რა დანაშაულებებს აღარ სჩადის პოლიცია, ვინ არი გამკითხავი. შეიძლება პოლიციამ ქუჩაში გაგაჩეროს, რამე პროვოკაცია მოგიწყოს, ვირის აბანოში გიკრან თავი, ან, ამათგან გასაკვირი რა არი, მოუსაველეთშიც გაგამგზავრონ, – აქ ხომ კანონი არ კანონობს. ან ეს პარლამენტი ნეტა რა საჭიროა, თავადვე არღვევენ კანონს. ტოტალიტარული რეჟიმიდან აქეთ ნაბიჯი წინ არ გადმოგვიდგამს, ისევ ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, სუსლოვისდროინდელ ეპოქაში ვართ. საკვირველია, რატომ სწირავენ ქვეყნის ფუნდამენტურ ღირებულებებს, თუ მსგავსი რამ აქ დეკლარაციის დონეზე

მაინც არსებობს, ვილაც რიგითი მილიციონერის დანაშაულს, მის აღვირახსნილობას, რაშია საქმე?! არავითარი მოტივი, მხოლოდ აგრესიით ტკობა?! სტუდენტი ვარ, ქუთაისში, 1962-1963 წლები იქნება. დილაა, ხაზვის გამოცდაზე მივდივარ. ტროლეიბუსში ავდივარ, რა დამავინყებს, მტაცეს ხელი, მილიციაში გამაქანეს, – ჯიბის ქურდიაო, ამ სტატუსით ჩააბარეს ჩემი თავი მორიგეს. მორიგემ ამხედ-დამხედა, – რიონგამოღმა ყველას ვცნობ, შენ ალბათ ახალი დანყებული გექნებო და საერთო კამერაში მიკრა თავი. მთელი დღე მაყურყუტეს. სალამოს, „აფხოდზე“, მილიციის უფროსმა მორიგეს უბრძანა – ამას თმა გადაპარსეთ, ქალაქის კედლის გაზეთში გამოაკარითო. როგორი დასანახი ვიქნებოდი. მოგვიანებით ბიძაჩემს რომ არ მოეკითხა, რით დამთავრდებოდა ეს ვითომ „უწყინარი“ ისტორია, ღმერთმა უწყის.

როგორც ცა და მიწაა მარადიული, ისე პოეზიაც მარადიულია. როგორც ცა და მიწა სანაცვლოდ არაფერს ითხოვს, არც პოეზია ითხოვს სანაცვლოდ არაფერს. დიდი ილია აკი ბრძანებდა: „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“ ამასვე ბრძანებდა გალაკტიონი: „თუ ვერ გაიგეს წმინდა გენია დღეთა მნათი, არც მათი დაფნა მინდა, არც ტაშისცემა მათი“. ამასვე გრანელი: „სადღაც დიდი ტაშისცემა ისმის, სხვათაშორის, მწუხარეა ვილაც“. ჭეშმარიტი პოეტი არ ითხოვს დიდებას, ხალხის გრძნობებით არ მანიპულირებს. ის მორჩილია, მორჩილებს ცასაც, მიწასაც, ხალხსაც, ამ მორჩილებით ის მოძღვარია. ის იმათი მოძღვარიცაა, ვინც ქედმაღალია, ამპარტავანია, პოეზიით ალბობს იმათ მედიდურობას. ის ნიადაგ მატერიალურ სანუთროს ებრძვის, როგორც ნიკო ფიროსმანაშვილი, როგორც ტერენტი გრანელი,



როგორც გალაკტიონ ტაბიძე.

სძულდა ქვეყნიური გზა და მქუხარება,  
მისი სული იყო: უღმრთო მწუხარება.  
(გალაკტიონი)

პოეტი ებრძვის ხორციელ სამწყვრევს, სამიდღემ-  
ჩიო სადგურს მიელტვის. და განა ეს ცოტაა ამ ცოდ-  
ვილ პლანეტაზე?!

## **2. ორშაბათი, 28 იანვარი, 2002 წელი.**

წუხელი სიზმრებმა დამტანჯა. ორ ფეხზე  
აყალ-ხულ რალაც ნიანგისმაგვარ ცხოველს ანაკ-  
ვერჩხლებული ბრჭყალებით ჩემკენ მკვდარი კატა  
გამოეშვირა, დავიღალე, დავიღალეო, მომხაოდა, მე  
შვინდის სახრით ვიგერიებდი... დაქანცული ვარ.  
ტახიკარდია მაფორიაქებს, მაინც მძიმე ნაბიჯით  
ბაღში გავდივარ. მოძრაობა მირჩევნია. თუ გინდა  
გამაუქმო, უმოქმედობა მომისაჯე. ვფიქრობ. ფი-  
ქრიც ხომ მოქმედებაა. ხოლო საფიქრალს რა გა-  
მოუღევს კაცს.

ბაღში სინყნარეა, სიჩუმე, ჩიტების გადაძახილ-  
გადმოძახილი არღვევს დუმილს. ხოლო სიჩუმე ის  
ადგილია, სადაც შეგიძლია გარეყოფისგან თავი  
მოიზღუდო, დაუნჯდე, ფიქრიდან ფიქრში იდუმლად  
იარო. მარტო ხარ, იფიქრე რაც გინდა, რამდენიც  
გინდა, მთელი საბელზებელო შენს წინააღმდეგ რომ  
აღდგეს, არავის ძალუძს შენი დაბრკოლება.

ჩიხის ბოლოს მურა მხვდება, უკანა თათებზე  
დგება, მაჯისთავეებს, სახეს მიკოცნის. მგონია  
გრძნობს, რომ კარგად არ ვარ, მონყლიანებული  
თვალებით მომჩერებია, წარბებს კაცივით ქმუნის.

ეს ძალი ხშირად კაცი მგონია,  
ალბათ მას ტანჯავს ფიქრების წყება.  
ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია,  
სდუმს, უმიზეზოდ არ იცის ყეფა.

(გრანელი)

„ქართლის ცხოვრებიდან“ ისტორიკოსის სიტყვები იმას მიგვანიშნებს, რომ დავით მეფე, თუ არა სახელმწიფოებრივი აუცილებლობა, არ ერეოდა ეკლესიის საქმეებში. ძლიერი ეკლესია, ძლიერი სახელმწიფო – აი, რა იყო მისი ამოცანა, როგორც ხელმწიფისა. ის მორჩილი ქრისტიანი იყო, არასოდეს გაუმჟღავნებია დაფარული ცოდნა. ის დუმილს და იდუმალ შემეცნებას ამჯობინებდა, ყველა ინსტანცია გავლილი ჰქონდა, ქვედა საფეხურიდან უმაღლეს საფეხურამდე. ის რომ შემეცნებელი ქრისტიანი იყო, ჩანს „გალობანის“ რელიგიური და ფილოსოფიური შინაარსიდან. აქ არ არი მხოლოდ თვითგანსჯა, მონანიება ცოდვათა თუ პირველცოდვის გამო, არამედ აქ იკვეთება ცოდნა ყოფიერებისა, სამყაროს შემეცნებისა. თხზულებაში განხილულია ბუნებობის იდეა და ამ ასპექტში გაცხადებულია სიკეთისა და უკეთურების ქრისტოლოგიური მცნებანი, ვნებათა და წადილთა დათრგუნვა, ანუ დამთმენლობა, ერთ-ერთი სათნოებათგანი ჩვენი მოძღვრებისა, მალემრწმენობა და რწმენაუქონლობა, სამართლიანობის, მართლმორწმუნეობისა და მესიანიზმის იდეა. ეს იდეები ჩეკენ აგრეთვე მრავალ მსხვილმან თუ წვრილმან იდეას, რანიც გადაკვართულია ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ-ეთიკურ იდეალებთან. დავით მეფის აღმსარებლობითი განცდანი მრავალგვარ ადამიანურ განცდებასა თუ ფიქრებს აღვიძებენ ჩვენში.

### 3. სამშაბათი, 29 იანვარი, 2002 წელი.

ცივი ქარი ჰქრის, თუმცა მზეა. ჩუმი დილაა, არც ჩიტების ხმა ისმის, არც ზარების. მიდამოს ყვითელი მზე ანათებს. მოწყენა, მელანქოლია, მოლოდინი ჩამონოლილა ირგვლივ... მოლოდინი.. ქუთაისი მახსენდება, ეზო, სადაც დავიბადე, სადაც პირველი ნაბიჯი გადავდგი. ნიადაგ ჩემშია, როგორც ხატი, ნიადაგ ჩემში ფშვინავს, როგორც რამ სულიერი. დღე არ გავა, არ გამახსენდეს. ნიადაგ ცოცხლობენ ჩემში ის სახეები, რომლებთანაც ერთად აღვიზარდე, ახლობელ-ნათესაეები, მეზობლები, მეგობრები. არ შეიძლება ქუთაისში ჩავიდე და ჩემს ეზოში არ შევავიჯო: კიროვის 38. ყველაფერი თითქმის ძველებურადვეა. ისევ დგას ეზოში ჭა, ოღონდ დამშრალი, გაუქმებული. ყორეში ამოსული ბრონეულის ხე. მეზობელი ეზოს სახლის აგურის მაღალი კედელი, ალაგ-ალაგ ბალახამოზრდილი. ეზოში ორსართულიანი გრძელი სახლი, შუშაბანდებიანი, თავის დროზე, რუსაძეებისა. რკინის რიკულებიანი ქვის ხუთსაფეხურიანი კიბე...

მე შენს კალთებზე სიმშვიდეს ვეძებ,  
ველარ გავუძელ მღელვარე თბილისს.  
ახლა თოვლივით ვილევი მზეზე  
და მომდევს ქარი შორი აპრილის.

(გრანელი)

ერთხელ შევიარე, ცოტა შემთვრალმა. დავდივარ ეზოში, დავაბიჯებ ჩემი ბავშვობის ნაფეხურებზე, ვიხედები ამომშრალ ჭაში, სარდაფქვეშაც კი, სადაც ბურთის გამოსატანად ვძვრებოდით. ვჯდები კიბეზე, როგორც ამ ორმოცდათხუთმეტი-ორმოცდაჩვიდმეტი წლის წინათ. ფანჯრებმოღებული შუშაბანდიდან ქალბატონი მეკითხება, – რა გნე-

ბავთ, რას ეძებთო?! – ჩემს ბავშვობას ვეძებ-მეთქი!  
– ელიმება. გულისხმიერი ქალბატონი აღმოჩნდა,  
ვუთხარი ვინც ვიყავი. – კი ბატონო, გიცნობთო...  
სევდიანი ვემშვიდობები ჩემი ბავშვობის ეზოს, მან-  
ქანებით ახმაურებულ ქუჩაში გავდივარ.

„გალობანი სინანულისანი“ გვიცხა-დებს, რომ და-  
ვით მეფე სულისთვისაც და ქვეყნის ძლიერე-  
ბის-თვისაც მიუტევებელ ცოდვად თვლის ქრისტიან-  
ობის მცნებათა დათმობას. მოჩვენებითად მორწმუ-  
ნის დაცემა გარდუვალთა. თავადვე ცოდვილად თავს  
რომ მიიჩნევს, გვაფრთხილებს – იესო ქრისტე ჩვენი  
სულიერი სამშობლოა და ცოდვათა მონანიება იხსნის  
წაწყმედისაგან, როგორც ამ სულიერ სამშობლოს,  
ასევე ჩვენს ხორციელ, ისტორიულ სამშობლოსაც.  
თუ ვინმემ უწყოდა, რასაკვირველია, „გალობანის“  
ავტორმა უწყოდა, უწინარესყოვლისა, საკუთარი  
ცოდვებისა:

„და ან, მომდრეკელი მუხლთა გულისათაჲ, ვხმოვ, ვი-  
თარცა სხუაჲ მანასე: მილხინე, ჰე მეუფეო, მილხინე, და ნუ  
წარმწყმედ ცოდვათა შინა და ნუ მოიხსენებ ძვირთა ჩემთა  
და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ  
ღმერთი მონანულთაჲ, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალ-  
თაგან“.

მემატიანე გვაუწყებს, რომ დავით მეფე უდიდეს  
აზრს ანიჭებდა ქრისტიანობას სახელმწიფო ძლიერე-  
ბისთვის, ქართული ეკლესიის განმტკიცებისთვის.  
ოღონდ მას, როგორც ქართული სახელმწიფოს წი-  
ნამძღვარს, ვისაც ღრმად გაუმეცნებია ქრისტიანის  
უზენაესი მოვალეობანი – მყარად იდგეს ჭეშმარიტ  
რწმენაში, ენადა – ქართული ეკლესია ყოფილიყო  
წმინდა, ქვეყნისთვის სულიერი და ეთიკური მაგა-  
ლითის მიმცემი და არა ქვაბ ავაზაკთა თავშესაფარი.

აღაშენა ტაძარნი, წარმართთაგან წარწყმედილნი განაახლა, „ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“, ტაძრებში „ჭეშმარიტი მწყემსნი და სათნონი ღმერთისანი დაადგინეს, და ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერეს, მიმდგომი და მოწამე წმიდათა ათორმეტთა კრებათა“. ის, როგორც ქრისტიანი მეფე, ახორციელებდა VII-VIII საუკუნეთა ფორმულას სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობისა, როგორც გაბრიელ დაფანჩული ეუბნება გრიგოლ ხანძთელს: „თქვენთან არს სულიერი კეთილი, ჩვენთან ნივთიერი კეთილი, შევზავნეთ ურთიერთას“. ღირსეული თანასწორობა უფლებებში და მოწინება ეკლესიისადმი, ანუ ურთიერთთანხმობა – აი, რას ელტვის დავით მეფე, ქვეყანა ერთიანი და ძლიერი რომ იყოს, ჭეშმარიტ ქრისტიანს არ მოაკლდის მადლი და შეწევნა ღვთისა.

#### **4. ოთხშაბათი, 30 იანვარი, 2002 წელი.**

დასუსტებული ვარ, მაინც გავდივარ ბოტანიკურში. თბილი ქარი ჰქრის. სკოლაში სწავლა განახლებულა, ბავშვების ჟრიაშული ავსებს იქაურობას. თბილი ქარი ჩემს ქუთაისს მახსენებს, იცის ხოლმე ამ დროს თბილი ქარები.

დადგა თეთრი ქარები, დაითოვლა მთა-ბარი,  
ქარის გამოძახილი ისმის, როგორც ზღაპარი.

(გალაკტიონი)

ნაძვიდან ნაძვზე კაჭკაჭი დაფრინავს. თეთრი მზე ანათებს გაღმა ჰავლაბარს, მახათას მთას, მშენებარე წმ. სამების ტაძარს, ვაზისუბნის კორპუსებს. პატარა წაკვისა გათავისუფლდა ყინულის არტახებისგან,

მოჩხრიალებს, მალე კიდევ მოიმატებს. საიდანღაც კვამლის სუნი მცემს, ამ სუნს სოფელში გადავყავარ, ზემოიმერეთის ერთ არქაულ სოფელში, ხიდარში, დედულეთში, ზაფხულობით ბავშვობას იქ ვატარებდი. ჩემი რომანის მითოლოგირებული სოფელი შროშანია – ხიდარია, მისივე ტოპონიმიკით, ონომასტიკით... დედამინის ერთ სოფელში რაც ხდება, ის ხდება დედამინის სხვა სოფელშიც, ანუ ის ხდება მთელს დედამინაზეც. მთავარია „იხილო“, მთელს დედამინაზე რაც ხდება, ერთ სოფელშიც რომ ის ხდება. აქ ყველგან მთავარი მოქმედი პირი – ადამიანია.

და მე კვლავ ელიაზარზე ვფიქრობ.

ელიაზარიც, გოლიათიც რაღაც გამოუცნობ დარდს დაუპყრია. რა არი ამათი დარდის მიზეზი?! იქნებ ის, რომ ავ ძალთა მოდგმას უპყრია სადავენი კაცთა მოდგმისა?! გოლიათი, ანუ ამირანი, როგორც ღვთისსწორი, სანმიდარი აღჭურვილობით ებრძვის ავ ძალთა – დევთა მოდგმას. ელიაზარიც, ამირანის რეინკარნაცია და მისგანვე ძალაჩაღვრილი, ამ სანმიდარ აღჭურვილობათა მემკვიდრეა: „ვიხსენებ ჩემსავ თავს ჩემსავ საარსოში – უძმოს, უმამისძმოს, პირცეცხლა ტახის ტყავით შემოსილს, მშვილდკოდალით, ცეცხლისმფრქვეველი ლახტით შეჭურვილს, მოურევნელს“. მაგრამ ელიაზარისთვის სანმიდარი ნივთები – საღმრთო საშრომელი, ანუ ხელოვნება, გზაა სანუთროების მაღალმხურვალეებაში მონამეობრივი ცხოვრებით განწმენდილი, როგორც ჭურჭელი გავარვარებულ ქურაში, დაუბრუნდეს თვის პირველსახეს – ნაკვერჩხლის გოლიათს, აღდგეს, განახლდეს მასში და არაკაცებრი სულიერი მოღვაწეებით გზა დაათმობინოს როგორც ბოროტეულ ძალთა მოდგმას, ისე საკუთარ საარსოშივე ჩარჩენილ ცოდვათა ნაშთებსაც. მისი ეს მონამეობა ერთი გაბმული მის-

ტერიაა, ცნობიერი მსხვერპლშენიშვავა მთელი მისი ყოფიერი, ფშვინვიერი სანუთროსი. ელიაზარის გარდასვლის ჟამს, ნანისქვილარის სარკმელს ყრიყინით ლენავს ნითელფრთება ორბი – ამირანული სულის მეტაფორა, იქ შელნეული კაშკაშა შუქი შლის ობობას ქსელში გაბლანდულ დროსა და სივრცეს და ათასნლებში დადუმებული დოლაბი ინყებს ბრუნვას, ელავს და ვარვარებს ობმოკიდებული ცეცხლისმფრქვეველი ლახტი – საღმრთო საშრომელის სიმბოლო და კერიაზე ცეცხლივით ამონთებული გოლიათი უხმობს. და ელიაზარიც, ამბროზიით გალიცილიციებული, ოქროსფერი ნიმბით თავდაბურული, გაზეკაცებული უბრუნდება ნაკვერჩხლის გოლიათს, ანდერძივით სიტყვას უტოვებს მწყალობელთაც, არამწყალობელთაც, მანამებელთაც: „კედლებზე ფრესკებად დაამონმებთ ჩემს გენიას, მუხლს მომიყრით, სანუთროების სანიადაგო მდგმურად შემრაცხავთ. მე დავბრუნდები. და მე მოვალ როგორც მითი, როგორც იგავი. და მე ნიადაგ თქვენში ვიქნები“.

## **5. სუთხაგათი, 31 იანვარი, 2002 წელი.**

ვდგები ღამენათევიარი. შუქი ისევ არ არი. ნახევრადბნელ ოთახში გულშენუხებული მივშტერებვიარ სიჭაბუკისდროინდელ ჩემს ნახატებს – კონსტანტინე გამსახურდიას, სერგო ზაქარიადის ოიდიპოს მეფეს, უშანგი ჩხეიძის ჰამლეტს. კიკალიშვილს მოსწონს, განსაკუთრებით გამსახურდიას პორტრეტი. ალბათ ასეა, რაკი მას მოსწონს – ის ხომ ხელოვანია... რა ვაკეთო ამ წყვილიადში, ამ ყიამეთში. ბალში გავდივარ. მზეა, მაინც ყინავს. მზე იმედით მავსებს. მალე გაზაფხული მოვა.

უფალი იყოს ცოდვილის შემნე,  
მადონა იყოს მისი მფარველი.

(გალაკტიონი)

ჩიხის ბოლოს მურა მეგებება, ნეტარებისგან ჯერ  
მინაზე ხოხავს, მერე მკერდს, მაჯისთავებს, სახეს  
მიკოცნის... ნარიყალაზე, წმ. ნიკოლოზის ტაძარი  
რეკავს, გაღმა – მეტეხი, ქვემოთ – სიონი, ელიაზე –  
წმ. სამება. მურა დარჩი, ვეუბნები, გაგვინყრებიან.  
მაინც მომდევს. მონმენდილ ცაზე ყორანი ბრუნავს,  
ყრანტალებს. მურა კრთება, მე მიყურებს, თვალ-  
წარბი უთამაშებს. ზევიდან დავეყურებ დილის მზით  
განათებულ ნარიყალას, მტკვარს.

განწყობილება მეცვლება, გულდამძიმებული ვეშ-  
ვები ქვევით. მურა შორიახლო მომდევს,  
თავ-დაღურთული, მგონია გრძნობს ჩემს წამხდარ  
გუნებას... შუქი დამხვდება, ვფიქრობ, მაგიდას მი-  
ვუჯდება. უშუქობა კიდეე უფრო მზაფრავს... სან-  
თელს ვანთებ, ვივეკანანდას ვკითხულობ. ტელეფონ-  
ის ზარი რეკავს. ვკრთები. არ მუშაობდა, უცებ და-  
რეკა. აზროვნების ისეთ ღრმა ღრანტეებში ვყავარ  
ვივეკანანდას შეტყუებული, ძლივს ვერკვევი – სად  
ვარ, ვინ ვარ. ტელეფონი არ მპასუხობს. ხელმეორედ  
რეკავს, არც ხელმეორედ მპასუხობს. უამური  
გრძნობა მეუფლება, ქვეცნობიერებაში როდისრო-  
დინდელ სინდრომს აღვიძებს.

სკოლა რაც დავამთავრე, 1958 წელს, და იმავე  
წელს ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში  
მოვეწყვე, დაუსწრებელ განყოფილებაზე, ნიადაგ  
სამსახურის ძებნაში ვიყავი, ხან სად, ხან სად მუშად  
მუშაობა მიწევდა. ინსტიტუტის დამთავრების შემ-  
დეგაც, კაიხანს ასე იყო, თუ „ბიძა“ არ გყავდა, არ იყო



ადვილი სამსახურის შოვნა. სულ ცოტახნით ვიმუშავე ინჟინერ-ტექნოლოგად ჯერ მარნეულის ლუდ-უალკოჰოლო, შემდეგ თბილისის საკონსერვო კომბინატში. თუმცა მიყვარდა ჩემი პროფესია, მაინც ქარხნებში სული მეხუთებოდა, გული ლიტერატურისკენ მიწევდა.

ჭაბუა ამირეჯიბმა „გამომგლიჯა“ ქარხნებს, თა-ვის--თან მიმიყვანა, კინოსარეკლამო ბიუროში. 1973 წლის მარტი იყო. იმ წელსვე მთელი დეკემბერი მივლინებაში მომიწია ყოფნა – ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში. რომ დავბრუნდი, „სიურპრიზი“ დამხვდა – ნახევარ შტატზე ვიყავი გადაყვანილი. მეწყინა, რასაკვირველია. თუმცა ჭაბუა დამპირდა ხელფასს შეგივსებო, თავს ისე შეურაცხყოფილად ვგრძნობდი, იმავე დღესვე განცხადება დავწერე, სამსახურიდან წავედი.

დავრჩი უმუშევარი.

დავიხურე მონომახის ქუდი და ელგუჯა მალრადეს მივაკითხე, იმხანად გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი იყო. სულ რამდენიმე თვის დაარსებული მთარგმნელობითი კოლეგიის თავმჯდომარესთან, ოთარ ნოდუასთან წერილი დამიწერა. შემდეგ ამ საქმეში გრიგოლ აბაშიძეც ჩაერია, ბესო ჟღენტაც, თენგიზ ბუაჩიძეც და დავინყე მუშაობა. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე გამოვიდა – აქ ჩემი მეგობრები დამხვდნენ, მწერლები, მთარგმნელები. ხოლო ბატონი ოთარისადმი მაღლიერების მეტი რა მეტქმის.

არ გასულა ორი თუ სამი თვე, 1974 წლის აპრილში, სამსახურის ტელეფონზე, რა დამავიწყებს, შემაშფოთებელი ზარი გაისმა – ლერი ალექსანდრეს ძევ, მე ესა და ეს ვარ, უშიშროების კომიტეტში ხართ დაბარებული, ხვალ თქვენზე საშვი იქნებაო. რაღაც ეს „ალექსანდრეს ძევ“ არ მომეწონა, გულმაც ავად

რეჩხი მიყო, იმნუთში სარკეში რომ ჩამეხედა, სახეზე ალბათ თეთრი ვიქნებოდი. კგბ-ს ხსენებაზეც კი ადამიანებს ტანში აციებდათ, რომ გიბარებენ, წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავვარდებოდი. – ხვალ არ შემიძლია, რალაც მოვიმიზეზე, ორშაბათს ამოვალ-მეთქი. ერთი-ორი დღე ჭკუაზე მოვალ, ვფიქრობ, იქნება ამოვიცნო, რაშია საქმე, რა უნდათ. – კი ბატონოო, არ ყოფილა წინააღმდეგობა.

ის დროა, საქართველოში ეროვნულ მოძრაობას საფუძველი ეყრება, განახლების სუნი ტრიალებს მონინავე ინტელიგენციაში, სტუდენტობაში, ყველა ჰუმანიტურად მოაზროვნე ადამიანში. ტოტალიტარული რეჟიმით გულდანნეხილი ადამიანები, ზოგი ფარულად, ზოგიც ღიად, გამოვხატავთ ჩვენს ნეტაგიურ განწყობილებებს კომუნისტური რეჟიმის მიმართ, თანაგრძნობას ვუცხადებთ რუსეთში სახაროვის, სოლჟენიცინის, სხვა ცნობილი დისიდენტების მოღვაწეობას. მღელვარებს პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი. საქართველოში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა უდგანან სათავეში ეროვნულ მოძრაობას, სცემენ და ავრცელებენ არალეგალურ ლიტერატურას, უცხოეთის არხებს ინფორმაციებს აწვდიან.

ილია ჭავჭავაძისა და სხვა დიდ სამოციანელთა, ქართული თეატრის კორიფეთა, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა თუ საეკლესიო პირთა ეროვნულ მსოფლმხედველობას ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებშივე ნაზიარები, უცრემლოდ ვერ ვკითხულობდი ამ მოღვაწეთა ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებას, სიცოცხლის ფასად რომ ებრძოდნენ ჯერ მეფის, ხოლო შემდეგ საბჭოთა რუსეთის იმპერიის ველიკოდერჟავულ პოლიტიკას საქართველოში, მათ უღმობელ შოვინიზმს. ხოლო ლიტერატურაში ფეხმედეგმულმა, როდესაც ბოლშევიკური რეჟიმისგან დევნილი ტე-

რენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას ხელი მიეყავი, საქართველოში ჯერ კიდევ ტოტალიტარული რეჟიმი მძვინვარებდა, 60-70-იან წლებში არ დამრჩენია არქივი თუ წიგნსაცავი, სადაც ვეცნობოდი 10-იანი, 20-იანი, 30-იანი წლების ქართულ (და არა მარტო ქართულ) ქრონიკებს, იმ რეპრესირებულთა ხვედრს, რომლებიც რუსთა იმპერიას, კომუნისტურ რეჟიმს მსხვერპლად ეწირებოდნენ. ყველაფერმა ამან, ერთად აღებულმა, განსაზღვრა ჩემი, როგორც მოქალაქის პრინციპები, შეხედულებები, გრძნობები. საზოგადოებაში ღიად ვამჟღავნებდი ჩემს პოზიციებს, მერე ეჭვი მღრღნიდა – იმ სამი, ოთხი თუ ხუთი კაციდან, რომელს შეძლო ჩემი ნათქვამის „იქ“ ატანა. და მაინც, მეორე დღეს, იმავეს ვიმეორებდი, – ჩემს ენას რა დააყენებდა?! ამბის ამტანს კი თურმე, მე რა ვიცოდი, რა გამოლევდა?!

მივდივარ დათქმულ დღეს, გულს ბაგაბუგი გაუდის, ალბათ სახეზეც კარგი ფერი არ მადევს. როგორც კი რომელიღაც სართულზე, ლიფტით ამიყვანეს და პატარა ოთახში შემიპატიჟეს, რატომღაც, მაშინვე დაემშვიდდი, შიშმაც გამიარა, დავლაგდი. – რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ვეუბნები ჩემს თავს...

ორნი არიან.

– გაივსო პაპკა, – ხელში სქელტანიან საქალაღდეს ატრიალებენ, – თორემ არ შეგანუხებდით! – ვუყურებ საქალაღდეს და ვგრძნობ, ინდიფერენტულიც კი გავხდი. ფურცლავენ, ხან ერთი მაძღვეს შეკითხვას, ხან მეორე. დაკითხვა საკმაოდ მშვიდ, თავაზიან ვითარებაში მიდის. ძირითადად რა არი: ჩემი ანტისაბჭოური გამონათქვამები, სოლჟენიცინისა და სახაროვის იდეების გაზიარება, ქართული ენის პრიორიტეტისადმი ქართველ და არაქართველ საბჭოთა იდეოლოგთა ნეტაგიური დამოკიდებულება

(„მოსანვევებსაც კი რუსულ ენაზე ბეჭდავენ“), საბჭოთა ბელადების აგდებული მოხსენიება (ლენინის მონგოლოიდური წარმოშობის ვერსია) და სხვა ამ ტიპის ბრალდებები, რასაც ჩეკისტები, რატომღაც, „პრეტენზიებს“ უწოდებენ, – აი, შენს მიმართ ესა და ეს პრეტენზია აქვთო, მეუბნებიან (ვითომც თავად არ ჰქონოდეტ ჩემდამი არავითარი პრეტენზია). ყველა „პრეტენზია“ მართალია, თუმცა ყველაზე უარს ვაცხადებ, გარდა ერთისა – რესპუბლიკაში პრიორიტეტი ქართულ ენას უნდა ენიჭებოდეს.

– უარს როგორ ამბობ, – გულდასმით ფურცლავენ საქალაქდეს, – აგერ ორი, აგერ სამი კაცი გადებს ხელს... ამა და ამ კაცის ოჯახში სტუმრობისას ესა და ეს გაქვს ნათქვამი... თანაც, ამა და ამ ტონით, ცინიკურად! – შინაურული განწყობილების შესაქმნელად, თუ რა, არ ვიცი, ერთი, ჩინით მგონი მეორეზე უფროსი, მეუბნება – ახლა აქ ჯდომას, სადმე საფიჩხიაზე, რესტორანში რომ ვიჯდეთ, ხომ სჯობიაო?!. ნაძალადევი ღიმილით ვეთანხმები. არ ვიცი, ამით რა მიმანიშნებს. ერთი კაცის გვარი ღიად მიხსენეს – მასთან ესა და ეს გაქვს ნათქვამიო. ეს ის „მოდერნისტი“ მწერალია, რომ მექადაგებოდა – მე პოლიტიკაში არ ვერევიო!.. დალოცვილი, პოლიტიკაში არ ერევა და „დანოსჩიკობაში“ ერევა?! ან ამით რა მიმანიშნებს, დღესაც არ ვიცი. არასოდეს მე იმ „მოდერნისტთან“ ამის თაობაზე სიტყვა არ დამიძრავს, მხოლოდ ერთხელ, ჩემი გულფიცხელობის ჟამს, ისე „ღრმად“ მივანიშნე, სახეზე აღმური აუვარდა.

ბოლოს, რაღაც კოდექსების წიგნი გადმომიღეს, ის მუხლი წამაკითხეს, რის თანახმადაც, თუ საბჭოთა წყობილებაზე ჭორების გავრცელებას არ მივატოვებდი, სასჯელი არ ამცდებოდა. დამანერინეს ხელწერილი – არავისთან გავთქვამდი აქ ჩემს დაკითხვას. და ახსნა-განმარტება, დაახლოებით, ასეთი ში-

ნაარსისა – არცერთ ბრალდებას არ ვეთანხმები, ყველა გაუგებრობაა, გამოგონილია. ენას რაც შეეხება, ვნერ, – საქართველოში მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა იყოს საქმისწარმოება, ხოლო რუსულ ენაზე – მოსკოვთან და სხვა რესპუბლიკებთან... თუმცა ჯერ კიდევ 1974 წელია, მაინც, როგორც ჩანს, უკვე იგრძნობა ქართული ენის იგნორირების ტენდენციები და ჩემი „პრეტენზიაც“ (არა მარტო ჩემი, რასაკვირველია) ამის გამოძახილი იყო. ხოლო 1978 წლის 14 აპრილს რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით. ეს იყო დღე ქართველთა ურჩხულთან გამარჯვებისა, იმ დღითობოძებულ ფასეულობათა გადარჩენისა, რასაც ქართველი ნიადაგ საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა.

რა გამაჩუმებდა. მეორე დღესვე ორ უახლოეს მეგობარს გავენდე, უკვე მაშინაც ცნობილი მთარგმნელები იყვნენ. ხოლო ტელეფონის ზარის ხმა, მას აქეთ აგერ რახანი გავიდა, როგორც რაღაც ავისმაუნწყებლის სინდრომი, ისე ჩამისახლდა ქვეცნობიერებაში, დღესაც, როცა აღარც კომუნისტური იდეოლოგია გვზარავს და ვითომ თავისუფლებიც ვართ, მაინც უამურად მაკრთობს, სულ მგონია, „იქიდან“ მირეკავენ.

არ გასულა კვირაც, ერთ დილას, ზედ მწერალთა კავშირის კართან, ზვიად გამსახურდია მხვდება (იმხანად მთარგმნელობით კოლეგიას იქ ედო ბინა, მესამე სართულზე, სხვენში). გაუგია, უშიშროებაში რომ ვყავდით და მეც დანვრილებით მოვუყევი ყველაფერი, – ზვიადთან დასამალი რა მქონდა. ჩემთვის არ უთქვამს, რაში სჭირდებოდა, ეს მის ცნობისმოყვარეობას მივანერე, არც იმის ჩხრეკა დამინყია, თუ საიდან შეიტყო.

გამოხდა ხანი, ალბათ სულ რამდენიმე თვე. 1974 წლის ზაფხულია, ან შემოდგომის ცხელი დღე, ზუსტად აღარ მახსოვს. ამჯერად არ მირეკავენ, პირდა-

პირ სამსახურში თავს მესხმიან. ნაშუადღევია. ფოიეში გამიხმეს. ორნი არიან. ერთი მაშინვე ვიცანი, დაკითხვას რომ მიტარებდა, ის არი – თედო გიორგობიანი. უშიშროებაში მიპირებენ წაყვანას. – არ წამოვალ-მეთქი. – ახლა აქ ჭიდაობას ნუ დაგვანწყებინებ, თავი მილიციის ხომ არ გგონიაო! დავყევი ნებას, სხვა რა გზა იყო. მანქანაში უკან დამსვეს, იქით-აქეთ ამომისხდნენ – ეს დაპატიმრებას ჰგავდა. გზაში ვფიქრობ – კიდევ რა შეიძლება იყოს?! თქმა არ უნდა, ინფორმაციამ გააჟონა. იმ ჩემი ორი მეგობრიდან, დარწმუნებული ვარ, არაფერი მოხდებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი არ ყოფილან ჩართული დისიდენტურ მოძრაობაში. რჩება ზვიადი. ეს იქნება, სხვა არაფერი. ალბათ ახლა შეეცდებიან, როგორმე ეს ინფორმაცია გამომძალონ. ტვინი მიხურს. თავს ვეუბნები: რადაც უნდა დაგიჯდეს – კრინტი ზვიადზე!

იმ მეორის კაბინეტში ვარ. თავი თუმცა გონება-გამჭრიხად მოაქვს, ხან იქედან შემომიტრიალდება, ხან აქედან, მაინც ჩემში შემოლწევას ვერ ახერხებს, – ყველაფერი შენივე უსაფრთხოების გამო ხდებაო, მეთითლიბაზება. ამისი სიტყვები ერთ ყურში რომ შემდის, მეორეში გამდის – აშკარად ანკესებს მიგებს. მე თავს ვიბრიყვებ. გინდაც თავგაბრიყვებულ ადამიანთან გილაპარაკია, გინდაც დემაგოგთან, ძალიან ძნელია. ჩეკისტს კი რას გამოაპარებ, ვატყობ, ფარულად ბრაზობს. რაღაც ამონაბეჭდ ქალაქს მაკითხებს, რუსულ ენაზე, გვერდის მესამედი იქნება. დაახლოებით, როგორც მახსოვს, ეწერა: მწერალი ლერი ალიმონაკი, რომელიც ბავშვობაში ტრამვირებულია მარჯვენა თვალზე, მუშაობდა კინოსარეკლამო ბიუროში, მისი დირექტორი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბია... ალიმონაკი უშიშროების კომიტეტში დაიკითხა როგორც საბჭოთა წყობილებაზე ჭორების

გამავრცელებელი, და თუ ამას არ მიატოვებდა, დაემუქრნენ, ამა და ამ კოდექსით დაპატიმრება არ აგცდებაო! ფაქტობრივად, ყველაფერი სიმართლე ეწერა. ამონარიდი, შემდეგ გავიგე, სახაროვის ჟურნალიდან ყოფილა ამობეჭდილი, რომელიც რუსეთის გარდა ევროპაშიც ვრცელდებოდა. ორ მწერალს მოუსმენია – ჩემი ამბავი რადიოსადგურ „თავისუფალ ხმასაც“ გადმოუცია. რა ძნელი მისახვედრი იყო – ამ წყაროებს ზვიადი აწვდიდა ინფორმაციებს.

ვტოვებთ ამ მეორის – ჯონი შანიძის ოთახს. მეგონა დამთავრდა, თურმე – იწყება. კითხვაზე – ვისთან გავთქვი მე რომ უშიშროებაში დამკითხეს, მან ჩემგან პასუხი ვერ მიიღო. გამსახურდია საერთოდ არ უხსენებია. გრძელი დერეფნის ბოლოში, მარცხენა ოთახში შევყავარ, მოპირდაპირე ფანჯარა შევჩენკოზე გადადის, მარცხენა ფანჯარა – ეზოში. კაბინეტის პირქუშმა და მისი პატრონის კიდეც უფრო პირქუშმა სახემ ერთი წუთით დამძაბა, სულ ერთი წუთით. ეს სწორედ ის არი, გოჩა გუნიავა, ოცი წლის შემდეგ ლესელიძისა და პუშკინის ქუჩების გადაკვეთაზე რომ შემხვდება და ჩემი გვარის ხსენებაზე აილენება.

სირცხვილისგან?! თუ რისგან?!

მიდგმული მაგიდის თავში ვზივარ, გუნიავას პირდაპირ, ჩემგან მარცხნივ – შანიძე. ზოგადით დაიწყო. ჯერ რალაც ფილოსოფიაზე მელაპარაკა, შემდეგ შტაინერზე გადავიდა, მის მოძღვრებას თუ იცნობო. არა-მეთქი. აშკარად ანკესს მიგდებს – ზვიადი და მერაბი იმხანად შტაინერით იყვნენ გატაცებულნი, მის ერთ რომელიღაც წიგნსაც თარგმნიდნენ. რადიომიმღებს თუ უსმენო. არა-მეთქი. ძველი დრო ამ დროს რითი სჯობიაო. არ ვიცი-მეთქი, მხრებს ვიჩეჩავ. ვატყობ, ქვევით და ქვევით მოჩოჩავს, კონკრეტულისკენ. მეგობრები დამისახელო. ისეთ გვარებს

ვუსახელებ – გრიგოლ აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, ბესო ჟღენტს, თენგიზ ბუაჩიძეს, ელგუჯა მალრაძეს, რომლებთანაც თუმცა კეთილგანწყობილი ურთიერთობა მაქვს, მეგობრები მაინც ვერ იქნებიან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ასაკითაც ჩემზე ბევრად უფროსები არიან, მდგომარეობითაც. კარგი, კარგი, გეყოფაო, ხელს იქნევს, ამათ რას გამოაპარებ. გინდა ცნობილი გაგხადოთო. ეგ ჩემს ამოცანას არ ნარმოადგენს-მეთქი, ვითომ ვერ ვხვდები შეკითხვის (თუ მუქარის) ქვეტექსტს. ვგრძნობ, ატმოსფერო იძაბება, ხან აქედან მიტრიალებს, ხან იქიდან, მე კი პირზე ლენჩივით ერთი სიტყვა მაკერია – არ ვიცი. ბოლოს, ჩემი პირიდან ვერაფერი რომ ვერ გაიგონა, პირდაპირ მეკითხება – გამსახურდიას თუ იცნობო. დიახ, ერთხელ შევხვდი, 1967 თუ 1968 წელი იქნებოდა, იმხანად გრანელზე მოგონებებს ვაგროვებდი-მეთქი. არა, არა, მაგაზე არ გეკითხები, ეგ ვიცი, ბრაზობს გუნიავა, ზვიადზე გეკითხებიო. არ ვიცნობ-მეთქი, მოვჭერი მოკლედ. ალბათ ეს იყო ბოლო წვეთი. და უეცრად მაგიდაზე მუშტის ძლიერი დარტყმის ხმა და მოთმინებადაკარგული გუნიავას ყვირილი მეს-მის:

– არ ვიცი, არ ვიცი!.. შენ ძალიან გიყვარს ეგ სიტყვა!.. – აგრესია უფრო მობილიზებულს მხდის, მთლად კერკეტ კაკლად ვიქეცი.

– ხვალ აქ ამოხვალ!

– მე არსად არ ამოვალ!

– სამსახური?!

– სამსახური ფეხებზე მკიდია!

– შვილები?!

– ჩემი შვილები ყველას ფეხზე ჰკიდია!.. მომემვით!.. თავს მოვიკლავ!.. – მაშინ მე ამივარდა სახეზე აღმური. ვილაც შუახნის ქალბატონი შემოდის, რაღაც ბარათზე ხელს აწერინებს, გადის. ქართველი არ ჩანს. გუნიავა ცივი თავაზიანობით თავს მიკრავს,



მეც ნაძალადევი ღიმილით ვემშვიდობები, შანიძესთან ერთად კაბინეტს ვტოვებ. მალე ამ ამაზრზენ შენობასაც ვტოვებ... ის დღე და ის დღე, აღარ შევუწუხებივართ, ყოველშემთხვევაში, მე არაფერი მიგრძენია.

გადის დღეები. მხვდებიან ქალაქში მერაბი და ზვიადი, მეუბნებიან – თუ კიდევ დაგიბარონ, გაგვაგებინეო. მე ვდუმვარ. მოდის ერთ დღეს მერაბი ჩემთან, სამსახურში, გრანელის გამოუქვეყნებელ ლექსებს მთხოვს. ის დროა, არალეგალურად „ოქროს სანმისს“, „საქართველოს მოამბეს“ სცემენ. აქ დასაბეჭდად უნდა, დიდი მიხვედრა არ სჭირდება. – მერაბ, ვეუბნები, ვიცი რისთვისაც გინდა, ახლა შენ ეგ ლექსები რომ დაბეჭდო, გრანელს საერთოდ ვეტოს დაადებენ-მეთქი. დამიჯერა. ტოლერანტი ბუნებისა იყო მერაბი.

გადის დრო, წლები. რესპუბლიკაში ვითარება იძაბება. დისიდენტური მოძრაობის, მისი ლიდერების – ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავზე შავი ღრუბელი იკრიბება.

1977 წელია, მარტის ბოლო ან აპრილის დასაწყისი. ტელეგრაფის შენობაში ავდივარ (ძველი ტელეგრაფის, რუსთაველზე). გვიანია. გავიხედე, ზვიადი. დარბაზი ცარიელია, ერთი-ორი კაცი დაყანყალებს კაბინეტთან. ასეთ მომენტს როდისღა ვნახავ-მეთქი. იქვე ჩამოვსხედით. – მე უნდა მცოდნოდა, ზვიად, წრფელად ვუზიარებ წყენას, – უჩემოდ ინფორმაცია არ უნდა გადაგეცა, კარგად არ გამოვიდა. – მეორედ აყვანის ამბავიც მოვუყევი. – დრო აღარ ითმენდა, ლერი, ასე გამოვიდა, გულწრფელად მომიბოდიშასავით, გუშინ მწერალთა კავშირიდან გამრიცხეს, ხვალ ამოდი, ვილაპარაკოთო. რალაც ფარული სევდა, ეულობა, სილბო შევნიშნე. ასეთი იყო – თუ უყვარდი, ბოლომდე მოგენდობოდა. არც მე გამინირავს,

ღმერთი, რჯული.

მეორე თუ მესამე დღეს, ზუსტად ველარ ვიხსენებ, ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს. დააპატიმრეს მერაბ კოსტავაც.

ალუდაში გაცისკროვნების აქტის ნამებში გაიღვიძა (თუ გაიელვა) არა მხოლოდ სახარებისეულმა მცნებათაგანმა – „არა კაც ჰკლა“, არამედ რალაც ზებუნებრივიც ჩაელვარა არსებაში, რამაც შეურყია მთელი შინაგანი სამყარო, ქვეცნობიერი ცნობიერში გაუცხადა. მისი ცრემლი შედეგია დაგროვილი შინაგანი ენერგიის ანაზღეული გამოვლენისა. ინდივიდუალური, ანუ პიროვნულ-ადამიანური შეერწყა ქრისტიანულ ზნეობას და ამ ერთიანობაში ალუდამ, განახლების საიდუმლოს დაუფლებულმა და სრულიად ახალ განზომილებაში გადასულმა, შეიძინა ახალი არსებობა. ცრემლის მიზეზი რომ მხოლოდ „არა კაც ჰკლა“ ყოფილიყო, მისი ცრემლი სიბრაღისა იქნებოდა და ის ხელს აიღებდა კაცის კვლაზე საერთოდ. მაგრამ ალუდა კატეგორიულად აცხადებს, რომ მტერს კიდევ მოჰკლავს, მარჯვენას მაინც არ მოსჭრის.

რაად სწყრებიან ხევსურნი,  
რადა ტყვერებიან ჯავრითა?!  
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი  
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!  
„ნესი არ არი მტრის მოკვლა,  
თუ ხელ არ მასჭერ დანითა,“ –  
ვაი ეგეთას სამართალს,  
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

საერთოდ, კაცთა შორის ძმობას, სიყვარულს რომ

ქადაგებს, ვაჟას მტრის მოკვლა ცოდვად არ მიაჩნია. ეს იდეა ლეიტმოტივად გასდევს მთელს მის შემოქმედებას... ალუდას ცრემლი არი უზარმაზარი შინაგანი ენერჯის, დაუოკებელი, დაფარული ძალის უეცარი გამოვლინების შედეგი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის „ხილვის“ აქტს შეიძლება შევაღაროთ, რის დროსაც ხდება დაბნედა, თვალთა მოჭრა. გაიხსენეთ, როდესაც მოსეს მაცვლოვანში უფალი გამოეცხადა, თვალთაგან ცრემლი დასცვივდა. იგი-ვე დაემართა ქრისტიანეთა მდევნელს დამასკოს გზაზე, სავლეს, შემდეგ პავლე მოციქულს. გაიხსენეთ თაბორზე იესოს ფერიცვალება და მისი გაბრწყინება, ვითარცა მზისა, უფლის ნათლის ღრუბელთმიღმიერი გამოშუქება და მისი ზეციერი ღაღადი და მონაფეთა დაბნედა, თვალთა მოჭრა.

## **6. პარასკევი, 1 თებერვალი, 2002 წელი.**

წითელი, წითელი მზე აღმოხდა ცას, რალაც უცხოფრად ანათებს აქეთ ნარიყალას, იქით – მეტეხს, ქვევით, მეიდანში – ძველ აივნინან სახლებს. სიზმარს ჰგავს ყველაფერი. ოთახში რა დამაყენებს.

გაივლის ღამე – სამარე სულის,  
ო, მიხარია ეს გათენება.  
და გავალ მზეზე მე მოქანცული,  
როგორც სიზმარი და მოჩვენება.

(გრანელი)

თუმცა ქალაქს ჯერ სძინავს, მაინც რალაც განსაკუთრებული სიჩუმეა, ისეთი სიჩუმე, ყველაფერი რომ დუმს და მეტყველებს. ბოტანიკურში, ძველ გორხანასთან, ნუშის, ტყემლის, ჭერმის ხეებს ჯერ კვირტიც არ გამოუღიათ, მალე ამოფეთქდებიან თერთრად, ღიავარდისფრად დედოფლებივით მოირთვე-

ბიან.

გაზაფხულის სურნელი მცემს.

ხოლო გაზაფხული მოვა, აუცილებლად მოვა. სიხარული, სიხარული თუ მოვა, ნეტა, დღენიადაგ რომ ველოდებით. მიძიმეა მოლოდინი. მაგრამ მოლოდინში გაძლებაცაა, რწმენაცაა, ველოდებით და გვნამს, რომ... ეს მომავალი კი რაღაა, წამდაუნუმ პირზე რომ გვაკერია?! იქნებ რასაც მომავალს ვეძახით, გარდასულია, ვინ იცის. მოლოდინში, შეიძლება მოხდეს სასწაული და, უეცარი სიხარული გვეწვიოს, რა ვიცით. მოლოდინში, თუმცა ხან ღვთისმობეული იმედი გვეღვრება გულში, ხანაც სასწაულვითა, მაინც ასე ვართ – ხან ერთ ნაპირს მივანყდებით, ხანაც მეორეს, აქაფებულ ზვირთებში ქვებზე თავის ხათქუნით ვუახლოვდებით უკანასკნელ სადგურს. იმ სადგურიდან კი, იცის ვინმემ, საით გადის მატარებელი?! ჯაჭვის ხიდიდან ადიდებულ რიონში ჩავარდნილი ებრაელის გოდება მახსენდება, ქუთაისში გაგონილი, აღვარცოფებულ მდინარეს რომ ამუნათებს – ხო მოგყობი, დაგენაცვლე, ამ თავ იქითაქეთ რაღას მახათქუნებებო!.. ასეა, ჩვენ ვინ რას გვეკითხება.

პატარა წავკისა ალაპარაკებულა. მალე გათბება კიდეც, ნაპირებიც მწვანელოვანით შეემოსება, ბიჭუნები მის მორევებში იჭყუმპალავებენ. განა ეს სიხარული არ არი?! ნარიყალაზე გავდივარ. ჯერ ადრეა, ტაძრის კარი დაკეტილია, სამრეკლოც დუმს. იმდღევანდელი სიზმარი მახსენდება: წმ. ნიკოლოზის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის მთელ სიგრძეზე ნაპრალი გაჩენილა, მე ტაძრის კედელს ვეკვრი, ნახევარი ნაბიჯი და – ნაპრალში ვარ... მეწამულისფერი მზის უზარმაზარი დისკო რაღაც ოდინდელს მაგონებს, რას, არ ვიცი. რა არი ის – კოსმიური საკვირველება თუ ღმრთის საბოძვარი?!

მეიდანში ვეშვები. სადღაც აქ, მახსოვს, მეჩეთი იდგა, ტანჭრელი. მტკვარზე დაბალი, ვინრო ხიდიც მახსოვს, გაღმა დუქნები, იქ, საღაც წმიდა ჰაბოს ნაგვემი ნეშტი სარკინოზებმა მტკვარში ჩააგდეს. მეტეხის ციხეს რომ ანგრევდნენ (ციხეს, ტაძარს კი არა), ისიც მახსოვს, ათი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი. რიყეში გავდივარ, იქიდან ჩულურეთში – წმ. ნიკოლოზის ტაძარში... ვარანცოვზე, მზის შუქზე, ნითლად ელვარებს მტკვარი. აქ ყველაფერი შენია, შენ გეკუთვნის, შენ ქალაქის ხარ, ქალაქს ეკუთვნი. ქალაქი ხომ ბიოგრაფიაა შენი, შენ – ბიოგრაფია ხარ ქალაქის. ქალაქი სიზმარია შენი, შენ – ქალაქის სიზმარი ხარ. მისი ყოველი უბანი, ყოველი ქუჩა, ყოველი ხე – ძვირფასია. მის ქუჩებში ჩემს ყმანვილობისდროინდელ ნაფეხურებს, ხოლო მის ცისფერ ზეცაში – ჭაბუკობისდროინდელ ოცნებებს ვეძებ... სად რა ფიქრი აგეფოფიალება, რომელი ადგილი რას გაგახსენებს, ვინ იცის...

აქ იდგა ბელადის ძეგლი.

1956 წელია, მარტი. მთელი თბილისი ქუჩაშია, გამოკეტილია სამსახურები, ინსტიტუტები, სკოლები. ვიკრიბებით 29-ე სკოლელები ჯგუფ-ჯგუფად ორთაჭალაში, თუ ფეხით, თუ სატვირთო მანქანებით, უბნიდან უბანში გადავდივართ, ყველა ერთად, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, უცნობი თუ ნაცნობი, ეგზალტირებული ვყვირით: სტალინ, სტალინ, სტალინ!.. რა მართავდა ქართველთა ჯანყს?! ეროვნული თვითცნობიერების შებღალვა. აი, უწინარესყოვლისა, რასაც ვერ ეგუება ქართველი. ვინც ამ სისხლიანი მოვლენის ისტორიულ შეფასებას შეეცდება, ვურჩევ, ეს ფორმულა მტკიცედ დაიხსომოს. ხოლო სტალინს, როგორც ქართველს, ქართველთაგან სჭირდებოდა თუ არა დაცვა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, – ისეთ კოსმოპოლიტ პერსონებს, როგორიც ის იყო, არც

ეროვნება აქვთ, არც სამშობლო.

9 მარტია, ღამის 11-12 საათი იქნება. ძეგლის გარშემო, ბალებში, ორივე ხიდზე, სანაპიროზე ხალხი ადიდებული მდინარესავით ტორტმანებს, ჰქუხს. მანქანის ძარაზე ვდგავარ, მშრალი ხიდის კუთხეში, ვუსმენ სიტყვებს, ლექსებს, მონოდებებს, სიმღერებს. უცებ საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე, თუ ვინ, არ ვიცი, აცხადებს: ტელეგრაფის შენობაში კომიტეტის წევრები დააკავეს, უცხოეთის რადიოსადგურებს ინფორმაციებს გადასცემენ, უკანა რიგები მოხსენით, გაათავისუფლეთო.

იხუვლა ხალხმა.

ჩამოვხტი ძარადან, ხალხის მდინარეს შევყევი. მშრალი ხიდიდან ერთი ნაკადი ალექსანდრეს ბაღით, ხოლო მეორე ნაკადი ჯორჯიაშვილის ქუჩით ტელეგრაფის შენობას მიაწყდა. სად იყო ამდენი ქვა, ლანალუნი აუტეხეს ფანჯრებს. ზედ ტელეგრაფის წინ ამოვყავი თავი, შენობის ბოლოში, ჟვანიას საფოტოგრაფესკენ. მთელს რუსთაველზე, ორივე მხარეს, ბიგელებჩამოხსნილი ტროლეიბუსები ჩარბებულან, ვაგონებივით, ერთიმეორის ჩაყოლებით. ტელეგრაფის შესასვლელს ხალხი აწყდება, არი ზედახორა, ვაი-უშველებელი. არ გასულა ხანი, შენობის ზედა სართულიდან, თუ სხვენიდან, ავტომატების ცეცხლმა წყვდიადი გააპო, ალექსანდრეს ბაღში ხეთა კენწეროებს როკები ტყდება. ტროლეიბუსში ავვარდი, უკანა გრძელ სკამზე გავწექი. – ბიძია, მძლოს ვეკითხები, ხალხს ხომ არ ესვრიან. – არა, მაგას როგორ გაბედავენო. ამის თქმა და ვხედავ – სასტუმროს წინ ბლავილით დაჭრილებს მოათრევენ, საყვირების კივილით მანქანები წინ და უკან დაჰქრიან, დაჭრილები საავადმყოფოებში გადაჰყავთ, არი კივილი, წივილი, ზიაზია, ვაი-დედას ძახილი. ვიქტორ კუპრაძე გამოჩნდაო, ხმა დაირხა, უნივერსიტეტის

რექტორი, – შვილებს მიხოცავენო, თავში წაუშენია ხელები. არ გასულა ათი წუთიც, სამი სამხედრო ჯავშნოსანი მანქანა რუსთაველზე შემოგრიხინდა... შემეშინდა-მეთქი, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. ჯერ ერთი, მოჯანყენი ისეთი სულისკვეთებით ვიყავით შეძრულნი, შიშისთვის ვის ეცალა. მეორეც, მაშინ თექვსმეტისაც არ ვიყავი და ყველაფერ ამას რომანტიკულად აღვიქვამდი. თუმცა მაინც რალაც მექაჩებოდა – აქედან როგორმე უნდა გააღწიო... ამ წიანიაში რომ ვარ, სასტუმროს წინ, ჯორჯიაშვილის ქუჩის თავში, სკოლელს გადავანყდი, მურმან ესებუას, უფროსკლასელს, ჩამავლო მაჯაში ხელი, ჯორჯიაშვილზე დავეშვით. სროლების ხმა არ წყდება, პროტესტისა და ურთიერთსოლიდარობის ნიშნად არ წყდება მანქანების, სასწრაფოების სირენების გულისწამლები კივილი, ჰაერში კვამლის, დენთის სუნი ტრიალებს. ალექსანდრეს ბალის კედელს ამოფარებული, ნახევრადჩოქელა, გავყევით ძნელადის ქუჩას კოლმეურნეობის მოედნამდე, იქიდან კი ფეხით – ორთაჭალაში... სახლში რომ მივედი, სამი თუ ოთხი საათი იქნებოდა, დედაჩემს ლამპა აენტო, დაზაფრული მელიოდა... ხოლო იმ ღამეს რა ჯოჯოხეთიც დატრიალდა, ყველამ კარგად ვიცით. მერე გავიგეთ, იმ ღამეს ჩვენი უფროსკლასელი დაღუპულა, გურამ ტუნიევი, მეტსახელად „ჭინკა“, შვიდი ტყვია ჰქონია თავში მოხვედრილი, როგორც თქვეს, ტელეგრაფის შესასვლელში შევარდნილ მოჯანყეთა შორის მოყოლილა.

მეგობარი მყავს ქუთაისში, ვაჟა ჭყონია, კოლორიტი კაცია, ენამახვილი. უყვართ. ქალაქში მის იუმორსაც ფასი აქვს, მის სიტყვასაც. ერთი კაცი შეჩენია – დეპუტატად ამირჩიეთ და რუსის ჯარს გავიყვანო. ნამეტანი რომ შეუწუხებია, ვაჟას უთქვამს:

მოდით რა, ძმაო, შენ წადი და რუსის ჯარი დარჩესო!.. ხოდა, დგას რუსის ჯარი, ცოცხალი თავით ფეხს არ იცვლის, მინასაც გვიბილწავს, გულსაც, სულსაც. ვითომ დამოუკიდებლობის ვართ, ვითომ თავისუფლებიც, რუსის სისხლიანი ხიშტი კი დამოკლეს მახვილივით ისევ ლაპლაპებს სამშობლოს ცაზე. ამოგვიგლიჯეს გონებიდან აფხაზეთი, სამაჩაბლო, ახლა გულებიდანაც უნდათ ამოგვიგლიჯონ. სატანის ხელი რომ ურევია ამ საქმეში, წყალი არ გაუვა, მაგრამ შინამტერთა ხელიც რომ შემწეობს, ესეც ხომ აშკარაა, ერთად ჯიჯგნიან ამ ბედკრულ ქვეყანას, ერთად ფლეთენ.

სად ძვეს ქართველთა ბედის გორდიასის დახვანჯული კვანძი?! ვის (თუ რას) ძალუძს მისი გამოხსნა?! მაკედონელს?! მაკედონელს ველოდოთ?! თუ იმ „პატრიოტებს“ – დეპუტატად ამირჩიეთ და რუსის ჯარს გავიყვანო, რომ გვანუხებენ, შინათგამცემლობით მტერს ფარულად რომ ურიგდებიან და საკუთარი კარიერის მოწყობის ხარჯზე „წყვეტენ“ სახელმწიფო საქმეებს?! ჩემი მეგობრის სარკაზმშიც სწორედ ეს ქვეტექსტია, დააკვირდით – რუსის ჯართან ერთად შენისთანა კარიერისტები ღუპავენ ქვეყანასო!

ერთხელ კიდევ საგანგებოდ ვათვალიერებ ყველაფერს, რაც „აღუდა ქეთელაურზეა“, არსად კრინტი – მინდიაზე. როგორ გგონიათ, ვაჟამ ეს პერსონაჟი მხოლოდ იმიტომ შემოიყვანა, მუცალისთვის მკლავი მოეჭრა და შატილიონელთათვის სიმართლე დაემტკიცებინა, ამ მისიას სხვა ვერ შეასრულებდა?! გენიოსები ერთ სიტყვასაც ისე არ ფლანგავენ და ვაჟა პერსონაჟს უფუნქციოდ დასტოვებდა?! როგორც აღუდა, მინდიაც ისეთივე გმირია, ისეთივე „დავლათიანია“:



შატილს მინდიაც მოიდა  
ზერდაგით რვალიანითა,  
წელზე ნარტყამის ფრანგულით,  
მკლავითა ფარიანითა,  
თორმეტის ქისტის მამკლავი  
შუბითა ტარიანითა.

მხოლოდ პოეტი არსად გვაუწყებს, რომ მინდია-საც, როგორც ალუდას, „სიტყვა მაუდის გზიანი“. თუმცა როგორც კი წესის აღუსრულებლობისთვის ალუდას თემი შერისხავს, მინდია კი არ განუდგება სხვათა მსგავსად, თანაგრძნობით ეკიდება, როგორც ჭეშმარიტ რაინდს შეშვენის, და სიმართლის დასამონმებლად მუცალის მკლავს მოიტანს, რაზეც ალუდას გულისწყრომას დაიმსახურებს:

– თუ ხელის მოჭრა მდომიყო,  
გან ვერ მოვჭრიდი თავადა?  
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,  
საქმე მოგირთავ ავადა.

„საქმე მოგირთავ ავადა“ – აი, სად ძევს პოემის მთელი იდეოლოგიის ძირი და ფუძე.

მინდიამ ვერ გაიმეცნა, რომ ალუდას სახით ახლა მის წინაშე სრულიად სხვა ადამიანი იდგა, სრულიად სხვა კანონზომიერებაში გადასული, ტრანსფორმირებული, სრულიად სხვა მსოფლმხედველობით გაცისკროვნებული, თუმცა ის მაინც, როგორც რაინდი, ბოლომდე ალუდას თანამგრძნობლად რჩება. ამ პერსონაჟთა კონტრასტული პარალელიზმით პოეტი გვიცხადებს, რომ ის რაც მოხდა ალუდაში, არათუ არ მოხდა მინდიაში – ალუდასავით „დავლათიან“ კაცში,

არამედ მისთვის ეს ბჭე საერთოდ დახურული აღ-  
მოჩნდა. ზნეობრივი და ეთიკური პრინციპებისადმი  
ერთგულება და ამ პრინციპებისადმი საკუთარი თავის  
მსხვერპლად შეწირვა, ძველბერძნულ ტრაგედიათა  
გმირთა დარად, ერთეულთა ხვედრია. ეს რომ მრავალ-  
ვალთა ხვედრი იყოს, მინდია ალუდას ექსორიის პა-  
სიური თანამგრძობელი, შორიდან მჭვრეტელი კი არ  
დარჩებოდა, უყოყმანოდ ალუდას გვერდით დადგე-  
ბოდა, მის ტრაგიკულ ხვედრს გაიზიარებდა.

ამის გამგონე მინდიას  
მოუნწყლიანდის თვალები,  
ველარას შველის ალუდას,  
გულზე გადინყვის მკლავები.

თუმცა მინდიას ენანება ალუდა, მას არ შესწევს  
ძალა წინ ალუდგეს თემის გადანყვეტილებას, ამაოე-  
ბის ნიშნად „გულზე გადინყვის მკლავები“ და შორი-  
დან უჭვრეტს როგორ აძევებენ ალუდასა და მის სა-  
ხლეულს მშობლიური ადგილებიდან.

რატომ?!

იმ სულიერმა ტრანსფორმაციამ, იმ შინაგანმა გა-  
ცისკროვნებამ, რამაც სრულად შეარყია ალუდას არ-  
სება და აღასრულა მასში სრულიად ახალი ადამიანის  
– ზნეობრივი გმირის დაბადება, ანუ გაზეკაცების  
საღმრთო აქტი და აიყვანა ის ყოფიერების შემეცნე-  
ბის მანამდე უცნობ სიმალემდე, მინდიასთვის  
ღრუბელივით გადაიარა. სწორედ ამიტომ ალუდა  
უყოყმანოდ ღებულობს ამ ტრაგიკულ ხვედრს, რო-  
გორც განჩინებას უფლისას და უდრტვინველად მი-  
დის, არც უჯანყდება თემს, არც არაფრის დამტკი-  
ცებას აპირებს. ალუდა მიდის, გულდათუთქული ეთ-  
ხოვება სამშობლო მხარეს, შეუცნობელი თანამოთე-  
მეთაგან, მაგრამ ურყევი, ღიადი, სამართლიანობასა

და ეთიკურ იდეალებს მსხვერპლად შეწირული რაინდი. ხოლო მინდია, გაუმეცნებელი ყოველივე ამისა, მოკლებული ამ იდეალებს, რჩება ობივატელურ სამყაროში. ალუდა არათუ ღებულობს ხვედრს, ღმობიერადაც მიუტევებს ყველას, ვინც ეს განჩინება გადაუწყვიტა:

– დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა!  
მოდით, მამყევით, ვიღინოთ,  
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,  
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,  
ნუ გადიქცევით ცეცადა!

ეს კი ქრისტესმიერი გზაა.

მაცხოვარმა ხომ, ჯვარცმულმა, შეუწდო თავის მანამებლებს: „ხოლო იესო იტყოდა: მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკ. 23,34).

აი, რა ფუნქციას ასრულებს პოემაში ერთი შეხედვით თითქოს უფუნქციო პერსონაჟი – ვაჟამ მინდიას სახით, კონტრასტული პარალელიზმის სა-ფუძველზე, გააცხადა გაზეკაცებული ალუდას, რო-გორც ზნეობრივი გმირის, შობის იდეა. მინდია, ეს „დავლათიანი“ კაციც კი, არ ემახსოვრება შთა-მომავლობას, მას ისტორია დავინყების მტვერში გამოკეტავს. შთამომავლობას ემახსოვრება ალუდა ქეთელაური – ისტორიულ თუ პრეისტორიულ მახსოვრობაში შობილი ზნეობრივი გმირი, კაცობრიობის პროგრესის სათავის დამდები, ყოველი თაობისთვის მაგალითის მიმცემი უკუნისამდე, ვიდრე დედამიწაზე ქართველთა მოდგმა იარსებებს, ვიდრე ადამიანთა ცნობიერებიდან არ წარიხოცება გოლგოთის მისტერიის ყოვლადსახიერი ძე უფლისა – ჯვარზე გაკრული მაცხოვარი.

## 7. შაბათი 2 თებერვალი, 2002 წელი.

თებერვლის ცივი ქარი უბერავს. ცა შავად მოქუფ-რულა. იქით-აქეთ ანიანებს ღრუბლებს ქარი. უამური დილაა, სადამო გეგონება.

ღუნავს ქარები ალვას,

ელავს მუსიკის ხმები.

(გრანელი)

ფიქრებსაც ღრუბლებივით გინიანებს ქარი, გაცარიელებს, სად ხარ, არ იცი, არც ის, ვინ ხარ – ღვინოდაცლილი კუპრიელივით გულდაცლილი, უსასოო. თუმცა ეკლესიის ზარები რეკენ, მაინც სიცარიელეში, როგორც მოლიპულ ველზე, ფეხს ვერ იკიდებ.

საშინელი ყოფაა.

ქარს მხოლოდ წარსულის კარი მოუფრიალებია, ნიშნისმოგებით ცხვირწინ გიჭრიალებს, საით გახედვაც გზაფრავს – იქ ბევრი ტკივილია, ბევრი იჭვი, ყოყმანი, ამაოება, ზოგჯერ ამდღევანდელი დილასავით ცარიელი. მაგრამ შენია, სად გაექცევი.

კარზე მურა მიფხაჭუნებს, ნეტარებით ნკმუტუნებს. კარს ვუღებ, პანია შუშაბანდში ვეპატიჟები, მკერდზე თათებს მანყობს. პურის ნატეხი გამომაქვს, პირს არ აკარებს. არა, მურას პური არ უნდა – მოწყლიანებული თვალებით თვალეში ჩამჩერებია. ნეტარას ფიქრობს, რას იხსენებს?! ჩაირბენს კიბეს, ამოირბენს, ჩამინვება ფეხებში, ჩაირბენს, ამოირბენს, კარში მიხმობს... რისი თავი მაქვს?

ნაშუადღევს ქარი დადგა. კვიპაროსებიც დადგნენ. მზემ გამოიხედა. ბალით სოლოლაკში გადავდივარ, იქიდან – ვერცხლის ქუჩაზე, ანჩისხატში, ბარათაანთ უბანში, სიონში... ძველ ქუჩებში დავხეტიანლობ, სიძველის სურნელს ვცნოსავ. ქუჩები ცარიელია. ფრიამული იდგა, ხომ გახსოვთ, ბავშვებს ეზო რომ არ ჰყოფნიდათ, ქუჩებში თამაშობდნენ. ბურ-

თით, ასკინკილით, კლასობანით, ავჭალულით, კოჭაობით, სხვა ამგვარებით ირთობდნენ თავს, მოკლევება გოგონები ცარცით მარჯვედ ასფალტს წრეებით, კვადრატებით, ყვავილებით, ფარშავანგებით, ჩიტებით ამკობდნენ.

ალარ თამაშობენ ბავშვები ქუჩებში.

ვითომ უმნიშვნელო სიმპტომია?! რაღაც იცვლება, ამჟამად. დრო მიდის, მიდის ძველი, მოდის ახალი. დრო – ცვალებადობაა. ხოლო ცვალებადობა კონვულსიური ტკივილებით შეპყრობილ მშობიარე ქალს ჰგავს – ცოტა ხნის წინ რაც იყო, ის ალარ არი, სხვაა. მაგრამ თუ ეს ბიოლოგიური პროცესი საყოველთაო ბუნებრივი კანონია, ჩვენ ისე ნუ ვიზამთ, ახლის შობას, ნაბანი წყალივით, ბავშვიც ზედ გადავაცყოლოთ. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. სიფრთხილე გვმართებს, ზომიერება, ვაითუ ახლის რადიკალურ, ზოგჯერ ძალადობრივ, ბრმა დამკვიდრებას ის სულიერი ღირებულებანიც შევწიროთ, როგორც ბავშვთა უმანკო გულით ასფალტზე მოხატულ პეპლებსა და ყვავილებს ვშლით.

გულდამძიმებული ვბრუნდები. შუქი არ არი. რა ვქნა, არქივს ვათვალიერებ... აგერ, ვალენტინ ნიკიტინის წერილები მოსკოვიდან, გრანელის ლექსების თარგმანებზე მწერს... მამია ვარშანიძის წერილები ბათუმიდან, სოხუმიდან – მოსე გვასალიასი... აი, ჩემი საყვარელი კაცის, ზაურ ბოლქვაძის ლექსპრომტებიც. უბით დაატარებს, ან მწერალთა კავშირში დაგიტოვებს, ანდა, სადაც გადააწყდები, ქუჩაში, ბებუთივით უბიდან დააძრობს, სახეგაცისკროვნებული გადმოგცემს. იშვიათი კაცია, გამორჩეული იუმორით, გამორჩეული სიყვარულით, გამორჩეული სტრიქონით. ნიადაგ იმის ცდამია, სიხარული მოგანიჭოს. ჭეშმარიტი მოყვასია, ნაღდი პოეტი.

ვერ ეღირსე შენ ცხოვრებას მშვიდს,  
რადგან გულში საქართველო გჭირს!  
საქართველო გლოვობს შენს მკვდარ ბიჭს –  
ხიდან ხეზე გადაფრენილ ჩიტს!

(15.7.91)

შენ ხარ გმირი გრანელისტი,  
უდიდესი დაოისტი!  
უკვდავება გარეთ გიცდის,  
და მოგიცდის, და მოგიცდის!  
ვინაიდან, ლერი, შენი  
დაოძინებული ძმა ვარ,  
ისევ შევსვათ „ენისელი“  
და გრანელით გავხდეთ ავად!

(15.7.91)

არც არავის არ ემონა,  
არც არავინ არ იმონა  
და თვლის ამიტომაც ლომად  
ერი ლერი ალიმონაკს.

(10.11.91)

თავზე დაფნის ჯილა გადგას  
და ქუდში გაქვს უკვე თავი,  
„უკუმდგარი“ კი არადა,  
ლერი, შენ ხარ უკუდავი!

(8.11.96)

კიდევ ერთხელ ვკითხულობ ქუთაისიდან მოწე-  
რილ ჩემი ბავშვობის მეგობრის გურამ გაგოშიძის  
წერილს, მივჩერებივარ კედელზე მის ნაღვლიან  
თვალეებს და ცრემლი მერევა – რამხელა სიყვარულია

ამ წერილში, რამხელა ძმური მზრუნველობა. „ლერი-კო, აბა შენ იცი, როგორ მოუვლი თავს, – მწერს 1973 წლის 27 იანვარს, – შენს გარშემო შენი მეგობრები, მთელი შენთვის საყვარელი ერია. ვალდებული ხარ შენი ხანგრძლივი სიცოცხლით ემსახურო შენს ხალხს“. მისი ყოველი დღე დასტური იყო, სინამდვილე მითად როგორ ექცია, ყოველი სადაგი დღე – ზეიმად, სანუთროება იმ ჯადოსნურ ბაღად, სადაც ჰარმონიული, სიყვარულით სავსე გულბოყვით, ზოგჯერ ცრემლიანი ბავშვივით გულუბრყვილო დააბიჯებდა, უღიმღამო ყოფიერებას ბოჰემური ექსტაზით იხანგრძლივებდა. მის მეტსახელს – „ჭობი“, ქუთათურთათვის ასე მახლობელს, ჩვენ, მისი მეგობრები ხომ, რეალური ზღუდეების დაძლევა და ირაციონალურ სამყაროში განცხრომად აღვიქვამდით. ასეთია მისი მხატვრობაც. როცა რამდენიმე დღით თბილისს ესტუმრებოდა, თავის უძვირფასეს მანქანას, რობერტ სტურუას უსათუოდ ინახულებდა – სულხორცეულად ამ ლამაზ კაცს, დიდებულ ხელოვანს, ქალბატონ ნაზი ელიაშვილს – უმშვენიერეს ქართველ ქალბატონს. და ჩვენ, ყველანი, ვინც გურამს ვუყვარდით, იმ ორ თუ სამ დღეს ერთად ვატარებდით. მახსოვს, რა ბედნიერი იყო გურამი... მან იცოდა მოძღვრის ფასი, მეგობრის ფასი, სიყვარულის ფასი. ადამიანებისთვის სიხარული როგორ მიენიჭებინა, მან ეს საიდუმლოც იცოდა. ვაჟას ასაკში დაღუპულს, ვაჟაზე ფანატიკურად შეყვარებულს, ვერ წარმოიდგენთ, როგორ შვენოდა ხელში ფიალა, თვალში – ცრემლი, დიდი პოეტის სადღეგრძელოს როცა სვამდა. ასეთივე განცდით ეპყრა ხელთ ფუნჯი, როდესაც სახლის კედელზე ვაჟას ფრესკას ქმნიდა – ხურჯინმოგებულის, თვალსახეჩამოღარული პოეტი ტყეში შქერის როკებს მოარღვევს, მოდის. ფანატიკურად უყვარდა დიდი დავითი. კვირა არ

გავიდოდა, ფხიზელი თუ ბახუსმოკიდებული, მის საფლავზე არ ასულიყო, გელათში. უყვარდა თამარი – იმისი საფლავიც გელათში ეგულებოდა. გულით უყვარდა ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ზაქარია ფალიაშვილი – როცა ხატავდა, მისი ოპერებიდან არიებს ლიღინებდა, გალაკტიონ ტაბიძე – ოცნებობდა, გალაკტიონის მუსიკა ფერებში აელივლივებინა. აღასრულა კიდეც. უნილბო კაცი იყო, უაღრესად მგრძნობიარე, მაინც სამშობლოზე დარდს გულში იმარხავდა, მისი ბედით დაზაფრული, ბავშვივით რაღას არ ოცნებობდა. ერთხელ, ღამეულ ღვიძილისას, გამენდო: ნეტა ეს უცხოპლანეტელები მოვიდოდნენ, ამ წყეული რუსთა იმპერიისაგან დაგვიხსნიდნენო. „შეიძლება ბოლო ჩემი ბედი ისეც დამთავრდეს, – მწერს იმავე წერილში, – კარჩაკეტილში ამომძვრეს სული, რასაც მე სრულებით არ ვიდარდებ წინასწარ, ოღონდ რაიმე შემაქმნევინა ისეთი, რაც ჩემს ხალხს ჩემს მოსაგონებლად დარჩება“. ვკითხულობ წერილს და მახსენდება მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემი ერთი სტროფი:

შენს ნატერფალს წყალნითელა ჰკოცნის,  
აყვავილდა ნუში მონამეთას.  
გაიღვიძე, გაზაფხული მოდის, –  
არ ნავიდეთ საშარაფოდ გელათს?!

დღიურში ჩამინერია: „ამ დილას საწყენი ამბავი გავიგე: შურა ციბულევსკი გარდაცვლილა. მისი მეუღლე, კირა, ჩვენთან მუშაობს, კოლეგიაში, სათნო ქალბატონია. საწყალი შურა, კომუნისტებისგან დევნილი კაცი იყო, ლაგერები მოვლილი ჰქონდა. წრფელი გულით უყვარდა საქართველო, ქართული კულტურა“ (17.6.75). „სალამოს შევხვდი ბესიკ ადეიშვილს, ვიყავით შურა ციბულევსკის პანაშვიდზე. იქი-



დან წავედით ინტურისტების ბაღში, თითო ბოთლი დავლიეთ. ბევრი ვილაპარაკეთ. სანაპიროზე ჩავედით, ბარათაშვილის ძეგლის სკვერში, ვიჯექით გვიანობამდე. ბესიკი ძალზე აღელვებულია შინაგანად, ვცდილობ ვუთანაგრძნო, მაგრამ ძნელია“ (18.6.75). „დღეს საღამოს მოვიდა ჩემთან ბესიკი, ვიყავით ფუნუკულიორზე გვიანობამდე. გულახდილი საუბარი გვქონდა. ვისაუბრეთ დოსტოევსკიზე (19.6.75). „მწერალთა კავშირში გავედი, ბუფეტში ვნახე იურა ბაქანიძე და გიგლა სარიშვილი, ყავას სვამდნენ. გიგლა მანქანას ყიდულობს და ფულს მთხოვს სესხად. რა თქმა უნდა, დავებმარები. ვიყავი ციბულევსკის დაკრძალვაზე“ (20.6.75). „დღეს საღამოს დაფურეკე ბესიკს, ბევრი ვიარეთ ქალაქში. ისევ იმ ადგილას ვიჯექით. ვილაპარაკეთ გრანელზე და ჩვენ-ჩვენ სულიერ მდგომარეობაზე... დილას ვიყავი აუზში, ორთაჭალაში, შემხვდა ხუპა შანიძე – რამე კარგი წიგნი მათხოვეო. მარსელ პრუსტს დავპირდი. დღეს ვკითხულობდი ბიბლიას“ (22.6.75). „დღეს დილას ვკითხულობდი ბიბლიას, შუადღეზე – იან პარანდოვსკის „სიტყვის ალქიმიას“ (23.6.75). „დღეს ავიღე ჰონორარი „ლიტერატურულ საქართველოში“, უფრო მეტს ველოდი, ცოტა მომცეს. ბუფეტში შევხვდი ოთარ მამფორიას, კონიაკს სვამდა. დალია ჩემი სადღეგრძელო და ახსენა გრანელი, ფატის უთხრა – საფლავი თავისი ფულით გაუკეთაო. მე გადავიხადე. დაფურეკე ბესიკს“ (23.6.75). „წუხელი სიზმარში ვნახე: ვითომ ვილაც ახლობელთან ვარ სოფელში, სახლი მთის ძირში დგას. წვიმს. გზაზე ტბორი დგას. სახლში მისასვლელ ხეივანამდე, მოედანზე, ორი გიგანტი ადამიანი თუ დევისმაგვარი ცხოველი ზის, ერთმანეთის გვერდიგვერდ. ვილაც მახლავს, აღარ მახსოვს, ერთი გიგანტი მას ესაუბრება. თითქოს ადრეც მყავდნენ ნანახი, მაშინ ამხელეები არ ყო-

ფილან. მე ვამბობ: როგორ გაზრდილან-მეთქი. შევ-  
დივარ სახლში. ვხვდები მასპინძლებს. ქალი ამბობს:  
ხანდახან მაშინებენო – ხეივანში უზარმაზარ ხელებს  
შემოყოფენ სახლამდე, ხელზე საჭმელს ვულაგებ,  
სხვას არაფერს მერჩიანო... თითქოს ეს გიგანტები ამ  
ქალის შვილები არიან. ამ საუბრისას ხშირად ვიხედე-  
ბი ფანჯარაში. გარეთ წვიმს. ვფიქრობ: თუ, ვინიცო-  
ბაა, ხელი გამოჩნდა ფანჯარაში, გავიქცე – ერთი  
ნკიპურტით შეუძლიათ ნალექონ სახლი... მერე აღარ  
მასსოვს“ (28.9.75).